8 მარტის დღესასწაულს გილოცავთ, სიყვარულის გაზაფხული ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი, მშვენიერო ქალბატონებო!



**კოლეგა**

## ჩვენი რედაქტორი...

რა ხდება, როცა გარეთ გაზაფხულის სურნელი ტრიალებს, როცა წინ 8 მარტის დღესასწაულია, ხოლო 7 მარტს ქვეყნის პირველი ლედის დაბადების დღეა?!

თუ პრეზიდენტი ქვეყნის სიმბოლო, მისი კეთილდღეობის გარანტია, ვინაა პირველი ლედი, ქალი, რომელიც გვერდით უდგას მას.

იხ. მე-5 გვ.

**მილოცვა**

## აკადემიკოს გურამ თევზაძის დაბადების 70 წელთან დაკავშირებით

ბატონო სამოცდაათი წლის გამხდარხართ. გილოცავთ. ბევრი კეთილი სიტყვა მინდა გითხრათ შესანიშნავ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს. ჩვენ არაერთი წლის მეგობრობა და საერთო მიზანი გვაკავშირებს.

დიდია თქვენი ღვაწლი ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის მოვლა-შენახვაში, საზღვარგარეთ საქართველოს მეცნიერების შესანიშნავად წარმოჩენაში, მაგრამ ამ ყოველივეზე არანაკლებად თქვენს პიროვნულ თვისებებს ვაფასებ, თქვენს განსწავლულობას, თქვენს საქვეყნო საქმეებში მხარდაჭერის არაჩვეულებრივ უნარს.

თქვენ თითქოს ყველაფერი გაქვთ, რაც ადამიანს ბედნიერებისათვის სჭირდება – საყვარელი ოჯახი და საყვარელი საქმე, მაგრამ თქვენი უპირველესი სატკივარი ხომ საქვეყნო ტკივილია და გისურვებთ საქართველო ისე ამაღლებულიყოს და გაძლიერებულიყოს, როგორც თქვენ და ჩვენს წინაპრებს უოცნებიათ.

პატივისცემით, დიდი ადამიანური სიყვარულით,

**ედუარდ შევარდნაძე.**

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

**სამ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 16321 მკითხველი. მათ შორის, 55% აშშ-დან, 23% – გერმანიიდან.**

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №56-57 (4116) პარასკევი. 8 მარტი. 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

**„ლიფსიტები“ დიდ კორუფციაში**

## ისევ ლტოლვილებს ატყავებენ

სადღეისოდ ყველაზე ძნელი სამხილი მექრთამეობაა. ეს ისეთი მოვლენაა, როცა დუმს ორივე მხარე – ქრთამის ამღებიც და ქრთამის მიმცემიც. აი, მესამე მხარემ თავი უნდა მოიკლას, რათა სამზეოზე გამოიტანოს ეს სენი, რომელიც კორუფციული დანაშაულის თავიდათავია. საერთოდ, ვწუწუნებთ, ამ კუთხით წვრილმან საქმეებს ვავლენთო, მაგრამ, რას ვიზამთ, სულ არარაობას ისევ წვრილმანი სჯობია. თუნდაც ასეთი: მარშან შპს „საქართველოს რკინიგზის“ სენაკის საკვანძო საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს გუგუშა გოგოლაშვილს ვინმე ნუნუ ჩემიასათვის, ინვალიდობის ჯგუფის მისაღებად, ყალბად შეუდგენია ავადმყოფობის დამადასტურებელი ფორმები, რაშიც ქრთამის სახით 100 ლარი აუღია.

ასეთი კორუფციული, უფრო მეტად კი ეკონომიკური ხასიათის დანაშაულობათა ფაქტები აღნუსხულია იმ ინფორმაციაში, რომელიც ახლახან მოგვაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ. აქედან უპირველესად გამოვყოფთ ისეთებს, რომელთაც, ასე თუ ისე, რეზონანსი აქვთ, საოლქო, თუნდაც რაიონული მასშტაბით.

იხ. მე-2 გვ.

**პრეზიდენტი**

## ფოთის ნავსადგური ახალ პარტნიორებს იძენს

7 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფირმა „არეს ექსპორტ-იმპორტ ს.რ.ლ.“-ს დირექტორთა საბჭოს წევრი და აღმასრულებელი დირექტორი ანჯელა კორნა. შეხვედრას საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი და ფოთის ნავსადგურის დირექტორი ჯემალ ინაიშვილი ესწრებოდნენ.

„არეს ექსპორტ-იმპორტ ს.რ.ლ.“ უდიდესი იტალიური ფირმაა, რომელიც შავი ლითონების წარმოებითა და კომერციალიზაციითაა დაკავებული. მისი წარმომადგენლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუშაობენ გარემოს შავი ლითონების ნარჩენებისაგან გაწმენდის პრობლემებზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, „არეს ექპორტ-იმპორტ ს.რ.ლ.“ მონაწილეობას მიიღებს ტენდერში, რომელიც ფოთის ნავსადგურთან დაკავშირებით გამოცხადდება. თუმცა ტენდერის გამოცხადებამდეც, ამ ფირმას უკვე საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები (4 მილიონი დოლარის ოდენობით) აქვს ფოთის ნავსადგურში განხორციელებული.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა ფირმის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს ჩვენს ქვეყანასთან და, კერძოდ, ფოთის ნავსადგურთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ამ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „დიდი აბრეშუმის გზის“ შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის თვალსაზრისით და სრული მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს.

„არეს ექსპორტ-იმპორტ ს.რ.ლ.“ აპირებს საქართველოში პატარა ქარხნის მშენებლობასაც, რომელიც შავი ლითონების პროდუქციას შექმნის.

საქინფორმი.



**დაჯილდოება**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

**ალბერტ მავიტის (ქვიტიაშვილის) ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საზღვარგარეთ ქართული სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობისათვის ქალაქ ბათ-იამში ქართული კულტურის ცენტრის დამაარსებელი, ხელოვანი და პედაგოგი **ალბერტ მავიტი (ქვიტიაშვილი)** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

**შევეწიოთ!**

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| თბილისის ისნის რაიონის 87-ე სკოლა | – 79 ლარი; |
| მაჭარაშვილი და ბაბილაშვილი | – 300 ლარი; |
| ნინო და გიორგი რომელაშვილები | – 10 ლარი; |
| ლ. გრძელიძე | – 10 ლარი; |
| ლევან საბაური | – 20 ლარი. |

**შპს „ჯვარი-99“-ში მიითვისეს ლტოლვილთათვის გამოყოფილი 23.074 ლარი, სააქციო საზოგადოება „ზუგდიდის ფაიფურში“ კი – 209.750 ლარი.**

**სარევამარტო ბლიც-ინტერვიუ**

## «ვფიქრობ, არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ეპოქა არ არის პიროვნული»

**გვესაუბრება სესილი გოგიბერიძე – საქართველოს კულტურის მინისტრი**



– ავტობიოგრაფიული, მემუარული ხასიათის წიგნი რომ დაწეროთ, როგორ დაასათაურებთ?

– წიგნის დაწერაზე ჯერ არ მიფიქრია, ხოლო თუ ოდესმე დავწერ, არსიდან გამომდინარე შევურჩევ სათაურს.

– რა აღმოაჩინეთ საკუთარ თავში მინისტრობის დროს?

– ახალი თვისებების არც აღმოჩენა და არც გამოვლენა არ დამჭირვებია, რადგან უკვე მქონდა გაველილი პერიოდი, როდესაც ვიყავი დამოუკიდებელი სფეროს პირველი პირი. თანაც, რევოლუციურ სიტუაციაში, როცა უფრო ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება. საერთოდ, გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შინაგანი გაწონასწორებულობა და ამის გამოცდილება კარგა ხანია მაქვს მიღებული.

– რა გიყვართ?

– სიმშვიდე, ანუ ისეთი სულიერი მდგომარეობა, როდესაც ჩემს ახლობლებს არ აქვთ სერიოზული პრობლემები. ასეთ დროს უკეთ ვარ მომართული საქმისთვის და მეტი ენთუზიაზმით ვმუშაობ.

იხ. მე-5 გვ.

**გიხაროდენ!**

## ქალის სიხარული შვილებია



თითოეული ბავშვის დაბადება ახალი კომლის მომატებად მიგვაჩნია; ამ ბოლო დღეებში ჩვენთან 9 ბავშვი დაიბადა – 4 ვაჟი და 5 გოგონა; ბიჭები დაიზრდებიან, სოფელში კომლად ჩაეწერებიან, გოგონები ოჯახს დედაბოძად შეუდგებიან, შვილებს დაზრდიან. მათ შორის ამ დღეებში ჩემი ნანულიც გახდა ბიჭის დედა. ჩვილის გაზრდაში დავეხმარები, – გვაცნობა გუშინ წყალტუბოდან ჩვენმა მკითხველმა დარეჯან ლიკლიკაძემ.

... გუშინვე თბილისის №5 სამშობიარო სახლის უფროსმა ბებიაქალმა იამზე ერისთავმაც შეგვატყობინა:

– პირველი მარტიდან 7 მარტის დილამდე ჩვენთან 23 გოგონა და 16 ვაჟი დაიბადა. 39 დედის სიხარული გავიზიარეთ, ქალისთვის ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს!

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

**სარევამარტო**

## მზის სიყვარული

**მარიკა თხმლიძეს, პატარა მომღერალს, რომელმაც ამას წინათ აშშ-ში გრან-პრი მოიპოვა.**

არ შეგეშინდეს
ბოროტ გაცთა კეთილდღეობის,
იმ დღეს გისმენდი,
შენით არა, შენ ღვთით მღეროდი.

იმ ზეციურში
მამაშენიც, ალბათ, გისმენდა
და სიმღერაში იდგა სევდა,
მაგრამ მზის სევდა.

მზის სევდა, რადგან
ახლოს იყავ მაღლა მზესთანა,
სწორედ იმ მზემა სიყვარული
მზესთან შესთვალა.

გქონდეს იმედი,
ურმობიდანვე გქონდეს იმედი,
როცა მივედი მეც უფალთან —
რწმენით მივედი.

ბოლოს და ბოლოს,
შერცხვებიან გაუმაძღარნი,
გამოიღვიძებს სიყვარული
სულში ჩამცხრალი.

ვიგრძენ წინასწარ,
შენ სიმღერას რა მზეც ეღირსა,
ვარ მოლოდინში —
შენი ცამდე აღზევებისა.

**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
2002 წ. 5 მარტი.

**გვწერენ**

## მადლობა კეთილ ადამიანებს

აფხაზეთის ტრაგედიამ ფუძეაყრილი დაგვტოვა. 10 წელი მთავრდება და ჩვენს სატკივარს დასასრული არ უჩანს. სიმართლე გითხრათ, არც მოველოდი ისეთ სითბოსა და გულისხმიერებას, რაც მე დევნილთა და განსახლების მინისტრის, ბატონ ვალერი ვაშაკიძისაგან ვიგრძენი. ჩვენთვის, დევნილებისთვის ცოტაოდენი ყურადღებაც სიცოცხლის ტოლფასია.

ჩემი ავადმყოფი შვილისთვის გაწეული დახმარება, ბატონო ვალერი მაღლად წაგადგებათ თქვენ!

გმადლობთ, ბატონო ვალერი, დახმარებისათვის, დაკვალიანებისათვის და თბილი სიტყვებისათვის.

**თინათინ ჟურაშვილი,**
დევნილი, სამი შვილის დედა.

**ინფორმაცია**

### ქალებს – სადღესასწაულოდ

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ძალისხმევით, სარევამარტოდ 100 მრავალშვილიან დედას დაურიგდება ფულადი დახმარება – თითოეულს 30 ლარის ოდენობით. უახლოეს მომავალში, ასევე, გათვალისწინებულია, სასურსათო პროდუქტები გადასცენ 50 მრავალშვილიან დედას. 200-მდე ხელმოკლე ქალბატონს კი დაურიგებენ მეორადი მოხმარების ტანსაცმელს.

### ფულიც და ჩინიც

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 8 მარტს აღინიშნება, შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ხუთმაბათს პოლიციის თანამშრომელი ქალები ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

პოლიცველი ქალებისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი პრემია 30 ლარით განისაზღვრა. ამასთან, მინისტრის ბრძანებით, რამდენიმე პოლიციელ ქალს ჩინი მოუმატეს.

### ერთობლივ სტრატეგიას შეიმუშავებენ

ბენილუქსში საქართველოს ელჩის კონსტანტინე ზალდასტანიშვილის ინფორმაციით, 28 თებერვალს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის ურთიერთობის შესახებ.

რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სამხრეთ კავკასია ევროკავშირისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია.

ევროპარლამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ევროკავშირის საბჭომ შეიმუშაოს ყოვლისმომცველი, გრძელვადიანი ერთობლივი სტრატეგია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის: ევროკომისიამ, თავის მხრივ, უნდა მოამზადოს შესაბამისი წინადადება.

### ეუთოს მიაჩნია

ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟაიმე გამა შეშფოთება გამოხატა აფხაზეთში გამართული ეგრეთ წოდებული საპარლამენტო არჩევნების გამო.

მის ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი არჩევნები უკანონოა, ვიდრე ლტოლვილებს არ მიეცემათ შინ ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების შესაძლებლობა.

### დიტერ ბოდენის აზრით

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დიტერ ბოდენი ამ დღეებში მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც ქვეყნის ხელისუფლების, სახელმწიფო სათათბიროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა.

დიტერ ბოდენს გადაწყვეტილი აქვს „გააქტიუროს ის ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩიხიდან გამოსვლას, რაც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებებისას ჩამოყალიბდა.“

### ცალკეული სამსახურები გაუქმდება

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, სახელმწიფო კანცელარიაში ცალკეული სამსახურები გაუქმდება, რომლებიც, თავის მხრივ, პარალელური სტრუქტურებია. ამასთან, როგორც პრაიმ-ნიუსს ისაკაძემ უთხრა, აღნიშნული ღონისძიება კანცელარიის საშტატო ერთეულის შემცირებას და სტრუქტურების ოპტიმიზაციას გამოიწვევს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამა თუ იმ დარგის ეფექტური მონიტორინგი.

### არემონტებენ სამხედრო ბაზას

სამხედრო ბაზა ვაზიანში ემზადება „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ნატოს პროგრამის ფარგლებში წვრთნისათვის, რომელიც დაგეგმილია 2002 წლის ივნისში. მაისის დამლევისათვის თურქი მშენებლები აქ საექსპლუატაციოდ გადასცემენ 1500-ადგილიან ჯარისკაცთა სასადილოს, აბანო-სამრეცხაოს, კომპლექსს, საქვაბესა და ყაზარმას.

### ტერორისტები – აფხაზეთში

სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ამტკიცებს, რომ რუსული გემის „ავრასიას“ გამტაცებელი ტერორისტების ერთი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

გამტაცებლებიდან სამი ჩეჩენი აფხაზეთშია, თუმცა ცნობილი არ არის, აქვთ თუ არა მათ კონტაქტი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სტრუქტურებთან.

1999 წელს სოჭის პორტიდან გამოსული გემი „ავრასია“ ტერორისტებმა გაიტაცეს და რუსეთს გარკვეული მოთხოვნები წაუყენეს. გამტაცებლები ძირითადად ჩეჩენი ეროვნების თურქეთის მოქალაქეები იყვნენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

**მილოცვა**

საქართველოში ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომლების სახელით ქალბატონ ნანული შევარდნაძეს და საქართველოს ყველა მანდილოსანს ვულოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სილამაზესა და კეთილდღეობას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
**მესუთ ბოსძირი.**



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გუშინ, 7 მარტს, მოულოდნელად გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი მუსიკოსი, თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის პრეზიდენტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი

**ჯანსუღ კახიძე**

და სამძიმარს უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახს, ისე მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას.

**ყმაწვილების ენით**

## სარევამარტოდ რას ისურვებდი?

**რუბრიკას უძღვება ნათელა ფაილოძე**

ამ შეკითხვას უპასუხებენ თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის პირველკლასელები.



ალექსანდრე სამადაშვილი: – დედას მფრინავ ხალიჩაზე დავსვამდი, კეთილია...

ტატო ზულიკაშვილი: – ნანა მასწავლებელს ჩემი ემმაკობა უნდა დავავიწყო...

ლაშა კვინიკაძე: – მანქანა კანფეტებით ავავსო და ქუჩაში გოგოებს დავურიგო...

ია წეროძე: – ჯადოსნური ჯოხი მინდა, დედას ყველა ნატვრა რომ ავუსრულო.

გუგა ქვაჩაკიძე: – ისეთ წამალს, დედიკო ავად რომ არ გახდეს...

**დღის ფრაზა**

ეს ქვეყანა კამუ დოლარია, კამუ ლარია.

**სარევამარტო ღიმილის დოზა**

ჭკვიანი ქალები ნამდვილად ჭკვიანები რომ ყოფილიყვნენ, ამის შესახებ ვერავინ ვერასოდეს ვერ გაიგებდა.

**ამინდი დღეს**

დასავლეთ საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +9; | დღისით +18; |
| მთაში: | ღამით 0; | დღისით +14. |

აღმოსავლეთ საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +1; | დღისით +22. |
| მთაში: | ღამით -3; | დღისით +15. |

თბილისში

მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით: +1; დღისით: +22.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

**ლარის კურსი**

7 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.1681 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9761 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2290 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9410 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0718 ლარი. |

**უკანასკნელ საათს**



ისრაელის ჯარები შეტევას ახორციელებენ სამიზნეებზე ღაზას სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ხელისუფლება აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გააკრიტიკა.



ერთი პალესტინელი დაიღუპა გასულ ღამეს, როცა ისრაელის ათეულობით ტანკი თულქარმში შევიდა. იორდანეს სანაპიროს ჩრდილოეთით სოფელ სირისზე თავდასხმისას „ისლამური ჯიჰადის“ წევრი მოკლეს.

გუშინ ისრაელის F-16 ტიპის გამანადგურებლებმა ბეთლემში პალესტინის უშიშროების სამსახურების რამდენიმე შენობა დაბომბეს.

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლებს, ყველა უწყებას და ყველა ადამიანს, რომელმაც გაიზიარა ჩვენი უღრმესი მწუხარება ნუგზარ საჯაიას ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ნუგზარ საჯაია თავისი სხეულით გადაეფარა თავის სამშობლოსა და თავის ოჯახს. მან თავისი სიკვდილით სიძულვილსა და ცილისწამებას გამოუცხადა ომი. ღმერთს ვევედრებით, რომ მისი მსხვერპლი ამაო არ იყოს.

**ნუგზარ საჯაიას ოჯახი.**

**ინტერპანორამა**

გუშინ ინდონეზიის ყოფილი პრეზიდენტის სუხარტოს ვაჟს ტომი სუხარტოს უზენაესი სასამართლოს წევრის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. მაქსიმალური სასჯელი, რომელიც ამჟამად 39 წლის ტომი სუხარტოს შეიძლება მიუსაჯონ, სიკვდილით დასჯაა.



აშშ-მ დამატებითი ჯარები და ვერტმფრენები გადაისროლა აღმოსავლეთი ავღანეთის მთიან რაიონებში, სადაც უკვე მეშვიდე დღეა სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს თალიბებისა და „ალ-ქაიდას“ ბოევიკების წინააღმდეგ.



ამერიკულმა ავიაციამ დაბომბა ქალაქ ღარდეზის რაიონი. გაანადგურეს 400-მდე თალიბი და „ალქაიდას“ წევრი, ხოლო აშშ ჯარებმა და ავღანეთის გარდამავალი მთავრობის ძალებმა ბოლო შეტაკებების დროს 15 ადამიანი დაკარგეს.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 56-57. პარასკევი. 8 მარტი. 2002 წელი.

პრეზიდენტი

# წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახალი პროგრამების განხორციელებას გეგმავს

**ეს აცნობა 7 მარტს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ფრანსუა ბელონმა.**



წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ნეიტრალური, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში წარმოშობილი კონფლიქტების დროს. კომიტეტის მისიაა ომისა და ქვეყანაში შიდა არეულობის შედეგად დაზარალებულთა სიცოცხლის დაცვა და მათთვის დახმარების გაწევა.

წითელი ჯვრის დელეგაცია საქართველოში უკვე 10 წელია მოღვაწეობს. ამ პერიოდის მანძილზე განხორციელდა არაერთი პროგრამა. დელეგაციის თანამშრომლები აქტიურად იცავენ პატიმართა უფლებებს, იბრძვიან ციხეებში გავრცელებული ტუბერკულოზის წინააღმდეგ. მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ადგილნაცვალ პირებს და ასე შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას დელეგაციის ხელმძღვანელმა ფრანსუა ბელონმა ისაუბრა ორგანიზაციის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ და სამომავლო გეგმებზე.

დელეგაციის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს იმ თანადგომისათვის, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება იჩენს კომიტეტის მიმართ და ხელსაყრელ სამუშაო პირობებს უქმნის მის თანამშრომლებს. „საქართველო იყო პირველი ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც წითელმა ჯვარმა თავისუფლად შეაღწია ციხეებში და დაიწყო იქ არსებული ვითარების შესწავლა. ეს კი პირადად თქვენი განკარგულებების საფუძველზე გახდა შესაძლებელი,“ – მიმართა ედუარდ შევარდნაძეს ფრანსუა ბელონმა და იქვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო უმცირესობების საბჭოს ყოფილ მდივანთან ნუგზარ საჯაიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს.

სტუმარმა აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაციის მიერ ბოლო დროს განხორციელებულმა მონიტორინგმა ნათელი გახადა, რომ საქართველო კვლავაც საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრები ცდილობენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, დონორების მოზიდვას, რადგან მხოლოდ წითელ ჯვარს გაუჭირდება პრობლემების გადაჭრა.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, კიდევ უფრო გააქტიურდეს წითელ ჯვართან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა. მან მადლობა გადაიხადა დასავლეთ საქართველოში მყოფი ლტოლვილების დახმარებისათვის და აღნიშნა, რომ აუცილებელია მათი ზუსტი აღრიცხვა, რათა მიღებული დახმარება უშუალოდ მივიდეს ადრესატამდე.

შეხვედრაზე ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში შეიქმნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციას შორის. ამის გამო საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას დროებით შეუწყვიტა დახმარება. მხარეებმა აღნიშნეს, რომ პრობლემა მოკლე დროში გადაწყდება და სადავო საკითხის მოგვარებასთან ერთად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი განაახლებს თანამშრომლობას საქართველოსთან და განახორციელებს ახალ პროგრამებს.

**საქინფორმი.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, უმწიკვლო სამსახურისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები:

**ღირსების ორდენით:**

**ტატიანა სერებრიაკოვა** – სამინისტროს მუზეუმის უფროსი; **ნანი წურწუმია** – პოლიციის პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს სამსახურის გავლის, აღრიცხვის, დაჯილდოებისა და წოდებების მინიჭების განყოფილების უფროსი.

**ღირსების მედლით:**

**ლიანა ბიბილაშვილი** – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს საშტატო მუშაობის განყოფილების უფროსი; **მარინა დოლანიძე** – საქმეთა მმართველობის ნორმატიული დოკუმენტების აღრიცხვის კანცელარიის უმცროსი ინსპექტორ-ოპერატორი; **დარეჯან იანტბელიძე** – პოლიციის მაიორი, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის აღრიცხვიანობისა და ანგარიშების განყოფილების უფროსი; **თინათინ მუხაშავრია** – პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს ინსპექტორი; **ლუდმილა ნასყიდაშვილი** – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მთავარი ექსპერტი; **ნესტან სიხარულიძე** – პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, შტაბის ინფორმატიზაციის სამმართველოს საინფორმაციო-საძიებო სისტემების ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი; **ლიანა ფილიშვილი** – პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურის ასპინძის რაიონის საგამოძიებო ჯგუფის უფროსი გამომძიებელი; **ლეილა ქაროსანიძე** – ჯანმრთელობის დაცვის მთავარი სამმართველოს ექიმ-სტატისტიკოსი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

### საქართველოს ეროვნული ზარაფხანის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებაში, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაში, საბიუჯეტო შენატანების სტაბილურ ზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს ეროვნული ზარაფხანის თანამშრომლები:

**ღირსების ორდენით:**

**ილია გლურჯიძე** – იუველირ-ამწყობი; **ალექსანდრე ელიზბარაშვილი** – იუველირ-ამწყობი.

**ღირსების მედლით:**

**ვენერა გელაშვილი** – ძვირფასთელიან ნაკეთობათა მზა პროდუქციის საწყობის გამგე; **რობიზონ გეჯაძე** – იუველირ-დამმაგრებელი; **არმენ დავთიანი** – იუველირ-ამწყობი; **ბაგრატ კომკელი** – შემფასებელი; **ბექან პაპინაშვილი** – იუველირ-ამწყობი; **მერი უსანეთაშვილი** – შემფუთველი; **იზოლდა ქავთარაძე** – ვერცხლის ნაკეთობათა და სუვენირების საწყობის გამგე; **მანიჟა ქარელიძე** – ქიმიკოს ლაბორანტი; **ჯემალ წამალაიძე** – მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსის მოადგილე.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

### რუსუდან ხაჩიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, შრომის ვეტერანთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი რუსუდან ხაჩიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### ოთხმხრივი შეხვედრა ჭუბურხინჯში

**გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გაიმართა ოთხმხრივი სამუშაო ჯგუფის მხარეების წარმომადგენელთა მორიგი ტრადიციული შეხვედრა, რომელზეც კონფლიქტის ზონაში არსებული კრიმინოგენური სიტუაცია და კვირის განმავლობაში მომხდარი ფაქტები განიხილეს. აღინიშნა, რომ ეს კვირა განსაკუთრებული სიმშვიდით გამოირჩეოდა, თუმცა კანონის დარღვევის რამდენიმე ფაქტი მაინც აღინიშნა.**

### ფრანგი „იეღოვას მოწმეები“ 40 მილიონი დოლარით დაჯარიმდნენ

როგორც ცნობილია, საფრანგეთში რელიგიური სექტების წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრი კანონებია მიღებული. 6 მარტს „ბი-ბი-სის“ ახალი ამბების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია საფრანგეთში მოქმედი იეღოვას სექტის შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

„საფრანგეთის იეღოვას მოწმეთა ორგანიზაციას მოუწევს 40 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა იმის გამო, რომ იგი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შემოწირულობებზე გადასახადს არ იხდიდა.“

ვერსალის სასამართლოს გადაწყვეტილებით, იეღოვას მოწმეები „არის სექტა და არა რელიგიური კონფესია, ამიტომ გადასახადს უნდა იხდიდნენ“.

პარლამენტის თავმჯდომარე

# ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ევროპარლამენტში

**5-6 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საქართველოს პარლამენტის წევრთა დელეგაცია ოფიციალურ ვიზიტად ეწვიენენ ევროპის პარლამენტს.** ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ბისეკის – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის – საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეა და ევროპარლამენტში სწორედ ამ ორგანიზაციას წარმომადგენლობდა. იგი შეხვდა ევროპარლამენტის თავმჯდომარეს, გენერალურ მდივანს, იურიდიულ, საგარეო ურთიერთობათა და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს.

ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან პატრიკ კოქსთან შეხვედრისას ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ ეს ბისეკის დელეგაციის პირველი ვიზიტი იყო ევროპარლამენტში და სტუმრობის მიზანი იყო სწორედ ამ ორ წარმომადგენლობით ორგანოს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება.

ბატონმა კოქსმა ხაზგასმით აღნიშნა, შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია და შესაბამისად ევროკავშირი ამ რეგიონში საკუთარი პოლიტიკის გააქტიურებასაც აპირებს. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას აღნიშნა ისიც, რომ ევროპარლამენტთან ურთიერთობის განვითარება ბისეკის საპარლამენტო ასამბლეის უმთავრესი პრიორიტეტია.

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბისეკის საპარლამენტო ასამბლეის პრიორიტეტები გააცნო ევროპარლამენტის გენერალურ მდივანს ჯულიან პრისლის. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბისეკის წევრი ქვეყნების მთავარი ამოცანაა ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო პოტენციალის გამოყენება. შავი ზღვის ქვეყნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბისეკი განსაკუთრებით არის დაინტერესებული ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხებით.

შეხვედრის დასასრულს კი მანვე წამოაყენა ინიციატივა მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც ბისეკის საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის წევრებს გააერთიანებს და ამ ორ წარმომადგენლობით ორგანოს შორის ურთიერთობის გაღრმავებისათვის იმუშავებს.

საგარეო ურთიერთობათა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯეფრი ვან ორდენმა შეხვედრისას განაცხადა, რომ დღეს გაფართოების წარმატებით განხორციელების გარდა, ევროკავშირის მთავარი ამოცანაა ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება, გასული წლის სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ უსაფრთხოების ერთიანი ევროპული პოლიტიკის შემუშავებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ბატონი ვან ორდენი განსაკუთრებით დაინტერესდა კავკასიის უსაფრთხოების საკითხებით. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ რეგიონს, სადაც რამდენიმე გაყინული კონფლიქტია, ბუნებრივია, სტაბილურს ვერ დაარქმევ. ასეთ კონტროლს დაუქვემდებარებელი ტერიტორიების არსებობა მარტო სამხრეთ კავკასიას როდი უქმნის საფრთხეს.

დღეს შეერთებული შტატები აქტიურად ეხმარება საქართველოს, განავითაროს თავისი ჯარი და ტექნიკურად უფრო სიცოცხლისუნარიანი გახადოს იგი, – განაცხადა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ევროპარლამენტის წარმომადგენელთან საუბრისას. გარდა ამისა, ხაზი გაესვა იმასაც, რომ ტერორიზმის საფრთხეს იზიარებენ როგორც შავი ზღვის სახელმწიფოები, ასევე ევროკავშირიც. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბისეკისა და ევროკავშირის ორ წარმომადგენლობით ორგანოს შორის თანამშრომლობას განსაკუთრებით მნიშვნელობა ექნებოდა ორივე მხარისათვის – აღნიშნა ბისეკის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ.

ამ ვიზიტმა საფუძველი ჩაუყარა ბისეკის საპარლამენტო ასამბლეასა და ევროპარლამენტს შორის დიალოგის დაწყებას. განისაზღვრა თანამშრომლობის შესაძლო სფეროები და გადაწყდა, უფრო გააქტიურდეს კონტაქტები პარლამენტართა შორის. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ევროპარლამენტის წარმომადგენლები მოიწვია ბისეკის საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სხდომაზე, რომელიც თბილისში ამა წლის ივნისში გაიმართება.

**საქინფორმი.**

გუშინ

# რუსთავში ახალი სამოდელო სასამართლო გაიხსნა

„დღეს ყველა დარწმუნდით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს აქვს მუშაობის საუკეთესო პირობები. სასამართლოს შენობა მთლიანად შეესაბამება ყველა იმ სტანდარტებს, რომლებიც განვითარებული ქვეყნების სასამართლოებისთვის არის გათვალისწინებული. აქ პირველად გაკეთდა სპეციალური შემოსასვლელი ინვალიდებისთვის. დარწმუნებული მინდა ვიყო, რომ ამ სასამართლოში განხორციელდება სამართლიანი, კანონიერი მართლმსაჯულება, ისე როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებს ეკადრება.



ეს არ არის მხოლოდ სასამართლოს საქმე, ეს მთლიანად ქვეყნის აღმშენებლობის პროცესის შემადგენელი ნაწილია. ეს არის დასტური იმისა, რომ ქვეყანა წინ მიდის და ამ წინსვლას, ამ პროგრესს, წინ ვერაფერი ვერ დაუდგება“, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიამ გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ქვემო ქართლში ლევან მამალაძის, რუსთავის მერის ლაშა მინდელის, მოსამართლეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით საზეიმოდ გაჭრა წითელი ლენტი.

რუსთავის სამოდელო სასამართლო იმ თერთმეტ სასამართლო შენობებს შორისაა, რომლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, უახლოეს ხანში გაიხსნება გლდანი-ნაძალადევის სასამართლო. დასასრულს უახლოვდება თელავის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამუშაოები. თერთმეტი სამოდელო სასამართლოს სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს ინფორმატიზაციის პროექტის შესრულებაც. „ჩემი პრინციპია, რომ ყველა იმ ქალაქში, ყველა იმ რაიონში, სადაც სამოდელო სასამართლო შენდება, სასამართლო შენობა იყოს ყველაზე კარგი და გამორჩეული“, – აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

რუსთავის სამოდელო სასამართლოს გახსნის მონაწილეებს, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო ბანკის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები, მიმართა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველ ღონეს იხმარს, რათა სასამართლო სისტემის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს მეტი ყურადღება გამოიჩინოს ქვეყნის საძირკვლის, სასამართლო ხელისუფლების მიმართ. „მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება. შესაბამისი პირობების შექმნა, სასამართლო რეფორმა, ყველაზე საფუძვლიანი რეფორმაა, ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს სფეროში, რასაც კანონიერების დაცვა ჰქვია და ადამიანების რწმენის მობრუნებას უკავშირდება“, – დასძინა სახელმწიფო მინისტრმა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესცენტრი.**

კადრები

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა გიორგი ისაკაძე.**

## გიორგი ისაკაძე



დაიბადა ქ. თბილისში 1975 წელს. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1992 წელს ჩააბარა გამოცდები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1997 წელს.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს საფონდო საპრივატიზაციო ბირჟაზე, გაზეთ „გულანის“ ეკონომიკის განყოფილების გამგედ, თბს ბანკის საერთაშორისო ოპერაციების მენეჯერად, გაზეთ „გულანის“ დამატების „ბანკები და ფინანსების“ რედაქტორად, სატელევიზიო ანალიტიკური პროგრამა „საქმის“ ავტორად და წამყვანად (საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი), საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ სფეროში რეფორმების ხელშეწყობის განყოფილების სახელმწიფო მრჩევლად, რეფერენტად, საქართველოს გადასახადის გადამხდელთა კავშირის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანაშემწედ, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის აპარატის უფროსად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსად, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ საბიუჯეტო და ფისკალურ საკითხებში.

გიორგი ისაკაძე არის საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის ლაურეატი „საუკეთესო ეკონომიკური გადაცემისათვის“.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

უცოლშვილოა.

პოზიცია

## სამინისტრო აცხადებს

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გაავრცელა განცხადება რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს მიერ 2002 წლის 6 მარტს მიღებულ განცხადებასთან – საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ მის ტერიტორიაზე აშშ სამხედრო მონაწილეობასთან დაკავშირებით.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი განცხადების მიღება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუფარავი მცდელობა, მისი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა და მიმართულია იქითკენ, რომ ჩაიშალოს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესი. ეს კი საფრთხეს უქმნის ბოლო დროს საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევით მიღწეულ პოზიტივს კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის.“ – ნათქვამია განცხადებაში.

**საქინფორმი.**

### ავსტრიის პრემია – ქართველ მთარგმნელს

**ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ცნობით, ამავე საელჩოს თანამშრომლის ქალბატონ ნათია დათუაშვილის თარგმანების კრებულს – „მეოცე საუკუნის ავსტრიელი მწერლების მოთხრობები“ მიენიჭა ავსტრიის ფედერალური კანცელარიის პრესტიჟული პრემია.**

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

პროკურატურა

## კომპრომისი გამოირიცხება

**გუშინ გენერალური პროკურატურის კოლეგიამ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს მთავრობის 2002 წლის 9 თებერვლის გაფართოებულ სხდომაზე პროკურატურის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ.** გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ პროკურატურის მიმართ გამოთქმული სხვადასხვა კრიტიკული შენიშვნა რეალურად არსებული ვითარების ობიექტური შეფასებაა.

პროკურატურამ გულდასმით გაანალიზა ეს შენიშვნები და უკვე დასახა ქმედითი ღონისძიებები კანონიერების უზრუნველყოფაში, კორუფციის, კონტრაბანდისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში, ადამიანის უფლებათა დაცვაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამ ღონისძიებების განხორციელება დაეკისრა კონკრეტულ პიროვნებებს, რომელთა შესრულებაზეც პასუხს, დადგენილ ვადებში, ასევე კონკრეტული პიროვნებები აგებენ. აქ ყოველგვარი კომპრომისი გამოირიცხება.

**ბადრი იაშვილი.**

„ლიფსიტები“ დიდ კორუფციაში

## ისევ ლტოლვილებს ატყავებენ

(პირველი გვერდიდან)

სენაკის ეთერზეთების ქარხნის დირექტორის მოადგილეს კარლო შეროზიას, 1996-2000 წლებში სამსახურებრივი მოვალეობა ბოროტად გამოუყენებია, მანქანა-მოწყობილობები დაუჭრია, ჯართად გაუყიდია და სახელმწიფოსათვის 246000 ლარის ზარალი მიუყენებია.

ჯართომანიას გაუტაცნია, აგრეთვე, სენაკელები რაულ გვასალია და მერაბ ბებია. პირველს ფოთის პორტში ჩაუბარებია 11400 ლარის შავი ლითონის ჯართი და ბიუჯეტში არ შეუტანია 1373 ლარი, ხოლო მეორეს იმავე პორტში ჩაუბარებია 9500 ლარის, ასევე შავი ლითონის ჯართი და ბიუჯეტში არ შეუტანია 1403 ლარი.

მარმან შპს „ტეხურის“ დირექტორს ჯონდო ხეჩიას 32261 ლარის სახელმწიფო სასაწყობო მეურნეობა დაუშლია და აქედან 600 ლარი მიუთვისებია, წლეულს კი სოფელ ძველი სენაკის ფერმის უფროსს მამუკა ალანიას 3080 ლარის ბეტონის ფილები დაუსაკუთრებია.

ახლახან უმხელიათ სასტუმრო „სენაკის“ დირექტორი იური სორდია, რომელსაც 1997-98 წლებში ბანკიდან გამოუტანია აფხაზეთიდან ლტოლვილთა კომუნალური მომსახურებისათვის განკუთვნილი 23570 ლარი, საიდანაც 6900 ლარად სასტუმროსათვის ორი კერძო ბინა შეუძენია, 16670 ლარი კი მიუთვისებია.

ლტოლვილთა თანხებზე ასევე ხელი მოუთბიათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებს: მარინა ჩაჩხიანს (1632 ლარი), ლეილა შამუგიას (1351 ლარი), ლუიზა კილასონიას (1203 ლარი), ქეთო ესებუას (921 ლარი), ინეზა თურქიას (851 ლარი), კოხტა კვარაცხელიას (646 ლარი).

ფალსიფიცირებულ ლიმონათზე „დამწვარან“ მურად კაჭარავა, რუსუდან კაპანაძე, გიორგი ჯანგველაძე, ნანა კაჭარავა, მიხეილ არეველაძე, არსენ სალაყაია, გარიელ ლომია... უაქციზო სიგარეტზე კი – რომან შენგელია, როზენ აბსანძე, მალხაზ ჯანაშია...

სენაკის რაიონის ფონზე აქვე მოგახსენებთ ერთ ოფიციალურ ინფორმაციას: შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, კონტროლის პალატისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად აღძრეს სისხლის სამართლის საქმე შპს „ჯვარი-99“-ში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ლტოლვილთა თანხის, – 23074 ლარის მითვისების ფაქტის გამო; ასევე ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების შედეგად აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება „ზუგდიდის ფაიფური“-ში“ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ლტოლვილთა კომუნალური მომსახურების თანხის, – 209.750 ლარის მითვისების ფაქტის გამო.

ჩვენი აზრით, სასურველ შედეგს სწორედ ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობა მოგვიტანს, თორემ დასამალი არაა, ზოგჯერ მაკონტროლებელი თუ სამართალდამცავი ორგანოები ერთმანეთს იგნორირებენ, ცალკერძ მოქმედებენ, რითაც საერთო საქმეს აზარალებენ და, საბოლოო ჯამში, საკმაო გაუგებრობებსაც იწვევენ.

კერძოდ, რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ „2001 წელს (ადრინდელზე აღარ ვლაპარაკობთ) რაიონის პროკურატურაში მაკონტროლებელი ორგანოებიდან, რომლებიც ფუნქციონირებენ ოლქის ცენტრში, კორუფციული ხასიათის არცერთი მასალა არ შესულა“ (ნოლებიც აქედან მოდის)? განა თამარ ციგროშვილის სამხელად, რომელიც ბაზარში ფალსიფიცირებულ ნაყინს ჰყიდდა, სენაკში ზუგდიდიდან უნდა ჩავიდეს ოპერატიული ჯგუფი და ამის შესახებ არაფერი იცოდეს რაიონის პროკურატურამ? რისთვის დაეკისრეთ მაშინ მას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი როლი? ისიც საკითხავია, კორუფციული დანაშაულობებიდან რამდენი კაცი მივიდა სასამართლომდე და რამდენი დაისაჯა დამსახურებულად? მთავარი ხომ საბოლოო შედეგია!

**ბონდო გულიაშვილი.**

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

# და რჩება ცოდვით დანგრეული მიუსაფარი სული

**7 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიისა და შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც სამართალდამცველებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერების, ხელოვნებისა და მასმედიის წარმომადგენლები.**

ნარკომანიასთან ბრძოლა თითოეული ჩვენგანის ვალია, ითქვა კონფერენციაზე, მარტო შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ამ პრობლემას ვერ გადაჭრიან და ვერც რომელიმე კომისია შეასრულებს ამ მისიას, თუ სახელმწიფო და საზოგადოებრიობა საერთო ძალებით წინ არ აღუდგება ამ მომაკვდინებელ სენს.

სწორედ ნარკომანიის საკითხზე საუბრობს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამობაო ეპისტოლეში, რომელშიც ნათქვამია, რომ სანამ ერი და ბერი, თითოეული ქართველი არ შეიგნებს, თუ რა საშიშროებას უქმნის ნარკომანია ჩვენს გენოფონდს, და მას ყველა ერთიანი ძალისხმევით უნდა ვებრძოლოთ, პრობლემა არ მოგვარდება.

ითქვა ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში იხილება კანონპროექტი ნარკომანიის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედება ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლას.

– ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს საქართველოში შექმნილი ნარკოსიტუაცია, – თქვა კონფერენციაზე ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ალეკო ტაბატაძემ, – არა მარტო კრიტიკული, არამედ საგანგაშოა. 2001 წელს გამოვლენილია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული 3861 სამართალდარღვევა, აქედან 1783 ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელთა შორის 1077 მძიმე კატეგორიის დანაშაულია, 16 კი – კონტრაბანდა. ადმინისტრაციული წესით დაისაჯა 2193 პირი, საჯარიმო თანხის სახით ამოღებულია 133000 ათას ლარზე მეტი, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. იზრდება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ოდენობა. საქართველო თავისთავად არ წარმოადგენს ნარკოტიკების მწარმოებელ სახელმწიფოს, ნარკოტიკების აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთიდან შემოდინება.

კონფერენციას დაესწრო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა: ჩვენ შევიკრიბეთ მეტად მტკივნეული საკითხის თაობაზე და, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოვძებნოთ გზები, თუ როგორ ვებრძოლოთ სენს, რომელსაც ნარკომანია ეწოდება. ყველას გვესმის, რომ ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ და ვუმკურნალოთ. საკმაოდ არის ასეთი მაგალითები, და ეს სენი იკურნება, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს აქვს ამის სურვილი. მაგრამ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა ზიანი მოაქვს ნარკომანიას თავად მომხმარებლისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ იგი უპირველესად არის ავადმყოფი ადამიანი და არა დამნაშავე. დანაშაული კი არის ნარკობიზნესი. სწორედ ეს არის უდიდესი დანაშაული. ვფიქრობ, ამ სხდომით არ დამთავრდება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა და მომავალში გაგრძელდება ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ნარკომანიის აღმოსაფხვრელად, რაშიც აუცილებლად დაგვეხმარება კავშირები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანასთან.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ნარკომანიასთან საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების ძირითად პრინციპებზე ისაუბრა პროფესორმა დავით გეგეშიძემ; ნარკომანიის სამედიცინო-ბიოლოგიური პრინციპები ჩამოაყალიბა პროფესორმა გელა ლეჟავამ; სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები წარმოადგინა სოციოლოგმა დოდო ყარაულაშვილმა; არასრულწლოვანებს შორის ნარკოტიკების გავრცელების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა ვახტანგ ქარუმიძემ; ნარკომანია და არასამთავრობო ორგანიზაციები – ასეთი იყო გურამ მამაცაშვილის გამოსვლის თემა; ამ პრობლემის მიმართ მასმედიის დამოკიდებულებასა და როლზე ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა გამოთქვა მოსაზრებები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა შსს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა მამია დარჩიამ კი ქართველი საზოგადოებრიობისადმი კონფერენციის მონაწილეთა მიმართვის პროექტი წარმოადგინა.

**„სრ“ – საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს კანონი

## „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

კანონით შეტანილია ცვლილებები და დამატებე- კონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ სა- ელოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, № 5-6, .96).

**ხლი 1.**
რველი მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „კანონის“ შე- ლა სიტყვებით „ორგანული კანონის“, ხოლო სი- „ნაწილებში“ – სიტყვით „პუნქტებში“.

**ხლი 2.**
-4 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „ოდენობა“ შეიც- ა სიტყვით „რაოდენობა“.

**ხლი 3.**
-6 მუხლის:
) მე-3 პუნქტი ამოღებულია;
) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
4. საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სა- რთლოს წევრს უფლება აქვს გადადებული ან შე- რებული საქმის განხილვის დასრულებამდე მონაწი- ბა მიიღოს სხვა საქმის განხილვაში.“;
) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 5 პუნქტი:
5. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია ებამოსილია გადაწყვიტოს კონსტიტუციური სარ- ან/და კონსტიტუციური წარდგინების არსები- განსახილველად მიღების საკითხი სასამართლოს ენუმის/კოლეგიის მიერ სხვა კონსტიტუციური სა- ის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილ- ად მიღების საკითხის გადაწყვეტის ან განხილვის ის.“.

**ხლი 4.**
-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რე- იით:
2. საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლება აქვს მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში და შეიკავოს კენჭისყრისას.“.

**ხლი 5.**
-9 მუხლში სიტყვა „კანონის“ შეიცვალა სიტყვებით განული კანონის“.

**ხლი 6.**
-10 მუხლის:
) პირველ პუნქტში სიტყვები „კანონის მე-19 მუხლსა მე-20 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი“ შე- ლა სიტყვებით „ორგანული კანონის მე-19 მუხლით საზღვრული“;
) მე-2 პუნქტში სიტყვები „კანონის 21-ე მუხლის პი- ლი და მეორე ნაწილებით“ შეიცვალა სიტყვებით განული კანონის 21-ე მუხლის პირველი – მე-4 პუ- ბით“.

**ხლი 7.**
-11 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „კანონით“ შეიც- ა სიტყვებით „საქართველოს ორგანული კანონით“.

**ხლი 8.**
-12 მუხლის:
) პირველი პუნქტის:
ა) „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „კანონის 33-ე, 34-ე, 35- -ე, 37-ე, 38-ე, 39-ე და მე-40“ შეიცვალა სიტყვებით ართველოს ორგანული კანონის 33-ე – მე-40“;
ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქცი-
ბ) მხარეთა წარმომადგენლები – ნდობით აღჭურ- ი პირები, რომელთათვისაც მხარეებს კანონით და- ილი წესით გადაცემული აქვთ თავიანთი უფლე- მოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოში წარმო- ენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუ- რი სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შემტან რთა რაოდენობა ორზე მეტია. წარმომადგენლის რწ- ბულება უნდა დამოწმდეს სანოტარო ან შესაბა- ი დაწესებულებისთვის დადგენილი წესით:“;
გ) „გ“ ქვეპუნქტს ბოლოში დაემატა შემდეგი წინა- ება: „მათი დანიშვნის უფლება აქვს როგორც მხა- , ისე მის წარმომადგენელს.“;
) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ წარდგინებებს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიწვიოს წარდგინების ავტორები, ხოლო იმავე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხზე დასკვნის მომზადებისას – შესაბამისი თანამდებობის პირებიც და მოისმინოს მათი განმარტება, მაგრამ ამ პირებს მხარედ არ აღიარებს.“.

**მუხლი 9.**
მე-13 მუხლის:
ა) მე-2 პუნქტს ბოლოში დაემატა სიტყვები „გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა“;
ბ) მე-3 პუნქტში სიტყვები „კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტით“ შეიცვალა სიტყვებით „ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით“;
გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინარსის მე-6 პუნქტი:
„6. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.“.

**მუხლი 10.**
მე-15 მუხლის:
ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:
„$1^1$. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებად ითვლება განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა.“;
ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე, აგრეთვე, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხზე (იმავე კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში) შეიტანება კონსტიტუციური წარდგინება, ხოლო დანარჩენ საკითხებზე – კონსტიტუციური სარჩელი.“.

**მუხლი 11.**
მე-16 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 16
1. კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ (თუ მოსარჩელე საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული წესით) და მასში მითითებული უნდა იყოს:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
ბ) მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება და მისამართები;
გ) სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი, ან რომელთა დარღვევითაც იქნა მიღებული/გამოცემული, ხელმოწერილი, გამოქვეყნებული ან ამოქმედებული საქართველოს საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
ე) მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას;
ვ) მოთხოვნის არსი;
ზ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას;
თ) კონსტიტუციურ სარჩელზე დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე, იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს:
ა) სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი;
ბ) მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი მათი მისამართების მითითებით;
გ) საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.
3. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს წარდგინების ავტორთა მიერ (თუ წარდგინების ავტორი საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული წესით) და მასში მითითებული უნდა იყოს:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
ბ) კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა დასახელება და მისამართები;
გ) სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების დასახელება, მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი, თუ წარდგინება ეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს, ან თანამდებობის პირის დასახელება, თუ წარდგინება ეხება იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გასაზღვრულ საკითხს;
დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, ან რომლებიც, მათი აზრით, დაარღვია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში აღნიშნულმა თანამდებობის პირმა;
ე) მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების ავტორთა აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას;
ვ) მოთხოვნის არსი;
ზ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც წარდგინების ავტორებს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას;
თ) კონსტიტუციურ წარდგინებაზე დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე, იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, წარდგინების ავტორთა აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთვოდეს:
ა) სადავო საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების ტექსტი, თუ წარდგინება ეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს;
ბ) კონსტიტუციური წარდგინების ავტორების წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი მათი მისამართების მითითებით;
გ) საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.
5. საერთო სასამართლოს მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის წევრთა მიერ და მასში მითითებული უნდა იყოს:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
ბ) კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოსა და მოსამართლის/სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა დასახელება და მისამართები;
გ) ნორმატიული აქტის დასახელება, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი, ხოლო თუ ეს აქტი საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმებაა, – მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი;
ე) მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას;
ვ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კნონის დებულებანი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების შემტან სასამართლოს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას;
ზ) კონსტიტუციურ წარდგინებაზე დართული საბუთების ჩამონათვალი.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა ერთვოდეს:
ა) იმ ნორმატიული აქტის ტექსტი, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო;
ბ) სასამართლოს აქტი საქმის განხილვის შეჩერების შესახებ.
7. კონსტიტუციური სარჩელი, კონსტიტუციური წარდგინება და თანდართული საბუთები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.“.

**მუხლი 12.**
მე-17 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 17
1. საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებას, საქმის მასალების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარის შემოწმების შემდეგ, რეგისტრაციაში ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი. მათში არაარსებითი ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევათ 3 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელისა და წარდგინების რეგისტრაცია უქმდება. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
2. რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დაუყოვნებლივ გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი – მე-4 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯად საქმეს 3 დღის ვადაში გადასცემს კოლეგიას საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო თუ საქმე პლენუმის განსჯადია, იმავე ვადაში ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომისთვის და გადასცემს მას საქმეს. კოლეგიებისთვის საქმეთა გადაცემისას დაცული უნდა იქნეს კოლეგიათა შორის მათი თანაბრად განაწილების პრინციპი.
3. კოლეგიის თავმჯდომარე საქმის მიღებისთანავე კოლეგიის წევრთაგან ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს განმწესრიგებელი სხდომისთვის და გადასცემს მას საქმეს.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და კოლეგია ვალდებულნი არიან კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მათთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყვიტონ სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის თარიღს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიისას – შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე.
5. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება ფორმდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის საოქმო ჩანაწერით, ხოლო არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას პლენუმს/კოლეგიას გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.
6. მომხსენებელი მოსამართლე კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შესწავლისას არკვევს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული საფუძველი სარჩელის ან წარდგინების ან მათში მითითებული რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს, რის საფუძველზედაც განმწესრიგებელი სხდომისთვის ამზადებს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს. პროექტი საქმის მასალებთან ერთად გადაეცემა პლენუმის ან შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელიც უზრუნველყოფს განმწესრიგებელ სხდომამდე სულ ცოტა 2 დღით ადრე კოლეგიის წევრებისთვის მათ გადაცემას. თუ კოლეგიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება განმწესრიგებელ სხდომაზე გასატან პროექტს, მას უფლება აქვს წარადგინოს თავისი პროექტი.
7. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხეს, ხოლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანამდებობის პირს, რომლის ქმედობის კონსტიტუციურობასაც ეხება წარდგინება, ამის შესახებ აცნობებს განმწესრიგებელი სხდომის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.
8. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადი საქმის განხილვა კოლეგიის განსჯადი საქმის განხილვაზე ადრე იწყება. საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, „ვ“ ქვეპუნქტითა (იმავე კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში) და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს.“.

**მუხლი 13.**
მე-18 მუხლის:
ა) „გ“ ქვეპუნქტს სიტყვის „სადავო“ წინ დაემატა სიტყვები „არც ერთი“;
ბ) „დ“ ქვეპუნქტს სიტყვის „საკითხი“ წინ დაემატა სიტყვები „ყველა სადავო“;
გ) „ე“ ქვეპუნქტს სიტყვის „საკითხი“ წინ დაემატა სიტყვები „არც ერთი სადავო“;
დ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:
„ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა.“.

**მუხლი 14.**
მე-19 მუხლში სიტყვები „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული მოტივებით“ შეიცვალა სიტყვებით „გ“ – „ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით“.

**მუხლი 15.**
მე-20 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 20
1. საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარ ატყობინებს მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღს.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია, ხოლო მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე ვალდებულია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველნი და მოისმინოს მათი განმარტება ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნულ საკითხებზე.“.

**მუხლი 16.**
21-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 21
1. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერში მიეთითება:
ა) საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
ბ) საოქმო ჩანაწერის შედგენის დრო და ადგილი;
გ) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;
დ) საკითხი, რომელზედაც შედგენილია საოქმო ჩანაწერი;
ე) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ან კოლეგიამ განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება;
ვ) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ;
ზ) საქმის განხილვის დაწყების სავარაუდო ვადა.
2. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ განჩინებაში მიეთითება:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
ბ) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
გ) საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;
დ) საკითხი, რომელზედაც გამოტანილია განჩინება;
ე) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ან კოლეგიამ განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება;
ვ) აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიუღებლობის შესახებ.“.

**მუხლი 17.**
22-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 22
1. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით, სათათბირო ოთახში.
2. განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს/კოლეგიას წარუდგენს მომხსენებელი მოსამართლე. თუ არსებობს გადაწყვეტილების სხვა პროექტი, მას კენჭი ცალკე ეყრება.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სხდომის დარბაზში.“.

**მუხლი 18.**
25-ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში სიტყვა „კანონითა“ შეიცვალა სიტყვებით „ორგანული კანონითა“;
ბ) ბოლოდან მეორე აბზაცი ჩაითვალა მე-3 პუნქტად და მას სიტყვის „ამ“ შემდეგ დაემატა სიტყვები „მუხლის მე-2“;
გ) ბოლო აბზაცი ჩაითვალა მე-4 პუნქტად.

**მუხლი 19.**
26-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები ჩაითვალა შესაბამისად „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებად.

**მუხლი 20.**
32-ე მუხლის:
ა) მე-2 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები ჩაითვალა შესაბამისად „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებად;
ბ) მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში სიტყვა „კანონისა“ შეიცვალა სიტყვებით „საქართველოს ორგანული კანონისა“;
გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„4. სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს:
ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან მისი უარყოფის შესახებ;
ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას საერთო სასამართლოს მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის, ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
გ) საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა არაკონსტიტუციურად ცნობის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
დ) საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული თანამდებობის პირის ქმედობის კონსტიტუციურობის შესახებ;
ე) გადაწყვეტილების ან დასკვნის სამართლებრივ შედეგებს.“.

**მუხლი 21.**
33-ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 7 დღის ვადაში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.“;
ბ) მე-2 პუნქტში სიტყვა „პირი“ შეიცვალა სიტყვით „ასლი“, ხოლო სიტყვები „კანონის მე-19 მუხლის „თ“ პუნქტში“ – სიტყვებით „საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტში“.

**მუხლი 22.**
34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე-მეათე აბზაცები ჩაითვალა შესაბამისად „ა“ – „ი“ ქვეპუნქტებად.

**მუხლი 23. დასკვნითი დებულება**
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 2002 წლის 12 თებერვალი.

---

ღირსეულნი

# კაცი, რომელიც დღესაც ქართულ საქმეს აკეთებს

ერთხელ მიღებაზე მოეხედი ისრაელის განათლების მინისტრის მოადგილესთან ბატონ ცილინთან, – შეპარული ქუთაისური იუმორით იხსენებს ჩვენი თანამემამულე, საქართველოდან გამოსულ ოლიმთა ქ. ბათ-იამის გაერთიანების თავმჯდომარე, ქართული კულტურის ცენტრის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი ალბერტ შავიტი (ქვიტიაშვილი), – იმ დროს ის რეპატრიანტთა საკითხებით იყო დაკავებული, საუბრისას ჩემი გვარის სწორად გამოთქმის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ შეწუხებულმა განმიცხადა, ბგერები ყელში მეჩხირება და მოდი, იქნებ ცოტათი შევამციროთო, მაგალითად, იყოს თუნდაც შავიტიო. აი, ასე გავხდი, მისი ხელდასხმით, ქვიტიაშვილი შავიტი (ივრითის ენაზე – კომეტა), სამაგიეროდ ახლა ჩემი გვარის გამოთქმისას ბგერები ყელში აღარავის ეჩხირება და ასე შემოვიარე ნახევარი მსოფლიო.

ალბერტ შავიტი (ქვიტიაშვილი) დაიბადა 1939 წელს ქუთაისში, საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლაში, სავალდებულო სამხედრო სამსახური კი რუსეთში მოიხადა და იქვე, ჯერ პერმის საავიაციო სასწავლებელში ისწავლა, ხოლო შემდეგ – ვორონეჟის ფიზკულტურის ინსტიტუტში. „მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობა მივიღე ამერიკელი მფრინავ-მზვერავის პაუერსის თვითმფრინავის ჩამოგდების ოპერაციაში, სამხედრო საქმეს, ბოლოს მაინც მშვიდობიანი და არანაკლებ ვაჟკაცური, ახალგაზრდა სპორტსმენთა გამზრდელი პედაგოგის პროფესია ვარჩიე და არც არაფერი წამიგია. ძალიან კმაყოფილი ვარ, – ხშირად შეუნიშნავს ბატონ ალბერტს.

1965 წელს, სწავლის დამთავრების შემდეგ ალბერტ შავიტი კვლავ საქართველოშია, ქუთაისში ბრუნდება, ქმნის ოჯახს და მუშაობას ჯერ ქარხანაში იწყებს, ხოლო შემდეგ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. მისი მეუღლე ქალბატონი ინგა ფიჩხაძეც პედაგოგია, ისრაელში გამგზავრებამდე იგი ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებში ასწავლიდა. მისი კოლეგები და ყოფილი მოსწავლეები დღესაც დიდი სითბოთი იხსენებენ კეთილშობილ და სათნოებით აღსავსე ინგა მასწავლებელს.

ბატონი ალბერტის მამა – იოსებ (სოსო) ქვიტიაშვილი ქუთაისის სინაგოგის მმართველი, ქუთაისელ ებრაელთა თემის ერთ-ერთ წინამძღოლად ითვლებოდა. მას მთელი ქალაქი, „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი იცნობდა და დიდ პატივს სცემდა. სწორედ მამის ზეგავლენამ და აღთქმული მიწის ყივილმა მიაღებინა გადაწყვეტილება, რადაც უნდა დაჯდომოდა, ოჯახთან ერთად წასულიყო ისრაელში; თუმცა საქართველოს დატოვებაც უძნელდებოდა.

„მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, 28 წლისა, – იხსენებს ალბერტ შავიტი, მაგრამ ბევრი რამ ვიცოდი ისრაელის, მისი ისტორიის, მისი ნატანჯი ხალხის შესახებ, განსაკუთრებით კი, არაბებთან თექსმეტწლიანმა ომმა გვაგრძნობინა ყველა ებრაელს, რომ ჩვენ გვქონდა ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც ეჭირდებოდით“.

1973 წელს ქვიტიაშვილების ოჯახი დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში. პირველ ხანებში ქუთაისელ კაცს ნაცნობ-მეგობრების გარეშე ძალიან გაუჭირდა უცხო ქალაქში, მაგრამ თანდათანობით ეს სიცარიელე ამოივსო. დიდი სიყვარულით იგონებს ბატონი ალბერტი მის პირველ გზამკვლევსა და მეგობარს ისრაელში – რაფი ბარლავის, რომლის მშობლები ქუთაისელები ყოფილან.

სკოლაში მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონია, როდესაც მოსწავლეებს მისთვის პრეტენზიით მიუმართავთ, – ებრაული არ იცითო. სამაგიეროდ სპორტი ვიცი, თქვენ მე ებრაული მასწავლეთ, მე კი სპორტის საიდუმლოებას გაზიარებთო, – მიუგია ალბერტ მასწავლებელს და შემდგომი ურთიერთობაც გაგებითა და სიყვარულით აუწყიათ. შედეგად მისი ავტორიტეტი ისრაელის სპორტის მოღვაწეთა შორისაც ერთ-ერთი საპატიო და ანგარიშგასაწევი გახდა.

1985 წელს ლონდონში ჩატარდა მსოფლიო კონგრესი სპორტში, რომელიც მიეძღვნა „სიახლეების შეტანას სპორტულ სწავლაში“. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის წარმომადგენელი. ამ ფორუმში მონაწილეობდა ისრაელის დელეგაციაც, რომლის შემადგენლობაში იყო ჩვენი თანამემამულე ალბერტ შავიტი.

1985 წელს ბატონმა ალბერტმა ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა. მან სრულიად დამოუკიდებლად მოჰკიდა ხელი ჭედურ ხელოვნებას და მოკლე ხანში კიდეც დაეუფლა მას. ასე ნელ-ნელა დაიწყო ისრაელის სხვადასხვა ქალაქების საგამოფენო დარბაზების „დაპყრობა“. შემდგომ პერიოდში ჭედური ნამუშევრები ფერწერულმა ტილოებმა შეცვალა. „ჩვენს ქალაქს შეემატა კიდევ ერთი ხელოვანი, რომლის შემოქმედება გამოფენიდან გამოფენამდე უფრო საინტერესო ხდება“, – განუცხადებია 1987 წელს ქ. ბათ-იამში მოწვეული ერთ-ერთი გამოფენის ნახვისას ქალაქის მუნიციპალიტეტის მერს იეჰუდ კინამონს.

ალბერტ შავიტის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ისრაელში საქართველოდან გამოსულთა ქ. ბათ-იამის ქართული კომიტეტის ჩამოყალიბებასა და საქმიანობას. იგი ისრაელში სტუმრად ჩასული ყველა ქართველი ხელოვანის გულითადი მასპინძელია. თავადაც გახლდათ მშობლიური ქუთაისის არცთუ იშვიათი სტუმარი. 1990 წლის 18 აგვისტოს გაზეთი „ქუთაისი“ თავის მკითხველებს აუწყებდა: „ჩვენს ქალაქს მეუღლესთან ერთად საქმიანი მისიით ეწვია ძველი ქუთაისელი, ამჟამად ისრაელის ქალაქ ბათ-იამის მცხოვრები ბატონი ალბერტ შავიტ-ქვიტიაშვილი“.

ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ბატონმა ალბერტმა დიდი სითბოთი და სიყვარულით გაამჟღავნა, როგორც ქ. ბათ-იამის ქართული დიასპორის, ისე მასწავლებელთა პროფკავშირების საბჭოს (მათ შორის ისრაელის) დიდი სურვილი ქ. ბათ-იამის და ქუთაისის დაძმობილებისა და ქუთაისის სამ საშუალო სკოლაში ივრითის ენის შემსწავლელი კურსების გახსნის თაობაზე.

1996 წელს ალბერტ შავიტმა ქ. ბათ-იამში დააარსა ქართული კულტურის ცენტრი, რომელიც გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული როლით – ქართულ კულტურას აზიაროს საქართველოდან გამოსული ებრაელი ახალგაზრდობა და არა მარტო ისინი. ცენტრი პოპულარულია მთელს ისრაელში. აქ მოქმედებს ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი. სისტემატურად ეწყობა სხვა კულტურული ღონისძიებები.

ალბერტ შავიტის თაოსნობით ისრაელში მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება მოეწყო, კერძოდ: საქართველოს დღეები, შოთა რუსთაველის, დ. გაპონოვის, დ. ბააზოვისადმი მიძღვნილი საღამოები, ქართული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა, ქართული კინოს ფესტივალი, ქართული პოეზიისა და პროზის ზეიმი, ქართული საესტრადო კოლექტივების გამოსვლები და სხვ.

ბატონი ალბერტი არის ისრაელში საქართველოდან გამოსულ სპორტსმენთა ასოციაციის პრეზიდენტი.

წერილის დასასრულს – ორიოდე სიტყვა მის ოჯახზე. ბატონმა ალბერტმა ქალბატონ ინგასთან ერთად ორი შვილი აღზარდა. ქალიშვილი – ლელა ექიმია, სიძე – ერთ-ერთი სააქციო გაერთიანებაში ეკონომიკისა და მომარაგების საკითხებს ხელმძღვანელობს. ვაჟმა – გიამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისრაელის არმიაში იმსახურა და მაიორის სამხედრო ჩინით თადარიგში იმყოფება. იგი ამჟამად ისრაელის ერთ-ერთი მსხვილი მანქანათმშენებლობის ქარხნის გენერალური დირექტორია, მეუღლე, ასევე მაიორის ჩინით, ისრაელის გენერალურ შტაბში მოღვაწეობს.

აი, ასე ცხოვრობს ისრაელის ქალაქ ბათ-იამში ერთი ჩვეულებრივი ქუთაისელი კაცი – ალბერტ შავიტი, რომელიც აღთქმულ მიწაზე რუდუნებით აკეთებს ქართულ საქმეს.

2002 წლის 11 თებერვალს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობათა ცენტრის დირექტორმა სანდრო ნონეშვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ალბერტ შავიტის სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების თაობაზე. სულ ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით „საზღვარგარეთ ქართული ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის, ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისთვის“ ალბერტ შავიტი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. რამდენიმე დღის შემდეგ მომეცემა საშუალება, რომ პირადად მივულოცო ბატონ ალბერტს მისი მეორე (ან პირველი) სამშობლოს უმაღლესი ჯილდო და ვუსურვო კვლავაც წარმატებით ეკეთებინოს ორი ქვეყნისთვის სასურველი საქმეები.

**თამაზ ჩიღვინაძე (?) — ჩიჩიანი,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი.

# საქართველოს ორგანული კანონი

## „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**ამ კანონით შეტანილია ცვლილებები და დამატებები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, № 001, 27.02.1996).**

**მუხლი 1.**
მე-3 მუხლის ტექსტი ჩაითვალა პირველ პუნქტად და დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 – მე-4 პუნქტები:
„2. სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების განხორციელებას და მოსამართლის დამოუკიდებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები არ შეიძლება იყოს წინა წლის ხარჯებზე ნაკლები. დაფინანსების მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კანონით დადგენილი წესით წარდგენილი პროექტის საფუძველზე. არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების შემცირება.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეცეს მისი საქმიანობისათვის საჭირო შენობა და სხვა ქონება.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილება, ფორმირებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცებული დებულებით.“.

**მუხლი 2.**
მე-4 მუხლიდან მე-2 პუნქტი ამოღებულია.

**მუხლი 3.**
მე-7 და $7^3$ მუხლების პირველი და მეორე აბზაცები ჩაითვალა შესაბამისად პირველ და მე-2 პუნქტებად, ხოლო $7^2$ მუხლის პირველი – მეცხრე აბზაცები – შესაბამისად პირველ – მე-9 პუნქტებად.

**მუხლი 4.**
მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში სიტყვა „მე-17“ შეიცვალა სიტყვით „მე-16“.

**მუხლი 5.**
მე-12 მუხლის პირველი პუნქტის:
ა) „ა“ ქვეპუნქტს სიტყვის „რეგლამენტს“ შემდეგ დაემატა სიტყვები „და აპარატის დებულებას“, ხოლო სიტყვა „რეგლამენტში“ შეიცვალა სიტყვებით „რეგლამენტსა და აპარატის დებულებაში“;
ბ) „დ“ ქვეპუნქტში სიტყვა „დასკვნას“ შეიცვალა სიტყვებით „დასკვნას, საოქმო ჩანაწერსა“;
გ) „ე“ ქვეპუნქტში სიტყვა „ხელმძღვანელობს“ შეიცვალა სიტყვებით „საერთო ხელმძღვანელობას უწევს“.

**მუხლი 6.**
მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს ბოლოში დაემატა სიტყვები „და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

**მუხლი 7.**
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვა „ნაწილით“ შეიცვალა სიტყვით „პუნქტით“.

**მუხლი 8.**
მე-16 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 16
1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:
ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;
ბ) დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა ამ კანონის მე-17 მუხლით აკრძალულ საქმიანობას;
გ) დაარღვია ამ კანონის 48-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა;
დ) ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელი;
ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ვ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ;
ზ) მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
თ) გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
ი) გადადგა თანამდებობიდან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; „ე“ – „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი რეგლამენტით დადგენილი წესით ამოწმებს მისთვის წარდგენილ საბუთებს და მათში აღნიშნული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე განკარგულებით აფორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 20 დღისა გამწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საქართველოს პარლამენტის არასასესიო პერიოდს, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი გამწესდება პარლამენტის უახლოესი სესიის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს ერთი თვისა და არა უგვიანეს 10 დღისა გამწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი.“.

**მუხლი 9.**
მე-17 მუხლის მესამე წინადადებაში სიტყვა „ან“ შეიცვალა სიტყვებით „ან/და“ და ამავე მუხლის ტექსტიდან ამოღებულია პუნქტის აღმნიშვნელი ციფრი „1“.

**მუხლი 10.**
მე-18 მუხლის ტექსტიდან ამოღებულია პუნქტის აღმნიშვნელი ციფრი „1“.

**მუხლი 11.**
მე-19 მუხლის ტექსტი ჩაითვალა პირველ პუნქტად და მისი „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ა) საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები;“.

**მუხლი 12.**
მე-20 მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩაითვალა მე-19 მუხლის მე-2 პუნქტად;
ბ) ტექსტიდან ამოღებულია პუნქტის აღმნიშვნელი ციფრი „2“.

**მუხლი 13.**
21-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 21
1. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.
2. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია.
3. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს – საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია.
4. საქმეს, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ისე კოლეგიის განსჯად საკითხებს, განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.
5. საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში და თავი შეიკავოს კენჭისყრისას.
6. თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება.
7. თუ კონსტიტუციურ წარდგინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, დადასტურებულად არ ითვლება იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობა, რომლის კონსტიტუციურობაც სადავოდ მიიჩნია საერთო სასამართლომ, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლში აღნიშნული პირის ქმედობით.
8. საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია მოქმედებს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო.“.

**მუხლი 14.**
22-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 22
1. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
2. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმის დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.
3. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 17 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.
4. საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების, რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას (არა უმეტეს 30 დღით) აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება ჩერდება ამავე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებიდან ამ სარჩელთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, აგრეთვე კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებიდან ამ წარდგინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის გამოტანამდე.
6. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის დროს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა იმავე პუქტებით განსაზღვრული სხვა სარჩელი, მისი განხილვის ვადა აითვლება არსებითი განხილვის პროცესში მყოფ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.“.

**მუხლი 15.**
23-ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.“;
ბ) მე-2, მე-3 და მე-7 პუნქტებს სიტყვის „მუხლის“ შემდეგ დაემატა სიტყვები „პირველი პუნქტის“, ხოლო სიტყვა „პუნქტით“ შეიცვალა სიტყვით „ქვეპუნქტით“;
გ) მე-4 – მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„4. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის გამართვის აკრძალვას, დანიშნული რეფერენდუმის გაუქმებას ან რეფერენდუმის დანიშვნის დავალდებულებას, დანიშნული არჩევნების გაუქმებას ან არჩევნების დანიშვნის დავალდებულებას, არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ან საარჩევნო უბნებში) ბათილად ცნობას.
5. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების საქართველოსთვის ბათილად ცნობას, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების რატიფიცირების დაუშვებლობას.
6. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს საქართველოს პარლამენტის:
ა) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება;
ბ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება;
გ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება;
დ) იმ დადგენილების (ან მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.“.

**მუხლი 16.**
25-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 25
1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.
2. არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.
5. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“.

**მუხლი 17.**
26-ე მუხლის ტექსტი ჩაითვალა პირველ პუნქტად და დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტები:
„2. საკონსტიტუციო სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას:
ა) ამოწმებს კონსტიტუციასთან მისი შინაარსის შესაბამისობას;
ბ) არკვევს, დაცულია თუ არა საქართველოს საკანონმდებლო აქტისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესი.
3. ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.“.

**მუხლი 18.**
31-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაცები ჩაითვალა შესაბამისად პირველ და მე-2 პუნქტებად.

**მუხლი 19.**
33-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 33
1. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებში მოპასუხეა ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი; თუ კონსტიტუციური სარჩელი ეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს, მოპასუხეა ამ აქტის მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო, ამ ორგანოს არარსებობისას კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხენი არიან საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანო.“.

**მუხლი 20.**
34-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „ნაწილით“ შეიცვალა სიტყვით „პუნქტით“.

**მუხლი 21.**
35-ე მუხლის:
ა) პირველ პუნქტს სიტყვის „აჭარის“ შემდეგ დაემატა სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკის“;
ბ) მე-2 პუნქტს სიტყვის „პირველ“ წინ დაემატა სიტყვები „ამ მუხლის“.

**მუხლი 22.**
36-ე მუხლის:
ა) პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:
„დ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმი ჩატარებულია საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.“;
ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.“;
გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:
„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა იმავე პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლიდან ან რეფერენდუმის დანიშვნის თარიღიდან, ხოლო იმავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – 7 დღეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებიდან.“.

**მუხლი 23.**
37-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 37
1. საკონსტიტუციო სასამართლოში არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:
ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-10 პუნქტის ან/და 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;
ბ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ან/და 70-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით;
გ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტის საერთო ან ხელახალი არჩევნები ან არჩევნები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის ან/და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის ხელახალი არჩევნები ან არჩევნები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;
დ) საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების ან/და 50-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით;
ე) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ან/და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;
ვ) საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ან/და 28-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის:
ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი (ვადამდელი არჩევნების დანიშვნისას) ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
ბ) „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
გ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი (საერთო არჩევნების დანიშვნისას) ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ხელახალი არჩევნების ან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო არჩევნების დანიშვნისას);
დ) „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი (საერთო არჩევნების დანიშვნისას) ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ხელახალი არჩევნების, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო არჩევნების ან გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნისას);
ე) „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოპასუხეა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ან/და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
3. კონსტიტუციური სარჩელი ამ მუხლში აღნიშნული არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონით დადგენილი დანიშვნის ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 7 დღისა.
4. კონსტიტუციური სარჩელი ამ მუხლში აღნიშნული არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.“.

**მუხლი 24.**
38-ე მუხლის:
ა) პირველ პუნქტში სიტყვა „პრეზიდენტს“, შეიცვალა სიტყვებით „პრეზიდენტისა და“, ხოლო სიტყვა „მეხუთედს“ – სიტყვებით „მეხუთედს, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების შეტანისა – საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს“;
ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას. კონსტიტუციური წარდგინების შეტანა შეიძლება მათ რატიფიცირებამდე.“;
გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:
„$2^1$. კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება:
ა) რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულებების დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში;
ბ) რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულებების დენონსირების ან გაუქმების საკითხის საქართველოს პარლამენტის წინაშე დასმიდან არა უადრეს 31-ე დღისა და არა უგვიანეს მე-60 დღისა, თუ პარლამენტმა 30 დღის ვადაში არ გადაწყვიტა საკითხი;
გ) თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება არ ექვემდებარება რატიფიცირებას.“;
დ) მე-4 პუნქტში სიტყვა „ნაწილით“ შეიცვალა სიტყვით „პუნქტით“;
ე) მე-5 პუნქტი ამოღებულია;
ვ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„6. ამ მუხლის $2^1$ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების დამდები ორგანო/თანამდებობის პირი ან მისი უფლებამონაცვლე.“.

**მუხლი 25.**
39-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 39
1. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:
ა) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი;
ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.
2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.“.

**მუხლი 26.**
მე-40 მუხლის:
ა) მე-2 პუნქტში სიტყვები „მუხლის პირველი ნაწილით“ შეიცვალა სიტყვით „მუხლით“;
ბ) მე-3 პუნქტში სიტყვა „მუხლში“ შეიცვალა სიტყვით „მუხლით“.

**მუხლი 27.**
41-ე მუხლის პირველ პუნქტს სიტყვის „წარდგინების“ შემდეგ დაემატა სიტყვები „ამ კანონითა და „[illegible]ნტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით“.

**მუხლი 28.**
42-ე მუხლის:
ა) ტექსტი ჩაითვალა პირველ პუნქტად და მასში სიტყვები „მე-20 მუხლით“ შეიცვალა სიტყვებით „მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით“;
ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:
„2. ამ მუხლში აღნიშნული საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება.“.

**მუხლი 29.**
43-ე მუხლის:
ა) პირველ და მე-8 პუნქტებში სიტყვა „განჩინება“ შეიცვალა სიტყვებით „განჩინება, საოქმო ჩანაწერი“;
ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„5. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ იღებს საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობის შესახებ – განჩინებას.“;
გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„6. კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განხილვისას ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო 38-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დასკვნას.“.

**მუხლი 30.**
44-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.“.

**მუხლი 31.**
45-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.“.

**მუხლი 32.**
51-ე მუხლი ამოღებულია.

**მუხლი 33.**
53-ე მუხლის:
ა) მე-2 პუნქტში სიტყვა „მცხეთა“ შეიცვალა სიტყვით „თბილისი“;
ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:
„3. საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაზე აღმართული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზსა და მოსამართლეთა სამსახურებრივ კაბინეტებში უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა.“.

**მუხლი 34. გარდამავალი დებულება**
ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ამოქმედებამდე კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დაწყებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმის განხილვის ვადას (არა უმეტეს 30 დღით) აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 35. დასკვნითი დებულებანი**
1. ეს კანონი, გარდა მე-14 მუხლით გათვალისწინებული 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ კანონის ძალაში შესვლამდე შესულ და არსებითად განსახილველად მიღებულ კონსტიტუციურ სარჩელზე ან კონსტიტუციურ წარდგინებაზე ბოლო გადაწყვეტილების ან დასკვნის მიღების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 2002 წლის 12 თებერვალი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ართველოს რესპუბლიკა
57. პარასკევი, 8 მარტი, 2002 წელი.



## კოლეგა

(პირველი გვერდიდან)

ათხი ჩვენში სულ ცო- წინათ გაიცნობიერა სა- ობამ და დარწმუნდა, ასმიერ სახელმწიფოში ლედის როლი უდი- გაწონასწორებულ ხა- სულიერ სამყაროზე, პა- ბლობის გრძნობაზე, თუ რდით დგას, ბევრი რამ ამოკიდებული, ეს მსო- მრავალი სახელმწიფოს თიდანაც ნათლად წარ-

ა ის დრო, როდესაც სა- ს ლიდერების მეორე ნა- შესახებ ინფორმაცია გულოდ იმალებოდა, და, მე მაინც გამჟღავნდებო- ხს აღიზიანებდა. რის ჩვენი ქვეყნის პი- ლედი?

სი თაობის ჟურნალის- ვის კარგადაა ცნობილი თი კოლეგის ქალბატონ შევარდნაძის პიროვნება. ხეული პარტნიორია მსო- აღიარებული პოლიტი- ადამიანის, რომელსაც სა- ოებრივი აღმშენებლო- თულეს პერიოდში მრა- ნააღმდეგობის გადალა- დება, და მის გვერდით ასეთი თანამოაზრე დგეს.

ქალბატონი ნანული გვი- რმოგიდგინოთ, როგორც მორისო ასოციაცია „სა- ოს ქალები მშვიდობისა ოცხლისა- გაზეთის ობა ყოვე- მთავარი ორი, რო- სახებ მის ბს საქინ- კორეს- ტი ესაუ-

ჩაბრაძე, „მშვიდობა ას“ პასუ- ელი მდი-

ვალ რე- თან მიმუ- ნამ აქ მოვიდოდი, მა- ეთი კოლეგიური, რო- ლბატონი ნანულია, მა- ვითხრათ, არ შემხვე- უფაქიზესი აზროვნების სტია, არასოდეს გაა- მასალას ისე, რომ გუ- ინოს, ეს ხომ ძალზე ლოვანია ჟურნალისტი- იგი ქართული ენის ბრ- მცოდნეა, და თუ კა- დ არ ჩამომართმევთ, რომ ეს ჩვენს გაზეთში რებით იგრძნობა. თუ ადამიანის სიმდიდრეა, ეს ქალბატონ ნანულიზე ჩვენი რედაქტორი თავი- მხედველობით მარად ზრდაა, თანამედროვეა, ბიოვანია, რითაც გვია- მასთან ურთიერთობას. თის დაარსებიდან ემუ- ს გვერდით და დღეს შე- ეთქვა, რომ ეს წლები სკოლად იქცა, სკოლად უ როგორ იცხოვრო ადა- როგორ უნდა ქმნა სი- ხვათა შორის, ჩვენი გა- დასახელებაც ქალბატონ ს ეკუთვნის. იგი მთლი- ახავს იმ კეთილშობილურ ობას, რომელსაც ასოცი- ენიადაგ ეწევა. ვინ იცის, გაჭირვებულ ადამიანს ა გვერდში, რამდენს და- ცხოვრების იმედი და სუ- რამდენ მზრუნველობას ულ ბავშვს აჩუქა სიხა-

დობლივია, რომ თავად ს დასახელებიდან, მისი ტორის ცხოვრებისეული დან გამომდინარე, ჩვენ ვენებთ ისეთ მასალებს, ლი ვატკინოთ ადამიანებს. ფაქტი დეტალურადაა შე- ლი, მაშინაც კი, როდესაც ულ მასალას ვბეჭდავთთ, ს რედაქტორის შეგონება: ოთ სიყვარულით!.. დღეს, ც მაგანმა პრესის თავი- ა აღვირახსნილობად მი- ენსაციის, გაზეთის „გა- “ მიზნით რა არ გამო- რნალ-გაზეთების ფურც- ჩვენი რედაქტორის პო- განსაკუთრებით დასაფა- ა.

**რუსუდან დარჩიაშვილი, მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

— მეც ბევრ გამოცემაში მიმუშავია და ვიცი, რომ მრავალი რედაქტორი საერთოდ არ კითხულობს ყოველ ნომერს. ქალბატონი ნანული მართლაც რომ გამონაკლისია. იგი აბსოლუტურად ყველა მასალას კითხულობს, მიუხედავად ცხოვრების დაძაბული რიტმისა, — სხვა რომ არაფერი, მას უამრავ ადამიანთან უხდება შეხვედრა, რომლებიც მასთან თავისი სატკივარით, პრობლემებით მიდიან, მათი პრობლემების გადაჭრა უხდება, იგი ამას მაინც ახერხებს, რაც მთავარია, იგი არასოდეს არ იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, უაღრესად დემოკრატიულია და ყოველთვის ახერხებს კოლექტივში სიტუაციის გაწონასწორებას, კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნას.

ჩვენმა რედაქტორმა კარგად იცის სიტყვის ფასი. იგი არასოდეს მოგცემს უადგილო შენიშვნას, ხშირად ხდება, წერ რაღაცას, ვერ პოულობ საჭირო სიტყვას. მოდის რედაქტორის გასწორებული ტექსტი და უცრად რედაქტორის იმ სიტყვას აღმოაჩენ, რომელზეც ასე იტანჯებოდი. ხშირად გაევოცებულვარ, ჩემს თავზე გული მომსვლია, მე რატომ ვერ ვიპოვე ეს სიტყვა. გვერდიგვერდ მუშაობის შვიდი წელი გვაკავშირებს და ამ წლების მანძილზე ერთხელაც არ გვიგრძენია, რომ იგი პრეზიდენტის მეუღლეა. მისი უაღრესად გულთბილი დამოკიდებულება ჩვენთვის რაღაც ნორმად იქცა, ისიც, რომ მას ყველაფერი შეუძლია გაგიგოს. იგი იდეებითაა სავსე, გვთავაზობს ახალ რუბრიკებს, და ისინი ყოველთვის აქტუალური და დროულია, სწორედ მისი წინადადებით შემოვიღეთ რუბრიკა „სამშობლოვ, ჩემო!“, თემა, რომელიც ჩვენი ცხოვრების კატაკლიზმებმა, სამწუხაროდ, უკანა პლანზე გადაწია.

**ზაირა სხირტლაძე, განყოფილების რედაქტორი:**

— ჩვენი გაზეთი იმ დროს დაარსდა, როცა ქვეყანაში უდიდესი გაჭირვება, ქაოსი იყო. არ გამოდიოდა არც ერთი საბავშვო გამოცემა, ქალბატონ ნანულის წინადადებით, გაზეთში შემოვიღეთ საბავშვო გვერდი და ბავშვებს დიდი სიხარული მივანიჭეთ. ჩვენს რედაქტორს შესანიშნავად ესმის გაზეთის გამოშვების ტექნიკური მხარე, მისი ყოველი ნიუანსი ზედმიწევნით კარგად ესმის. არ უყვარს არც მყვირალა და არც უფერული გვერდები. დიდ ყურადღებას უთმობს გაზეთში მოთავსებულ ფოტოებს, ილუსტრაციებს. საერთოდ, გაზეთის გაფორმების საკითხს. იგი ყველაფერს ისე დეტალურად კითხულობს, რომ ერთ სტრიქონსაც ვერ ჩავამატებთ მასთან შეუთანხმებლად. ხშირად საზღვარგარეთ ყოფნისას, როდესაც ნომერი, ფაქტობრივად, მზად ყოფილა, იქიდანაც კი გვიკავშირდება, აინტერესებს ყოველი დეტალი, ნერვიულობს, ხომ არ გამოგვერჩენია რაიმე სიახლე.

**ლიანა ნაკაიძე, განყოფილების რედაქტორი:**

— მე გაზეთში მეცნიერების, მედიცინის საკითხებს ვუძღვები. ჰუმანიტარული განათლების ჟურნალისტებს, როგორც წესი, უჭირთ ამ დარგების გათავისება. ჩემში ყოველთვის აღტაცებას და გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ ერკვევა ამ სფეროებში ჩვენი რედაქტორი. გენეტიკური კოდის გაშიფვრა, ახალგაზრდა ქართველი ფიზიკოსის გია დვალის ამერიკაში გაკეთებული აღმოჩენა, ბევრი სხვა მეცნიერული სიახლე, სწორედ მას მოაქვს რედაქციაში და ხშირად, თუ პირველები ვაშუქებთ ასეთ თემებს, ქალბატონ ნანულის დამსახურებაა.

**თიურა ვაშაძე, რედაქციის სტილისტი:**

— მე ჩემ რედაქტორზე სულ სხვა რამის თქმა მინდა, მას თავად აქვს გავლილი საკმაოდ ძნელი ბავშვობა. ბევრი განსაცდელი არგუნა ცხოვრებამ, ბევრი ლხინიც,



# ჩვენი რედაქტორი...

ალბათ, ამიტომ არასოდეს არაფერი აკვირვებს და ყველა მოვლენას სადად, რეალისტი ადამიანის თვალით უყურებს. მას „საქართველოს ქალის“ რედაქციიდან ვიცნობ. დამეღუპა მეუღლე — თამაზ ბიბილური. უდიდესი განცდები მქონდა, ალბათ, გარეგნულადაც დამეტყო ეს ყველაფერი. ერთხელ ვილაცის პანაშვიდზე შევხვდით, შემხედა, ალბათ, იგრძნო სულიერი განწყობა, მკითხა, როგორ ხარ, არ მუშაობო? რომ გაიგო, რაც მჭირდა, მითხრა, მოდი, მე მაქვს სტილისტის ადგილი. მე მაშინ მან სამუშაო კი არა, სიცოცხლე მაჩუქა. და, არა მხოლოდ მე.

**რუსუდან ხაბურზანია, გაზეთის კომერციული დირექტორი:**

— 17 წლისა ვიყავი, „საქართველოს ქალში“ რომ მივედი. მას შემდეგ 30 წელია მის გვერდით ვარ და მიმაჩნია, რომ ასეთ ადამიანთან შეხვედრა ჩემი ცხოვრების უდიდესი ბედნიერება იყო. დღესაც მაოცებს იმის ფონზე, რამდენი საფიქრალი აქვს ამ ქალბატონს (როგორც იტყვიან, ყოველ ოჯახში ხომ თავის კვაწია დუღს) და როგორ ახერხებს იგი ამდენი სითბოს გაცემას. მავანს, ალბათ, ჰგონია, რომ პირველი ლედის ცხოვრებაში ყველაფერი ია-ვარდითაა მოფენილი. ცხოვრება — ცხოვრებაა, მას თავისი კანონები აქვს, თავისი ბედნიერი წუთებით, განცდებით, შვილებზე ზრუნვით, ყოფნა-არყოფნის გააზრებით. მაგრამ ქალბატონმა ნანულიმ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გულით ატარა ლამაზი სიყვარული, სამშობლოს ღირსეული შვილები აღუზარდა. ჭირშიც და ლხინშიც გვერდში დაუდგა ქვეყნის პრეზიდენტს. იგი თავისი ქვეყნის უდიდესი მომავლის იმედით ცხოვრობს და ჩვენც გვჯერა მისი.

აი, როგორია ჩვენი რედაქტორი...

**P. S. ამ სტრიქონების ავტორი, საქინფორმის მთელი კოლექტივი სულითა და გულით ულოცავენ ჩვენს კოლეგას, ქალბატონ ნანულის ქალთა საერთაშორისო დღეს – 8 მარტს და დაბადების დღეს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, თავის სახელოვან ოჯახთან ერთად, ულევ სიხარულს, ქვეყნის, ერის დაუღალავ სამსახურში დიდ წარმატებებს, პირველი ლედის მძიმე ტვირთის კვლავაც ღირსეულად ტარებას.**

**ლამარა გაგუა,**
საქინფორმის კორ.

## სარვამარტო ბლიც-ინტერვიუ

# «ვფიქრობ, არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ჟიური არ არის პირუთვნელი»

(პირველი გვერდიდან)

მიყვარს კარგ სასტუმროში ცხოვრება, მიყვარს ჩემთვის უცნობი, ახალი ქალაქების დათვალიერება, მიყვარს ზღვის სანაპირო და ზღვაში ცურვა, მიყვარს მეგობრებთან, ვიწრო წრეში საუბარი.

**— რა არ გიყვართ?**

— არ მიყვარს ახლობელთა ავადმყოფობა, ტყუილი, ჩხუბი და აურზაური, არ მიყვარს სიგარეტი, არ მიყვარს სტაგნაციური მდგომარეობა და დასვენება ისეთ კურორტებზე, სადაც მოწყენილობაა. არ მიყვარს ზაფხულის სიცხე.

**— რას ერიდებით?**

— უსიამოვნებას, ადამიანებთან ურთიერთობის გაფუჭებას, კალორიულ საკვებს.

**— როგორი მამაკაცები მოგწონთ?**

— მოწონება ურთიერთობით და მამაკაცისგან მომდინარე იმპულსებით განისაზღვრება. იდეალური მამაკაცის პორტრეტის დახატვა ცოტა რთულია.

**— ყველაზე სასიამოვნო მოგონება.**

— ასეთი ძალიან ბევრია, მაგალითისთვის ერთ-ერთს მოგიყვებით: 1970 ან 71 წელი იყო. თბილისში ქოლერა გავრცელდა და ამის გამო თბილისის სკოლებში გახანგრძლივდა საზაფხულო არდადეგები. იმ ზაფხულს მშობლებთან და ძმასთან ერთად სოფელში ვისვენებდი. სკოლა, სწავლა რომ არ გაგვეცდინა, მამამ ორი კვირით ჩოხატაურის რაიონის ქვენობის სკოლაში შეგვიყვანა მე და ჩემი ძმა. შესაბამისად, ჩვენთვის არდადეგები დროულად დასრულდა, მაგრამ დღემდე მახსოვს ის დღეები, ლამაზი ცხოვრებით ვცხოვრობდით — რთველი, ბუხარში შემწვარი სიმინდი, საღამოობით მამა წიგნებს გვიკითხავდა...

გამორჩეული მომენტი იყო ჩემთვის, რადგან 10 წლის ვიყავი, როდესაც მამა გარდაიცვალა და ეს კონტაქტი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა.

**— რას კითხულობთ?**

— სამწუხაროდ, მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვის ნაკლებად ვიცლი და ეს დიდი დანაკლისია, მით უფრო, რომ ეს ჩემი პროფესიაც არის. ამ ბოლო დროს, ძირითადად, ვკითხულობ კულტურის პოლიტიკის წარმართვისათვის აუცილებელ მასალებს. ასევე, მეტ-ნაკლებად, ვახერხებ თანამედროვე ქართველი მწერლების ახალი ნაწარმოებების წაკითხვას.

**— გსურთ თუ არა, რომ ფლობდეთ რაიმე პრემიას?**

— არა მაქვს მიღებული არავითარი ჯილდო, არავითარი პრემია და ვთვლი, რომ ჩემთვის ეს სრულიად ზედმეტი ატრიბუტია. ერთადერთი, რაც მივიღე სკოლის დამთავრებისას, — ოქროს მედალი იყო და არ მსურს სხვა სახის ჯილდოს ან პრემიის მიღება, რადგან, ვფიქრობ, არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ჟიური არ არის პირუთვნელი. მათ შორის, არც რეიტინგები არ გამოხატავს ადამიანის საქმიანობის რეალურ შეფასებას.

**— საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი), მწერალი, მხატვარი.**

— საკმაოდ ცვალებადი განზომილებებია. ამჟამად, — რომი შნაიდერი, ძალიან მომწონს ზაზა პაპუაშვილის მიერ განსახიერებული გმირები; განსაკუთრებულია თომას მანი, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგაც ბევრი მომეწონა; ძალიან მომწონს გოიას, შაგალის, მოდილიანის, შალვა მატუაშვილის ტილოები.

**— რომელი დევიზი, ციტატა ან სიტყვა გასდევს თქვენს დღევანდელობას?**

— გაუძელი!!!

**ჩაიწერა ზურაბ ოიკაშვილმა.**

**P.S. ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ქალბატონ სესილის და მისი სახით ყველა ღირსეულ მანდილოსანს 8 მარტს, კიდევ ერთი გაზაფხულის მობრძანებას და ვუსურვებ, მუდამ გაზაფხულივით ლამაზნი, მიმზიდველნი და მომხიბლავნი ყოფილიყვნენ. (ზ.ო.)**

## თაობა

# რანი, რანი და რანი?!



„არ ვიცით რანი
ვყოფილვართ,
არ ვხედავ — რანი ვართ,
ვერ გამოგვისახია —
რანი ვიქნებით!“
ილია.

რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით ნეტავ?!
ფიქრით გულგაწყალებული, ამის კითხვასა ვბედავო,
მომავალს იმედით ვუჭვრეტ, მაგრამ ვერაფერს ვხედავო!
რა მოგვდის, რად დავმაბუნდით, ქართველნო, ვაი, დედაო!
ღმერთო მაღალო, ნეტარო, ერთ სურვილს შემოგბედავო,
იმედის თვალით გიყურებ, ნატვრითა შემოგხედავო;
წინ-წინ ყურებით დაღლილი, განვლილსაც გადავხედავო,
რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით ნეტაო?!

* * *

მე ვარ სიო, დაღლილ სხეულს რომ ელამუნება,
მე ვარ ნიავი, დაჭრილ გულს რომ ესალბუნება,
მე ვარ ქარი, მიტოვებულ კარს რომ აჭრიალებს,
მე ვარ ქარბუქი, ტყეს ტკივილით რომ აღრიალებს.

ფიქრებს ქარბუქი დავუტევე, გამოვიქეცი,
ქარში სირბილით მე ცრემლებად გადავიქეცი,
ნიავი ჩემს თავს დაგიხატავს ვარდის ფერებად,
მოვა სიო და დაღლილ გულზე მოგეფერება.

**მაია წიგნაძე,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრემიის ლაურეატი.
ქ. თელავი.

## მიმართვა

# პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება

**გაეროს განვითარების ქალთათვის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ნოელენ ჰეიზერი მიმართავს მსოფლიოს ქალებს:**

ქალთა საერთაშორისო დღეს ჩვენ ვუცხადებთ სოლიდარობას მსოფლიოს ქალებს, და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ქალთა პრობლემების გადაწყვეტა რეკონსტრუქციის პროცესის ყველა დონეზე საარსებო მნიშვნელობისაა. ჩვენ გვინდა მოგიწოდოთ ვალდებულებებისა და ფინანსური რესურსების ზრდისაკენ, რაც განაპირობებს „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ შესრულებას. აგრეთვე, ჩვენი სურვილია გაიზარდოს ქალთა პრობლემების გადასაწყვეტად მიმართული საერთაშორისო დახმარება, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველი და იზოლირებული ქალთა ჯგუფებისათვის. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა არ წარმოადგენს რომელიმე სამთავრობო ინსტიტუტის პრეროგატივას. ეს არის საქმე, რომელიც საჭიროებს ადამიანური ძალისხმევისა და შემოქმედებითი რესურსების გაერთიანებას, რაზეც პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება როგორც ქალებზე, ასევე მამაკაცებზე.

საქინფორმი.

## დედის სადიდებლად

**ვაჟა ეგრისელი**

# ასინეთ

**ქინვალის გათხრებისას აღმოჩნდა საფლავის ქვა წარწერით: ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალვაჟი ვყავდით; მე ცხრამეტ შვილს ვტოვებ, თქვენ?..**

**ასინეთ შავერზაშვილი.**
**(პოეტ ნოდარ შამანაძის ცნობა).**

ცის ვარსკვლავები არი შენი საგალობელი,
ცხრამეტი აკვნის რწევის ხმა რომ ქართველთ ასმინე.
შენს ფიქრებს ვხედავ ჟამით მობერილს,
დედა ასინეთ!

შენ გაიხარე! რა სიმაღლეა,
„ვყავდით თვრამეტი, მე დავტოვე შვილი ცხრამეტი“.
მზით მოკაშკაშე საქართველო ჩვენი სახლია,
გადახურული ვარსკვლავების წითელ კრამიტით.

შენს ქართველობას, შენს დედობას ლოდი ღაღადებს
და კვლავ გვიღვივებს გულში იმედებს...
არ განვადგურდით! და რომ ავმაღლდით!
შენი ღვაწლია, შენს სულს მივენდეთ!

თავს დაგვკიოდა მტერი მსახვრალი,
დღე რომ ექცია ჩვენთვის ღამეთი,
მაგრამ გულებში ჩასცეს ლახვარი,
ერთი კი არა, ცხრაჯერ ცხრამეტი.

„კაფე-თესეო“, — უხმობს გუგული,
საქართველოს მთებს ლურჯს და ბანიანს...
და აი, ახლა, მძლედ რომ გუგუნებს,
არაგვი არა, შვილთა შენთა მძლავრი ბანია.

აღსდექ!
ზარს დაჰკარ შენ ხარ მეზარე,
შუქი დაგვფინე ქალღმერთ ნიკესი.
სანამ დაგვამხობს, სანამ შეგვზარავს,
დრო — კოჭლ თემურზე უსასტიკესი.

აღსდექ!
მოუხმე დედებს ქართვლისა,
რომ დღეს ქართლია ველი მარტყოფის.
ერის ზარს დაჰკარ ხმა — სიმართლისა,
ესმას მთა და ბარს დგება ჟამი ყოფნა არ ყოფნის.

სანამ დღეები ჩვენს სიმაღლეს დაბლა დახნავენ,
სანამ თამარის და დავითის მზე ჩაგვიქრება.

აღსდექ!
ზარს დაჰკარ! დღესვე, ახლავე,
თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება.

გამოგვაფხიზლე, მოდი, მოასწრე!
არული უთხარ მტერს და ავსულებს.
მამა-პაპათა ძვლებით ნაგებ ტაძრებს, მონასტრებს,
დაეპატრონენ სანამ სხვები ჰერეთს, ასურეთს.

დმანისს და ბოლნისს... არხოტს, ასპინძას,
სანამ დახედავს ცა უფერული,
სანამ ჩაგვთვლიდნენ სტუმრად მასპინძელს,
ჩვენი მიწა-წყლის, ასჯერ დაცულს „დავითფერულით“.

აღსდექ!
ზარს დაჰკარ! გამოაღვიძე,
მიძინებული ქართვლის დედები.

ქართველ ვაჟკაცში გული არა, მზე და ნაღმი მევს —
მიდიელების,
შუმერების,
მველი ხეთების.

ვართ უდრეკელნი, თან მიამიტი,
ზოგჯერ თვით ღმერთთან ჭიცით შებმა და შეჭიდება...
როგორც არასდროს შვილი ცხრამეტი!
დღეს საქართველოს უფრო სჭირდება.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს




# მეშვიდე მიმდინარე წელი და 8 მარტის დღესასწაული

ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 1 მარტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში შეიტანა შესწორება, რომლის თანახმად 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე — საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდა. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 120-მა დეპუტატმა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ფაქტმაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. აქაოდა, კლარა ცეტკინის დაწესებული დღესასწაული რატომ უნდა ვიზეიმოთო (ნეტა, იმ 19 დეპუტატის თავში ჩამახედა, წინააღმდეგი რომ იყო!).

დალოცვილო, კლარა ცეტკინის კი არა, თუნდაც როზა ლუქსემბურგის იდეა იყოს, საერთაშორისო დღეა, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აღინიშნება და რა მოხდა, თუკი ჩვენი ქალებიც იზეიმებენ?! უფრო სწორედ, ჩვენ თუ გვექნება კიდევ ერთი მიზეზი მათ მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად?!

ყველა დღე მათ ეკუთვნით, მაგრამ მაინც...

თუმცა, არ ვაპირებ იმის განსჯას, აუცილებელი რომ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. ის არის გულდასაწყვეტი, რომ ქვეყნის პარლამენტმა აქამდე ვერ მოიცალა საამისოდ. არადა, პროფესორმა გივი ინწკირველმა ჯერ კიდევ 1996 წლის 16 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა წერილი მოწოდებით „8 მარტი უნდა აღდგეს! ჩვენმა ქალებმა რაღა დააშავეს?“

გავიხსენოთ, რას სთხოვდა ბატონი გივი ქართველ კანონმდებლებს 6 წლის წინათ:

*„8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა, რომელიც საზეიმოდ აღინიშნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ეს ტრადიცია თანდათან გადაიქცა ოფიციალურ დღესასწაულად ბუნებისა და ღმერთის შესანიშნავი ქმნილების — ქალის მიმართ მამაკაცების პატივისცემის, საზოგადოებაში მისი განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის აღიარების გამოსახატავად. ისეთი ცნებები, როგორიცაა სილამაზე და სინაზე, მშვენიერება და კდემამოსილება, სიყვარული და ტრფიალი, სინდისი და პატიოსნება, ქორწინება და ოჯახი, მშობელი და გამზრდელი — უპირველეს ყოვლისა, ხომ ქალის სახელთანაა დაკავშირებული! განუზომელია ქალების მონაწილეობა და წვლილი ნებისმიერი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.*

*ამიტომ იხრიან ქედს მამაკაცები „სუსტ არსებებად“ წოდებულ ადამიანთა წინაშე, მიუხედავად მათი ასაკისა და ეროვნებისა, მათთან ნათესაური თუ სამსახურებრივი ურთიერთობისა, ამიტომ მიართმევენ ყვავილებს და საჩუქრებს, ულოცავენ მათთვის სასიხარულო თარიღებსა და დღეებს.*

*მართალია, ქალის მიმართ პატივისცემა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა მჟღავნდებოდეს, მაგრამ ამ დამოკიდებულების გამოკვეთილად და ხაზგასმულად ერთ დადგენილ დღეს საზეიმოდ აღნიშვნა მაინც სასურველია. ნუ მოვაკლებთ ამ დღესასწაულს მხოლოდ საქართველოს ქალებს, ნუ დავკმაყოფილდებით მხოლოდ დედის დღის აღნიშვნით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ დედაა პირველი ქალი, ხოლო დედობა — უმაღლესი გრძნობა. ქალის ცნება უფრო ფართოა და გაზაფხულის ეს დღესასწაული ყველა ქალისა უნდა იყოს.*

*საჯაროდ მივმართე საქართველოს პარლამენტის წევრებს — აღადგინონ მიმდინარე წელსვე 8 მარტი, როგორც საზეიმო-სადღესასწაულო არასამუშაო დღე, ხოლო მანდილოსნებს წინასწარ ვულოცავ მათთვის სასურველ დღესასწაულს“.*

ამ წერილის გამოქვეყნებიდან, როგორც გითხარით, ექვსი „მიმდინარე წელი“ გავიდა: და აი, უკვე მეშვიდე მიმდინარე წელს, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება — ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ინიციატივით. ლოგიკური იქნებოდა ეს ინიციატივა მამაკაცებს გამოგვეჩინა. პარლამენტარებს რომ თავის დროზე მიექციათ ყურადღება პროფესორ გივი ინწკირველის წერილისთვის, უხერხულობასაც თავიდან ავიცილებდით.

ბატონი გივი გუშინ რედაქციაში გვეწვია და სწორედ ასე გვითხრა, ეს ინიციატივა კაცებს უნდა გამოეჩინათო. ამიტომაც გვთხოვა წერილის განმეორებით გამოქვეყნება და მილოცვისა და მისი საუკეთესო სურვილების გადაცემა ქალბატონი ნინოსა და ყველა მანდილოსნისადმი.

ვუსურვებთ ბატონ გივი ინწკირველს თხოვნას და აქვე მასაც ვულოცავთ 8 მარტს — დაბადების დღეს.

**ზონდო მძინარაშვილი.**



*სურათებზე: ასეთი იყო „სრ“ 1996 წლის 16 თებერვლის ნომრის პირველი გვერდი; პროფესორი გივი ინწკირველი მსოფლიო იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტთან, ქალბატონ მარგარეტ ჰენებერთან ერთად საერთაშორისო კონგრესზე დუბლინში (2001 წლის ოქტომბერი).*

# ქალები ჩვენს სამყაროში...

| 36% | 36% | 21% | 7% |
|---|---|---|---|
| მამაკაცთ ემორჩილებიან | მამაკაცთ ემბრძანებლებიან | მამაკაცთ უფლებით ეთანაბრებიან | ამაზე არ უფიქრიათ |

# თავკაცობთ თუ თავქალობენ?

ამ მაინც იმათი წყალობით გვიდგას. ჩვენს მორიგ გამოკითხვაში ერთი უპირატესობით ქალებმა გაიმარჯვეს. ალია, ამ ერთმა ზედმეტმა ხმამ არ ად ზეგავლენა ვერ მოახდინა პროცენტ თანაფარდობაზე, მაგრამ ფაქტი ფარჩება, და ჩვენ, მამაკაცები, ქალთა ამ დიდი დღესასწაულის დღეს ვაცხადებთ: ჩვენი ქალები, მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო ქალურები არიან, და მოხარულნი ვართ, რომ ემბრძანებლობთ კიდეც და ვმორჩილებთ კიდეც. ოღონდ თანასწორუფლებიანობას ვერ მოესწრებიან!

„ოგონიოკი“ №9.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 56-57. პარასკევი, 8 მარტი, 2002 წ.

პრეზიდენტის სტიპენდიატი



# მომავლის მეცხოვნეს გზა ჭაბუა ამირეჯიბმა დაულოცა

„ – დროა, აჩურჩულდნენ ხეები,

– დროა, – სისინებდა ნიავი,

– დროა, იმეორებდნენ ჰაერის გამჭვირვალე თალები, და თითქოს ყველა და ყველაფერი ერთხმად, მონოტონურად გაიძახოდა ამ სიტყვას – დროა!..“ – ასე იწყება მარიამ ნატროშვილის ერთ-ერთი ნოველა „დაბადება“.

გავყვეთ ამ ახალგაზრდის გზას...

გეცნოთ ალბათ, მისი გვარი. გიორგი ნატროშვილის შვილიშვილია. გოგონას კალმისტარი სკოლის მერხიდანვე გახდა მოპირული... წერს... ხატავს... უყვარს ბუნება... ბევრისთვის იგი გახდა ცნობილი საგამოფენო დარბაზიდან „ძველი გალერეა“, სადაც მან თავისი ნამუშევრები გამოფინა და ასეთი მოწოდებით გააერთიანა;

– დედამიწა... SOS!“ ნახატებში მარიამმა შეძლო თავისი თაობის დამოკიდებულების გამოხატვა ეკოლოგიური პრობლემებისადმი, – ახალგაზრდული მაქსიმალიზმის თანხლებით სოციალურად აქტიური პოზიცია წარმოაჩინა.

მარიამმა ეს მაშინ ყოველივე პლაკატის ფორმით მოახერხა. ხელოვნებათმცოდნეები კი კომპეტენტური შეფასებით მის ნამუშევრებს უფრო ესთეტიკურ და სოციალურ ასპექტებს შეეხნენ, სადაც საყურადღებო იყო მარიამის ცდა თვითგამოხატვისათვის. მის ნამუშევრებში წარმოჩინდა კიდევ ერთი ასპექტი – ინტელექტუალური, ჩვეულებრივი, თუ როგორ უთმობენ სკოლებში აღზრდილები ადგილს ბუნების შესწავლისას ესთეტიკური გრძნობის აღზრდას, ცხოველების მცენარეების მოვლის ჩვევათა გამომუშავებას. გამოჩნდა ისიც, თუ როგორ იყენებს გოგონა ბუნებაზე დაკვირვებებს ანალიზისათვის, რაც აშკარად რეფორმატორული სკოლისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ ანალიზის ლოგიკურმა სურვილმა მიიყვანა ნორჩი ავტორი კონცეპტუალური ხელოვნების გამომსახველ საშუალებათა გამოყენებამდე.

მარიამს არ უყვარს თავისთავზე ლაპარაკი, თავისებური სიჯიუტეც ახასიათებს, სამაგიეროდ ბუნების ყურადღებიანი დამკვირვებელია. გოგონას თვალი, ყური, შეხების შეგრძნება საოცრად წარმოაჩენს გარე სამყაროს; თავისთავად ყოველივე ამ ახალგაზრდის თავისუფლების, ოცნების, ფანტაზიების თამაშია; როცა მუშაობას იწყებს, ამ დროს სწავლობს კიდეც და აკვირდება, ასრულებს რა გარედან მიღებულ „ბრძანებას“, თვითონვე უფროსებისაგან დამოუკიდებლად საზღვრავს დასახულ მიზანს. ამიტომ მისთვის თამაშსა და საქმიანობას ორივეს ერთად სრულიად უმტკივნეულოდ აერთიანებს.

მარიამი ჯერ 14 წლისაა, ადრე იურისტობა სურდა... მაგრამ საზოგადოებამ იგი არაერთხელ ნორჩ მხატვართა კონკურსში გამარჯვებით გაიცნო და დააჯილდოვა კიდეც...

...ხატვასთან ერთად წერს ნოველებს... თბილისის 57-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე მარიამის პირველი ნოველა „შავი“ პროფესორ დევი სტურუას წარდგინებით და წინასიტყვაობით „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა.

...„თავის ნოველებშიც გარე სამყაროსადმი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს. აქვს ორიგინალური ხედვა, ღრმა და საინტერესო დაკვირვებები, მძაფრი განცდებიც... თავისი მცირე ფორმის ნაწარმოებებით მარიამი თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროს გადმოსცემს, ამავე დროს დიდ ადამიანურ სევდასაც, რომელიც ბავშვისათვის უჩვეულო განცდებით არის გამოწვეული სამყაროს შეცნობის უსასრულობა.

...მისი სახით ქართულ მწერლობას იმედის მომცემი ცელა ეზრდება“ – ასე ახასიათებს მას მწერალი **ჭაბუა ამირეჯიბი.**

– „...გულდასმით გავეცანი თბილისის 57-ე საკოლის მე-9 კლასის მოსწავლის მარიამ ნატროშვილის შემოქმედებას. ჩვენთან მან რამდენიმე ვრცელი მოთხრობა წარმოადგინა. მისი მოთხრობები ჩანაფიქრის, სიღრმის, შესრულების ჟანრით უთუოდ იქცევენ ყურადღებას და აშკარად სცილდებიან 14 წლის გოგონას შესაძლებლობებს, მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში მსგავსი ფაქტების მოძიება შეიძლება. თუ მისი ნიჭი და მონაცემები შემდგომში სწორად წარიმართება, ვფიქრობ, მისგან კარგი მწერალი დადგება.

ნიჭიერი ბავშვების წახალისება უდავოდ ეროვნული, სამომავლო საქმეა და ჩვენისთანა პატარა ერი განსაკუთრებით ამით უნდა იყოს დაინტერესებული“, – განაგრძობს მის დახასიათებას ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი **ნარგიზა მგელაძე.**

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **ნოდარ ამაღლობელი** კი დასძენს: „...მარიამის აზროვნების მთელი სიღრმე და ორიგინალური ხედვა, პოეტური ბუნება და დახვეწილი სტილი, რაც აღემატება ყოველგვარ ასაკობრივ ზღვარს, სრულიად გამოვლინდა მის ნოველებში. მათ მალე გაიკვლიეს გზა რედაქციებში და ცნობილ მწერალთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს“...

ჰკითხავთ გოგონას თავის ბიოგრაფიას? – ის ასე მოგიყვებათ: – „1987 წლის იანვრის ცხრაში, არც თუ ცივ დღეს დავიბადე: პატარაობიდანვე ტყე-ღრეში ხეტიალი მიყვარდა. მიყვარდა ბუნება, ცხოველებიც...

ხატვაც ადრე დავიწყე... ეხატავდი ფანქრით... სკოლაში 5 წლისა შემიყვანეს. მახსოვს, მაშინ პატარები ტიროდნენ, მე ცრემლიც არ გადმომვარდნია; ბეჯითად ვიმეორებდი – ტირილი რა გოგოს საქმეა-მეთქი.

ვინ არიან ჩემი საყვარელი მწერლები? – ვაჟა, ჯეკ ლონდონი, ოსკარ უაილდი, რეი ბრედბერი...

...როცა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში მოსწავლე მარიამ ნატროშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა – მისი ჯერ კიდევ დამწყები ნოველისტის შემოქმედება ასე შეაფასეს: – „წერისა და ხატვის გარდა უყვარს მოგზაურობა, ბუნებასთან ახლოს ყოფნა, წერს ყოველთვის, როდესაც ახალ ადგილზე მიდის... მაგალითად იმერეთში, სადაც არაჩვეულებრივი ბუნებაა, დაწერა: „დიდი პატარა განთიადი“.

წერს, როცა მშვიდადაა და თანაც მუსიკასთან ერთად; მისი ოცნებაა ევროპაში იმოგზაუროს... უპირატესობას ანიჭებს უსასრულობას... ამბობს: – არ მიყვარს, როცა მშლიდავენ, თავისუფლებაზე კარგი არაფერია!

მარიამს სჯერა, რომ საზოგადოების ნაწილი არ არის თავისუფალი, ამიტომ ადამიანთა დიდ ნაწილს რომ საკუთარი თავის გამოვლინება არ შეუძლია, სამწუხაროა...

თავის ნოველებს მარიამი საკუთარი ნახატებით ასურათებს: პოდა, კითხულობთ მის ნოველებს „გა-ფრენ-ილი“, „ღამის მზე“, „უსასრულობა და ტრასა“, „წამ-სილამაზე“, „უ-ენ-ო“, „შავი ანგელოზი“, „მზის შვილი“, „ქამი უსასრულობისა“, „სიცოცხლის მხატვრები“, „სარკემიმაგრებული პლანეტა სახელად ტვინი“, „მოკლული მზე“ (მარიამის სიტყვებია: „განთიადი – სიტყვა, რომლის გაგონებაზე შენს თავზე წარმოიდგენ მზეს... სინათლე თავიდან მოლურჯოა, შემდეგ კი ყვითელი, თეთრი და მზისფერი დილა...“).

დიახ, ჯერ დილაა ამ გოგონას ცხოვრებაში, წინ კიდევ საქართველოს მომავალ მეცხოვენეს დიდი გზა აქვს გასავლელი, ის კი იმ თაობის წარმომადგენელია, ბურჯად რომ უნდა დაუდგეს თავის ქვეყანას.

მომავალი მას ჭაბუა ამირეჯიბმა დაულოცა: მასზე მეტი მარიამზე აბა მე რა მეთქმის, უბრალოდ ის გაგაცანით. მწერალი მარიამის შემოქმედების შეფასებაში არ შეცდებოდა; ნათქვამია, „კვიცი გვარზე ხტისო“, მჯერა, მარიამი ბაბუის გიორგი ნატროშვილის მამის თამაზის გაკვალული გზის და ტრადიციული ოჯახით დაკვალიანებული თავისი ქვეყნის ერთ-ერთ მეცხოვენობას უთუოდ იკისრებს...

– ცხოვრება ქმნის მწერლობას, ოღონდ მკითხველზე მისი ზემოქმედების ძალას შემოქმედების ოსტატობა განსაზღვრავს, არაერთხელ მომისმენია ამ არაჩვეულებრივი მთხრობელისა და დოკუმენტალისტისაგან ჭაბუა ამირეჯიბისაგან გამორჩეული რომანების „დათა თუთაშხიას“ და „გორა მბორგალის“ ავტორისაგან. მისი ალღოსი მჯერა, არც შემცდარა, როცა მარიამ ნატროშვილს რეკომენდაცია მისცა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიის მისაღებად, არის კიდეც მარიამი ღირსეულთა სიაში...

**ნათელა ფაილოძე.**

განათლება

# სკოლის დირექტორი უჯარმიდან



საუკუნეების წინათ სატახტო ქალაქმა, დღეს კი სოფლადქცეულმა უჯარმამ გამორჩეული სახელი დატოვა საქართველოს ისტორიაში. ჯერ კიდევ III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისში „შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფარუგ და აღაშენნა ციხე-ქალაქი უჯარმა („ცხოვრება მეფეთა“)“. აქ დაიდოდნენ ასფარუგ პირველი და რევი მეორე. აქ მირიანმა „დასვა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას“. რევი მეორის მეფობის დროს უჯარმა უკვე მხეთის გვერდით იხსენიება. ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“-ში ვკითხულობთ: „მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო: – წარიხვენით ორნი ჯვარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა-იგი გამხილა ღმერთმან ძალი მისი და ერთი მიეც სალომეს, მხევალსა ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა“... იმ დროიდან დღემდე, ყოველ ოც მაისს, ამ ადგილას უჯარმელები ჯვარპატიოსნობას ზეიმობენ. მეხუთე საუკუნეში კი „თუით ვახტანგ დაჯდა უჯარმასა და აღაშენნა იგი...“ აქ დააბიჯებდა გოლიათი მეფე... უქარქაშო ხმლების პატრონები აქ ებრძოდნენ სპარსელებს, არაბ სარდალს აბულკასიმს, აქ უმკლავდებოდნენ ქართველები ერეკლეს დროს ოსმალებს. ამის თუნდაც ნიმუში ქართული ხალხური პოეზიიდან:

**უჯარმის ბოლოს შეიბნენ,**
**შეიძრა მთა და ბარია,**
**თოფი სჭექს ზარბაზანი ქუხს,**
**სისხლისა მოსჩქეფს ღვარია,**
**ხმლები ელავენ ჰაერზე,**
**მტრებს მისთიბთ**
**ქართველთ ჯარია...**

გადაიარეს საუკუნეებმა და ქართველთა სისხლით მორწყულ უჯარმის მიწაზე უამრავი ყაყაჩო აყვავდა... დღეს უჯარმა ერთი ჩვეულებრივი ქართული სოფელია თავისი საკრებულოთი, ბუნებრივი სამკურნალო წყლებით, სასოფლო კლუბით, ბიბლიოთეკით, საშუალო სკოლითა და საბავშვო ბაღით. სწავლა-განათლების კერა აქ XX საუკუნის დასაწყისში დაფუძნებულა. უჯარმელი ალია შინდელაშვილის სახლში 1908 წელს ორწლიანი სამრევლო სკოლა გაუხსნიათ. მასწავლებელი სამა ქიმიყელი ყოფილა. ორი წლის შემდეგ სკოლა ოთარ დათუნაშვილის სახლში გადაუტანიათ. ამ დროისათვის სოფლის მამასახლისი დავით მანაგაძე ყოფილა, რომელსაც მთავრობისთვის უთხოვია სკოლისთვის შენობის აშენება და მაშინ დასტურიც მიუღია.

1913 წლის 1 სექტემბერს სოფლის მღვდელს უკურთხებია სკოლის ახალი შენობა და ზარიც აწკრიალებულა. ორწლიანი სწავლება ოთხწლიანით შეცვლილა და მასწავლებლად ლიზა და დავით ჯავახიშვილები დაუნიშნავთ. 1934 წელს ოთხწლიანი სწავლება შვიდწლიანით შეიცვალა, შვიდწლიანი – რვაწლიანით და 1990 წლიდან სოფელს უკვე საშუალო სკოლა აქვს. დღეისათვის საგარეჯოს რაიონში სოფელ უჯარმის საშუალო სკოლა ერთ-ერთ ძლიერ სკოლად ითვლება. ამ სასწავლებელში უჯარმელ ბავშვებთან ერთად მუხროვანის სამხედრო ნაწილის მოსამსახურეთა შვილებიც დადიან. ასამდე მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 17 მაღალკვალიფიციური მასწავლებელი ემსახურება, სკოლას თორმეტი წელიწადია ღირსეულად უძღვება უჯარმელი ნინო დათუნაშვილი. მისი თავკაცობით წესრიგშია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აქედან „იმ წლებშიც“ კი არაფერი დაკარგულა, რაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. მოვლილია თვით სკოლის შენობა, თვალსაჩინოებებითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კლას-კაბინეტები, მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობანი, ინვენტარი, სპორტული მოედანი, სასწავლებლის ეზო-გარემო. ზამთარში შეშის ღუმელებით თბებიან. შეშით კი ყოველთვის სოფლის გამგებელი ჯემალ მანაგაძე დროულად ამარაგებს.



უჯარმის სკოლის მასწავლებლები მონაწილეობენ რესპუბლიკურ პედაგოგიურ სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებში, რაიონის მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდგაერთიანებების მუშაობაში. მასწავლებლები ზრუნავენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოსავლენად, რაიონული, ზონალური, რესპუბლიკური ოლიმპიადებიდან და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებიდან ისინი ხშირად სიგელებითა და დიპლომებით ბრუნდებიან. შარშან მათმა მოსწავლემ გერმანულ ენაში ჩატარებულ რესპუბლიკურ ტურშიც გაიმარჯვა.

უჯარმელმა მასწავლებლებმა კარგად იციან – ღირსეულ წინაპართა ხსოვნას რომ ეკადრება, ისეთი თაობები უნდა აღზარდონ. სკოლის კოლექტივი განათლების სისტემაში სკოლაში მიმდინარე რეფორმებს მიჰყვება. ნაყოფიერად მუშაობენ საგნობრივი წრეები, მეთოდგაერთიანებები, ისტორიკოსების ნანა ნიკოლოზაშვილისა და დათო არაბულის ხელმძღვანელობით აქაური მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, თავადაც ისტორიული უჯარმის მკვიდრნი უვლიან და პატრონობენ უჯარმის ციხე-სიმაგრეს; მათ უკვე აღწერეს უჯარმის შემოგარენის 16 ხუროთმოძღვრული ძეგლი, მოიძიეს თითოეული მათგანის ისტორია, შექმნეს ფოტო-ალბომები, დაიწერა სკოლის მატიანე და ა. შ. ფილოლოგების ნინო დურგლიშვილისა და მანანა აბურჯანიას მოსწავლეები სისტემ[...] რად მონაწილეობენ რაიო[...] ღონისძიებებში. საგარეჯოს[...] იონში კი საუკეთესო პედ[...] გებად ითვლებიან ამ სოფ[...] სკოლიდან: ვენერა მაღერ[...] ვილი, ელიკო ჯულუხიძე დ[...] ვები. პედკოლექტივიდან სამ[...] ქართველოს განათლების [...] ჩინებულის სამკერდე ნიშ[...] არის დაჯილდოებული. ამ [...] ფლის მოსწავლე-ახალგაზრ[...] ბის ბედი საიმედო ხელმძ[...] ნელის ხელშია. თავად პედა[...] მშობლების – როზა და არ[...] დათუნაშვილების ოჯახში [...] რდილი დედისერთა ქალიშ[...] სკოლას თავის მეორე ოჯა[...] მიიჩნევს. მან თბილისის [...] ლმწიფო უნივერსიტეტის [...] ველეთ ევროპის ენებისა და [...] ტერატურის ფაკულტეტი გე[...] ნული ენის სპეციალობით [...] წელს წარჩინებით დაამთა[...] სტაჟირება გერმანიაში, ქა[...] იენის უნივერსიტეტში გაი[...] იენაში, ერთი წლის განმავ[...] ბაში მამამისის მეგობრ[...] (მამამისიც გერმანისტია) [...] დოლფ და დოროთეა ლინდე[...] ნებთან ოჯახში ცხოვრო[...] ცოლ-ქმარი ნინოს დედობი[...] მობილად ითვლება. დღესაც [...] მიმოწერა ნინოსთან, ტელ[...] ნითაც ერთმანეთს ხშირად [...] მიანებიან.

ნინო დათუნაშვილი ერთ[...] ლად ემსახურება მომავალი[...] ობის აღზრდას. იგი ერთხანს [...] ვისი რაიონის მთის სოფლ[...] სკოლებში მასწავლებლობდ[...] მდეგ საგარეჯოს რაიონის [...] ნათლების განყოფილებაში [...] მეთოდისტად იმუშავა, შემ[...] სასკოლო ინსპექტორად. [...] წლიდან კი მშობლიური სოფ[...] სკოლის დირექტორია. საგა[...] ჯოს რაიონში გერმანული [...] ერთ-ერთი საუკეთესო სპე[...] ლისტია. ადრე მას ხშირად [...] ვევდნენ თბილისის სულხან-[...] ორბელიანის და თელავის [...] კობ გოგებაშვილის სახელ[...] სახელმწიფო პედაგოგიურ[...] სტიტუტებში გამომცდელად [...] რმანული ენის მისაღებ გა[...] ცდებზე, მისმა აღზრდილმა [...] გარეჯოელმა იამზე კეღლი[...] ლმა ბერლინის უნივერსი[...] დაამთავრა, ასევე ეკა ლა[...] შვილი დღეს საგარეჯოს [...] სკოლის გერმანული ენის მ[...] წავლებელია, მისი მოსწა[...] ები გერმანული ენის მისაღ[...] გამოცდიდან ხუთიანის გარ[...] არ ბრუნდებიან. სკოლის დი[...] ქტორი ყოველმხრივ სამაგა[...] თოა უჯარმელებისათვის, ნი[...] შექმნა არაჩვეულებრივი [...] თული ოჯახი. მისი მეუღლე [...] რან მელიქიძე სამთო ინჟინ[...] გახლავთ. ჰყავთ სამი შვილი [...] რიამი, რუსუდანი და გიორ[...] სამივე იმ სკოლის მოსწავლ[...] სადაც დედაა დირექტორი.

ახე რომ, უჯარმის დაღლი[...] და ბებერ მიწაზე კვლავ მ[...] ვალი თაობის ქრიამული ის[...] მათი სწავლა-აღზრდის საქ[...] ები საიმედო ადამიანების [...] ლშია, აქ ისეთი ახალგაზრ[...] ბი იზრდებიან, რომ იტყვიან [...] რთველ მეფეთა საბრძანებ[...] რომ ეკადრება...

**ლეილა არჩემაშვი[...]**

**სურათებზე: უჯარმის საშუ[...] სკოლის დირექტორი ნინო და[...] ნაშვილი; სკოლის შენობა.**

სიყვარული

# ნამდვილი გრძნობა წლებმა ვერ გაახუნა

**მედეა გუგუტიშვილი და გემირ ალბოროვი ისე უხდებიან ერთმანეთს, ვერც კი წარმოიდგენთ უერთმანეთოდ. უხდებიან ქალაქსაც და ათეული წლების მანძილზე უხდებოდნენ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სიმდსაც“, სადაც ჯერ კიდევ დაქორწინებამდე ასრულებდნენ ერთად სხვადასხვა ცეკვას და ნეფე-პატარძლის როლებსაც სარიტუალო ქორწილში.**

– ახლა რომ თხოვდებოდე, ისევ გემირს გაჰყვებოდი? – შეპარვით ვეკითხები მედიკოს იმაზე, რაც ასე ხშირად გაისმის ამ ათი წლის მანძილზე ჩემს ირგვლივ.

– არც დავფიქრდებოდი, – იყო პასუხი და დასძინა: მე ხომ მიყვარდა... და ახლაც მიყვარს...





გემირი განზე იხედება, ულვაშებში ეღიმება.

არც მას ჰყვარებია ნაკლები გრძნობით, რომ რაიმესთვის გაეწია ანგარიში. დღესაც არ გახუნებულა მათი გრძნობები, როცა უკვე გადააბიჯეს ნახევარსაუკუნოვან ზღვარს და ახლახან ვერცხლის ქორწილიც იზეიმეს.

მედეა გუგუტიშვილი „სიმდში“ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიიღეს, 10 წლიდან ცეკვავდა ცხინვალის მეორე საშუალო სკოლასთან არსებულ თვითმოქმედ ანსამბლში.

პირველსავე გაკვეთილზე იგრძნო გოგონამ, რა გატაცება სცოდნია მუსიკის თანხლებით ნარნარ, გრაციოზულ მოძრაობას. და ეს გატაცება მისთვის სამუდამო აღმოჩნდა. მედიკოს დაოსტატებაში თავთავისი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა დროს ანსამბლის ხელმძღვანელებმა – საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა შელს მაღლოხოვმა, ასლან კაბისოვმა, პაველ ბითიევმა, ანსამბლის მთავარმა ბალეტმაისტერმა ხაზბი გაგლოევმა, რომლებმაც შეიყვარეს შრომისმოყვარე, ნიჭიერი ქალიშვილი და მანაც გულით შეიყვარა ისინი.

მედეას ანსამბლში მისვლას დაემთხვა ანსამბლის ერთ-ერთი მოცეკვავის გემირ ალბოროვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, ხოლო როცა ორი წლის შემდეგ გემირი მშობლიურ კოლექტივს დაუბრუნდა, უმალ მოიხიბლა ტანწერწეტა, მაღალყელა და ლამაზ თვალ-წარბა ქალიშვილით. მათ, მართლაც, ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი და ერთი წლის შემდეგ იქორწინეს კიდეც. მერე იანა შეეძინათ, მომდევნო წელს კი ირეპ.

თუ იმ წლებს არ ჩავთვლით, მეტი გაცდენები მედეას არ ჰქონია ანსამბლში. თითქოს ავად გახდომის უფლება არ ჰქონდაო – დუბლიც კი არასოდეს ჰყოლია, რადგან ანსამბლის ხელმძღვანელობამ იცოდა საქმისადმი მისი ერთგულება.

არანაკლებ უყვარდა თავისი პროფესია გემირსაც. ყაზახეთში სამხედრო სამსახურის დროსაც ცეკვავდა თვითმოქმედ ანსამბლში. ერთ-ერთი ფესტივალის ლაურეატიც გახდა და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. „სიმდში“ კი 1979 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი უბოძეს. 26 წელი იცეკვა ანსამბლში. სახასიათო ცეკვებს ასრულებდა, განსაკუთრებით მოსწონდა მაყურებელს მთიელთა ცეკვაში, კინტოურში. ანსამბლის პარალელურად ცხინვალის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ასწავლიდა პატარებს ცეკვის ხელოვნებას, ბოლო წლებში კი ცხინვალის ლიცეუმსა და კულტურის სახლში ამეცადინებს ბავშვთა ანსამბლებს.

მედეამაც ანსამბლში მოღვაწეობის პარალელურად მიიღო უმაღლესი განათლება და თუმცა პედაგოგად არ უმუშავია, სამაგიეროდ, ორივე ქალიშვილს შეაყვარა ეს პროფესია. დებმა ერთდროულად დაამთავრეს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. უმცროსმა შემდეგ სწავლა უცხო ენების ფაკულტეტზე განაგრძო, ახლა კი სწავლობს საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟის უნივერსიტეტში. უფროსი გათხოვდა და ორი შვილის დედაა. მათს გაზრდაში მედიკო ბებიაც მონაწილეობს, ამიტომაც საამუშაოდ ვეღარ იცლის. წარსულის მოგონებებით ცხოვრობს, ბედნიერი წლების მოგონებებით.

არ დარჩენილა ყოფილი სსრ კავშირის არც ერთი კუთხე, რომელიც ანსამბლ „სიმდთან“ ერთად არ ჰქონდეთ მოვლილი ცოლ-ქმარს. იყვნენ საზღვარგარეთაც – კვიპროსში, გერმანიაში, იემენის არაბულ და სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებში, იორდანიაში. შინ თუ გარეთ ყველგან ხიბლავდა მაყურებლებს მედეას მიერ შესრულებული „ნარნარი“, აზერბაიჯანული სახუმარო „შეყვარებული მამტიბადი“, „აჭარული“, „ალანური სიუიტა“, „განდაგანა“.

ხელოვანის აღიარება დააგვირგვინა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდებამ, რომელიც მედეა გუგუტიშვილს 1979 წელს მიენიჭა.

სასიამოვნო და შინაარსიანი საუბარი იცის მედეამ, გულწრფელია და ალალი. ალბათ, პირველ რიგში, ამიტომ შეიყვარეს ანსამბლში, სადაც ქართველი მოცეკვავე მარტო ის იყო, მაგრამ ყველა სოლო ნომერს მას აკისრებდნენ, ხოლო როცა გათხოვდა და ოსურ ოჯახში შევიდა, სადაც მის გარდა კიდევ ორი ოსი რძალი ჰყავდათ, დედამთილ-მამამთილს ქართველი რძალი შეუყვარდათ გამორჩევით. ცხინვალში ავადმოსაგონარი დღეები რომ დადგა, მათს დიდ ოჯახში საქართველო და ქართველი აუგად არავის უხსენებია. და არც მის ოჯახში შეწყვეტილა ქართულად ლაპარაკი. გოგონებიც ბავშვობიდანვე დაეუფლნენ ორივე ენას. დედა მათ ქართულად უკითხავდა ზღაპრებს, ლექსებს, ასწავლიდა სიმღერებს. როცა ცხინვალში ჩამოვიდა ორგანიზაცია „ექიმები საზღვრის გარეშე“, ქართულ სოფლებში თარჯიმნად მათ ირუა აიყვანეს და კარგადაც გაუძლვა ქალიშვილი დაკისრებულ მოვალეობას.

...ადამიანს პატივი უნდა სცე არა იმის მიხედვით, თუ რა ეროვნებისაა, არამედ იმ ღირსების გამო, რაც მას აქვს, – შეაგონეს მშობლებმა მედიკოს, – სწორედ ამან შეასრულა დიდი როლი, რომ იგი ოჯახშიც საყვარელი რძალია და ქალაქშიც პატივსაცემი ადამიანი; ამიტომაც იცნობენ დღემდე ერთ-ერთ ბედნიერ ოჯახად ალბოროვ-გუგუტიშვილების კერას ცხინვალში.

**ციალა კახნიაშვილი,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ცხინვალი.**

**სურათებზე: გემირ ალბოროვი და მედეა გუგუტიშვილი.**

გამოფენა

# ნიჭი ნათელი



**ბაუსაძლისი იქნებოდა ამქვეყნიური ცხოვრება, რომ არა ის სითბო, სიყვარული და კეთილი დამოკიდებულება ადამიანთა შორის, რომელიც იმქვეყნიურ მარადიულობაში, მოყვასის არდავიწყებით ნათელ კვალად გააცისკროვნებს ადამიანის მიერ განვლილ გზას. ამის დასტური იყო ის უჩვეულო გამოფენა, რომელიც გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლური ენებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში.**

აქ წარმოდგენილი ექსპოზიციების ავტორი ტრაგიკულად დაღუპული, ამ უნივერსიტეტის ინგლისური ენის მთარგმნელობითი ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ქეთი ალხაზაშვილი იყო, რომელმაც თავისი ძალიან ხანმოკლე სიცოცხლის პერიოდში პროფესორმასწავლებლებსა და მეგობრებს თავი დაამახსოვრა არა მხოლოდ, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა, გამორჩეულად ფაქიზი, მაღალადამიანური პიროვნული თვისებებით, არამედ როგორც ჩამოყალიბებულმა ხელოვანმა.

სწორედ მხატვრობაში იხსნებოდა იგი მთლიანად და წარმოისახებოდა მისი სულიერი სამყარო, ღრმა ფილოსოფიური ჭვრეტა, არაორდინარული აზროვნება, ინტელექტი...

მისი ნამუშევრები აქამდე მუდმივად გამოფენილი იყო ამ უნივერსიტეტის რექტორის იური მოსიძის კაბინეტში, სწორედ მისი თაოსნობით გადაწყდა, რომ ინსტიტუტში გაეხსნათ საგამოფენო დარბაზი, სადაც მომავალში მუდმივად გამოიფინება იმ სტუდენტთა ნამუშევრები, რომლებიც გატაცებულნი არიან სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მომავალი თაობის სულიერ აღზრდას, მხატვრული ნიჭის გამომჟღავნებას, მათი ინტელექტის განვითარებას.

გამოფენა გახსნა ამ უნივერსიტეტის პრორექტორმა გურამ ლებანიძემ. მოგონებებით გამოვიდნენ ინგლისური ენა-ლიტერატურის კათედრის დეკანი ლია ხეთარია, კულტუროლოგი ლალი გვასალია; აქ იყვნენ მისი ყოფილი ლექტორები, მეგობრები, თანაკურსელები...

ამ გამოფენაზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ქეთი ალხაზაშვილის ის დიდი მხატვრული ნიჭი, რომელიც თავის შემოქმედებაში გადმოგვცა.

არაჩვეულებრივად ნატიფი, დინამიკური კონტურით გვიხატავს იგი გრაფიკულ თუ ფერწერულ კომპოზიციებს, სადაც წინა პლანზე დგას სიცოცხლის მარადიულობის თემა, გამოხატული სიმბოლურად სხვადასხვა ქვეტექსტებით.

ტუშით, გუაშით, აქვარელით, სანთლის ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები: „ფოთოლცვენა“, „შემოდგომა“, „გაზაფხული“, „ობოლი ცრემლი“, „ფიქრები“, „გზა ტაძრისაკენ“, და სხვა, საოცარ განწყობილებას ქმნიან – თითქმის ყველგან მხატვარი ჭვრეტს მის ამქვეყნიურ ტრაგიკულ ბედს.

კარგად დაკვირვებული მაყურებელი გაოგნებული რჩება იმ ღრმა, საოცრად მდიდარი, თავისებური სამყაროთი, რომლითაც იგი ცხოვრობდა. საოცარია ისიც, რომ თვითნასწავლი მხატვარი ასეთი პროფესიული განფურული ხელით გვიხატავს იმ რთულ კომპოზიციებს, რაშიც უამრავი ფორმა და სახეა და რაც ერთ მხატვრულ კონცეფციაში იკითხება.

ქეთი ალხაზაშვილს შესრულებული აქვს სერიები მუსიკალურ თემაზე, თითქოს ჩაგესმის ვიოლინოს, ფორტეპიანოს, საქსაფონის ჰანგები, რომლებიც სტილიზებულად არის გადმოცემული, სადაც ხშირად დომინირებს ვიოლონჩელო, ეს განსაკუთრებით ტრაგიკული ტემბრის მქონე ინსტრუმენტი, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის.

სულ სხვაგვარია მისი გრაფიკული სერია ძველი თბილისის თემაზე, სადაც ფორმები ნაზი, აჟურული ხაზით არის დამუშავებული. ორიგინალურად დაუკავშირა მხატვარმა ვაზი, ძველი თბილისისდროინდელ ლამპიონს, რომელზეც იგი შემოხვეულა და ქუჩის მუაგულისაკენ გადაუხრია, რაც აძლიერებს კომპოზიციის დინამიზმს და სიმბოლურ, შინაარსობრივ დატვირთვას იძენს.

სხვაგვარია მისი გობელენებიც, რომლებიც თბილი ფერადოვანი ტონალობით გამოირჩევა და სიხარულის, სითბოს განწყობილებას იწვევს.

ქეთი ალხაზაშვილის ნამუშევრები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და სერიოზულ ანალიზს მოითხოვენ, ამიტომაც გახდა მისი შემოქმედება ასეთი საინტერესო და დამაფიქრებელი...

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამიერიდან (რაც ამავე უნივერსიტეტის რექტორის და პედაგოგთა დამსახურებაა) ეს საგამოფენო დარბაზი კიდევ მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას უმასპინძლებს, რისი პირველი მახარობელიც ქეთი ალხაზაშვილის გამოფენა გახლდათ.

**ია ესვანჯია,**
**ხელოვნებათმცოდნე.**

**სურათებზე: ქეთი ალხაზაშვილი; გრაფიკული კომპოზიცია „ფიქრები“.**



სანთელი

# შენ ამ გაზაფხულს ვერ მოესწარი...

...შენ ამ გაზაფხულს ვეღარ მოესწარი, ჩვენო კარგო, გულითადო მერი!

მერი – მკურნალო, მერი – პოეტო, მერი – დედავ! იანვარში გამოეთხოვე ტანჯვით საწუთროს და დარჩა ჩვენს მაგიდაზე დასაბეჭდად გამზადებული შენი ლექსები...

ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყავი ბოლო წლებში. გვიხაროდა შენი გამოჩენა, ლექსებთან ერთად რაიმე სამკურნალო რჩევასაც შემოგვაწევდი, – დამაჯერებელი და დამამშვიდებელი იყო შენი ნათქვამი. ჯიგრიანი ლექსები მოგვქონდა, ვბეჭდავდით ხოლმე, ბოლოს კი გაგაწბილეთ... ავადმყოფობისდროინდელი ლექსები განსაკუთრებით ტკივილიანი და სათუთი იყო...

...„მე ზეთისხილის რტოს მოგიტან“ – ასეთი ლამაზი სათაური აქვს მერი ბარნაბიშვილის [...]რველ პოეტურ კრებულს და მართლაც იმედის და მშვ[...]ბის მაცნეს ჰგავდი, მერი!

ახლა იმ გამოუქვეყნებ[...] ლექსებიდან ვბეჭდავთ რამ[...]ნიმე მათგანს, რომელთა[...] ძალზე მომწონდა „რა უსას[...]ლო გზაა შენამდე“...

**ნანა ღვინეფა[...]**

## მერი ბარნაბიშვილი

* * *

რა უსასრულო გზაა შენამდე,
და სვლა შენამდე როგორ ძნელია,
თუმცა ოქტომბრის გამოჩენამდე.
ეს გზა განლია ყველა ფერიამ;

რა უსასრულო გზაა შენამდე,
და სივრცე თითქოს ოქროს მტვერია,
რა იყო აქ შენს გამოჩენამდე,
ან ტყეში ვისი ოქროს ხელია.

ამ გზის დაძლევა ჩემგან არ მესმის,
იმდენი რამე უდგას წინ ამას,
არ დაილევა ამ გზაზე ლექსი,
ვერც ქალწულს დალევ ამ გზაზე ლამაზს.

რა უსასრულო გზაა შენამდე,
და გზა რარიგად მშვენიერია,
გზა თითონ მიდის მაღლა ზენამდე,
და მიგაცილებს ყველა ფერია.

* * *

მემუქრებოდა გული შეტევით,
სული მხდებოდა უხმო ლოცვებით,
ღმერთს სიკვდილისთვის არ ვემეტები,
თორემ ამდენ ხანს ვერ ვიცოცხლებდი.

ღმერთს სიკვდილისთვის არ ვემეტები,
უნდოდა რაღაც მეტის მოცემა,
და რაკი სხვაგან ვერ ჩავეტევი,
ვერც გულს ვერ ჩავტევ, ვერც გაოცებ[...]

შეტოკდნენ ძველზე ძველი ფესვები
ძველთუძველესი ამჯვნენ ლოცვები,
მიტევს ლექსები თავგამოდებით,
და თუ შენც მიტევ, გავიოცებდი.

ჩემს სიახლოვეს ვიღაცა გოდებს,
გულზე მედება როგორც ნემსები,
გაცოფებული ზაფხული მომდევს,
რომ გადაუხმოს მელქვას ფესვები.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

**უკრაინა-ნატოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე.**
**მოხელეთა კორუფცია ჩინეთში უპირველესი პრობლემაა.**
**ევთანაზია ნიდერლანდში ნებადართულია.**
**მონიკა იხსენებს თავის სამიჯნურო ისტორიას.**



# უკრაინა: დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნებისათვის



„ჩვენი სიმწიფის მნიშვნელოვანი გამოცდა გახდება უკრაინის უმაღლესი რადას მომავალი არჩევნები," – თქვა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ხარკოვის ოლქის შექმნის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პარლამენტში სტაბილური, კონსტრუქციული და ეფექტიანი უმრელესობის ჩამოყალიბებაზე იქნება დამოკიდებული არა მარტო რეფორმების ბედი, არამედ, აგრეთვე, სტრატეგიული პრიორიტეტების რეალიზაციაც.

„ბედის ირონიით, უკრაინამ სწორედ 1 აპრილს უნდა შეიტყოს თავისი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილების შედეგები", – დასძინა სახელმწიფოს მეთაურმა.

* * *

ნატოს შტაბბინაში გაიმართა „უკრაინა-ნატოს" კომისიის სხდომა ელჩების დონეზე. სხდომაში მონაწილეობდნენ უკრაინის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ანატოლი კინახის მეთაურობით და ნატოს წევრი 19-ვე ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლები. კინახმა განაცხადა, რომ უკრაინა დაინტერესებულია ქვეყნის უმაღლესი რადას სამართლიანი და თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გამართვით, ვინაიდან მის ინტერესებს შეესაბამება საზოგადოების წინსვლა დემოკრატიისკენ და საბაზრო ეკონომიკის განვითარების, ქვეყნის ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზით.

* * *



საარჩევნო კამპანიაში უკრაინის საგარეო-პოლიტიკური უწყების მთავარი ამოცანაა შესაბამისი პირობების შექმნა უცხოელ მეთვალყურეთა საქმიანობის, სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის ხელშეწყობის, აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფი უკრაინელი მოქალაქეებისათვის ხმის მიცემის ორგანიზაციის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო სამონიტორინგო მისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ.

ანატოლი ზლენკომ, აგრეთვე, გამოთქვა სურვილი, რომ არჩევნების შედეგად უკრაინის პარლამენტში შეიქმნას მტკიცე პროევროპული უმრავლესობა, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს უკრაინის ევროინტეგრაციული საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალიზაციის პროცესს.

**უკრაინის საელჩოს პრესსამსახური.**

# სიკვდილის უფლებას სასამართლო იძლევა

დამბლადაცემული ქალი ედავება მედიკოსებს სიკვდილის უფლების მოსაპოვებლად. ასეთ საქმეს პირველად ისმენენ ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში. როგორც როიტერი იუწყება, ეს არის, აგრეთვე, ერთ-ერთი ყველაზე თავზარდამცემი სცენა ქვეყნის იურიდიულ ისტორიაში: სარეცელს მიჯაჭვული ქალი, რომელსაც გარს ახვევიან ადვოკატები და მოსამართლეები, მსაჯულებს სიკვდილს ევედრება.



გუშინ სნეულმა ქალმა სასამართლოს მიმართა თავისი პალატიდან, მერე კი მოსმენამ უზენაესი სასამართლოს დარბაზში გადაინაცვლა. პაციენტის სახელს, რომელიც პროცესს ვიდეოკავშირით ადევნებს თვალს, არ ამჟღავნებენ. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი 40 წლის არის, მარტოხელაა და უშვილო. ქალი მოითხოვს, გაუთიშონ ხელოვნური ფილტვი, რომლის წყალობითაც უნარჩუნებენ ექიმები სიცოცხლეს. იგი ცნობაზეა, მაგრამ დამბლა აქვს დაცემული.

ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მათ კლიენტს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისად აქვს სიკვდილის უფლება. ისინი იმოწმებენ მუხლს პირადი ცხოვრების პატივისცემისა და სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის შესახებ. ამავე დროს, მოქმედი კანონების შესაბამისად, თვითმკვლელობაში დახმარება 14 წლის პატიმრობით ისჯება.

ექიმები, რომელთა სახელსაც ასევე საიდუმლოდ ინახავენ, აცხადებენ, რომ პროფესიული ეთიკა მათ არ ანებებს აპარატის გამორთვას. მედიკოსებს სურთ, პაციენტი გაგზავნონ სარეაბილიტაციო ცენტრში იმ იმედით, რომ იქ მოხერხდება მისი არსებობის პირობების გაუმჯობესება. მაგრამ ასეთი შანსი 1 პროცენტსაც არ შეადგენს. ფსიქიატრიულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ პაციენტი შერაცხადია და გაცნობიერებულად იღებს გადაწყვეტილებებს.

დღესდღეობით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც ევთანაზია ნებადართულია, – ეს არის ნიდერლანდი.

# ჩინეთის პრემიერი – ხაზინის ქურდების წინააღმდეგ

ჯუ ჟუნძიმ, ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა, მთავრობას თავს დაატეხა მრისხანე ბრალდებები გაფლანგვისა და კორუფციის გამო. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ყოველწლიური სესიის გახსნისას მან წარმოადგინა გამოვლენილი დარღვევების მთელი სია, და განაცხადა, რომ ამ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს.

პრემიერმა აგრეთვე, გააფრთხილა დეპუტატები, რომ ჩინეთის ეკონომიკას წინ უძევს ძალზე რთული წელიწადი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ქვეყნის შესვლის შედეგებთან არის დაკავშირებული.

პეკინის დიდ სახალხო სასახლეში დეპუტატთა სამიათასიანი საკრებულოს წინაშე გამოსვლისას, პრემიერმა ჟუნძიმ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა არის კარგი და რა არ ვარგა ჩინეთის მთავრობასა და ეკონომიკაში.



იგი მიესალმა ეკონომიკის ზრდას, ჩინეთის მიერ მორიგი ოლიმპიური ასპარეზობის მასპინძლობის უფლების მოპოვებას და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე წელი ჩინეთის ეკონომიკისათვის მძიმე განსაცდელის წელიწადი იქნება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ქვეყანამ უნდა გაუხსნას თავისი ბაზრები გარე სამყაროს იმ დროს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში შეიმჩნევა დაქვეითების ნიშნები. პრემიერ-მინისტრი დაწვრილებით შეეხო, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის დარგის მზარდ სიძნელეებს, სადაც აღინიშნა მოგების შემცირება და უკმაყოფილების ზრდა.

ყველაზე გამანადგურებელი კრიტიკა დაატეხა თავს პრემიერმა კორუფციონერთა და ხაზინის ქურდ მოხელეთა მრავალრიცხოვან არმიას. მან წარმოადგინა მთელი ნუსხა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი მოხმარებისა, როდესაც საგანგებოდ გამოყოფილი ფული იხარჯება ბარებსა და რესტორნებზე, ჩინოვნიკების საზღვარგარეთ მოგზაურობაზე და ა. შ.

ამასობაში კი, ჩინეთში მიმდინარე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოწმობენ, რომ მოხელეთა კორუფცია კვლავინდებურად უპირველესი პრობლემაა.

# ევროკავშირი „ფოლადის ომზე" ალაპარაკდა

ევროპის კავშირი და სხვა ექსპორტიორი ქვეყნები გულისწყრომით გამოეხმაურნენ აშშ გადაწყვეტილებას, დაუწესოს ახალი ბაჟი ამერიკაში ფოლადის იმპორტს. ევროპის კომისიის ვაჭრობის საქმეთა წარმომადგენელი პასკალ ლამი სათავეში ჩაუდგა ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივ აქციას აშშ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ლამიმ განაცხადა, რომ ევროპის კავშირი საჩივარს უგზავნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას.

თავიანთი უკმაყოფილება გამოთქვეს არა მარტო ევროკავშირმა და რუსეთმა, არამედ, აგრეთვე, იაპონიამ, ბრაზილიამ, ავსტრალიამ და სამხრეთ კორეამ. შესაძლოა, ევროპის კავშირმა პასუხად, ასევე, გაზარდოს ტარიფები ამერიკული ფოლადის შემოტანაზე.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ჯორჯ ბუშს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გააფრთხილა, რომ ეს გადაწყვეტილება მძიმე შედეგებს მოუტანს არა მარტო მსოფლიო ეკონომიკას, არამედ, აგრეთვე, ამერიკელ მომხმარებლებს, რომლებსაც მეტი ფულის გადახდა მოუწევთ ფოლადის პროდუქციისათვის.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა თქვა, რომ ტარიფების მომატება ნეგატიურ გავლენას მოახდენს რუსეთის ფოლადსამსხმელო ინდუსტრიაზე, მაგრამ დასძინა, რომ აშშ გადაწყვეტილება არ გახდება სავაჭრო ომის მიზეზი.






აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ახალი ბაჟი დააწესა სამწლიანი გეგმის ფარგლებში. ამ გეგმის მიზანია, დაეხმაროს შეერთებული შტატების მეტალურგიულ მრეწველობას, რომელსაც დაკნინების ხანა დაუდგა.

პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ამერიკელ მეტალურგებს საშუალებას მისცემს, კონკურენცია გაუწიონ უცხოელ მწარმოებლებს და დაძლიონ ზარალი, რომელიც, ბუშის თქმით, მათ მიაყენა „უცხოეთის მთავრობათა ნახევარსაუკუნოვანმა ინტერვენციამ ფოლადის მსოფლიო ბაზარზე."

# კლინტონ-ლევინსკის საქმე კიდევ წამოტივტივდება?

ოთხშაბათს აშშ სპეციალურმა სააპელაციო სასამართლომ გამოაქვეყნა რობერტ რეის კომისიის დასკვნითი მოხსენება ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და თეთრი სახლის სტაჟიორის მონიკა ლევინსკის არასამსახურებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიების გამო. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ინციდენტის გამოძიების დროს შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებანი კლინტონის სასამართლო დევნის და, შესაძლოა, მისი ბრალდებისათვის მართლმსაჯულების დაბრკოლებისა და ცრუმოწმეობის მუხლით. როგორც ბრალმდებელმა რეიმ განაცხადა, ექსპრეზიდენტის დარღვევებმა არასახარბიელო გავლენა მოახდინეს აშშ იურიდიულ სისტემაზე. „ბრალდებები საკმარისი იყო კლინტონის სასამართლო დევნისათვის. მან აღიარა, რომ შეგნებულად იძლეოდა ორჭოფულ და შეცდომაში შემყვან პასუხებს მონიკა ლევინსკისთან ურთიერთობასთან დაკავშირებით," – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.



ამავე დროს, კლინტონის წარმომადგენელმა, განმარტა რა სასამართლო გადაწყვეტილება, განაცხადა, რომ მოხსენების მიზანია რობერტ რეის კამპანიის სენატში გადატანა. მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტის დევნა დაიწყო როგორც პოლიტიკური პროცესი და ახლა მთავრდება, ასევე, როგორც პოლიტიკური პროცესი. შეგახსენებთ, რომ აქამდე აშშ სენატმა შესაძლებლად ცნო, უარი ეთქვა კლინტონის სასამართლო დევნაზე და საკმარისად მიიჩნია არასასამართლო ზემოქმედების ღონისძიებები. მაშინ აშშ პრეზიდენტმა აღიარა, რომ ცრუ ჩვენებებს იძლეოდა, რისთვისაც 25 ათასი დოლარით დააჯარიმეს და ხუთი წლით ჩამოართვეს ადვოკატობის უფლება.

ამ რამდენიმე დღის წინათ ამერიკის ტელევიზიამ აჩვენა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს მონიკა ლევინსკისა და ბილ კლინტონის ურთიერთობას – „მონიკა შავსა და თეთრში".

„თავიდან ვფიქრობდი, რომ კარგად გავატარებდი დროს კლინტონთან ერთად," – ამბობს ფილმში მონიკა. მისი თქმით, პირველივე შეხვედრაზე, როდესაც აშშ პრეზიდენტმა იგი ცალკე აპარტამენტში შეიპატიჟა, მან უთხრა: „მე თავდავიწყებით შემიყვარდითო". აქამდე კი, აღნიშნავს ლევინსკი, უკვე ჰქონდათ ფლირტი.

„მე ახალგაზრდა ვარ, ის პრეზიდენტია, თან უაღრესად მომხიბლავი მამაკაცი, და თავდაპირველად არც ვაპირებდი გამიჯნურებას, მაგრამ მერე და მერე შევტოპე და უსაზღვროდ შემიყვარდა", – ამბობს მონიკა, როდესაც იხსენებს თავის სამიჯნურო ისტორიას, ლამის თეთრი სახლის მეთაურის იმპიჩმენტით რომ დამთავრდა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა არჩილ მანჯგალაძემ.**

**პირადი ცხოვრება**

# „მგზნებარე კოლხიდელი" თურმე მგზნებარე არამზადა და მგზნებარე აშიკიც ყოფილა...

**„კომსომოლსკაია პრავდას" მიმომხილველის კითხვებს უპასუხებს ბელადის ცოლის ნადეჟდა ალილუევასადმი მიძღვნილი წიგნის „ერთადერთის" ავტორი ოლღა ტრიფონოვა**



ნადეჟდა ალილუევა ძალზე თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანი იყო, და, ალბათ, არასდროს უფიქრია თავის ისტორიულ მასშტაბზე.

### იოსების და ნადეჟდას ამბავი ფროიდს დააინტერესებდა

**– ერთი გვიბრძანეთ, რატომ გადაწყვიტეთ სტალინის ცოლზე დაწერა?**

– თავდაპირველად, მინდოდა მეორე ცოლზე დაწერა – რა თქმა უნდა, სულ სხვა სახელმწიფო მასშტაბის ადამიანზე. მაგრამ – იმავე დროიდან. მე ვგულისხმობ მამაჩემს, ძველ ბოლშევიკს. მკაცრი კაცი იყო, გულჩათხრობილი. მძიმე ცხოვრება გამოიარა – რევოლუცია, პოლიტიკური ბრძოლა, დაპატიმრება, საკონცენტრაციო ბანაკი, ყოველივე ეს ნებისმიერ კაცს გაავებდა. დედა კი მხიარული, სათნო და სიბერემდე მიამიტი ქალი იყო. სწორედ იმ ტიპისა, რომელსაც ნადეჟდა ალილუევაც განეკუთვნება.

**– როგორ მიხვდით ამას, იგრძენით?**

– რამდენიმე წლის წინათ სათავეში ჩავუდექი მუზეუმს „სახლი სანაპიროზე", არადა, ამ სახლში ცხოვრობდნენ ალილუევებიც, სვანიძეებიც... შევიტყვე მათი ტრაგიკული ბედის ამბავი, განვიმსჭვალე 30-იანი წლების ატმოსფეროთი, ჩავუჯექი საარქივო მასალებს. წავიკითხე ნადეჟდა ალილუევას წერილები – თვალწინ წარმომიდგა ამ შესანიშნავი ქალის სახე. მართალი გითხრათ – შემიყვარდა.

აი, ვკითხულობ 13 წლის ნადეჟდას წერილს ოჯახისადმი, რომელშიც იგი ერთხანს ცხოვრობდა, იზრდებოდა. წერს, დედამ ისევ მიგვატოვაო... იცით, ეს ალბათ, რაღაც ბედისწერაა – ნადიას დედა ხან ვისთან და ხან ვისთან ერთად გარბოდა, ტოვებდა ოჯახს, ტოვებდა შვილებს. თვითონ ნადეჟდას ორი შვილი დარჩა, სვეტლანა წავიდა და შვილები მიატოვა... აი, ეს გოგონა, რომელსაც მხრებზე დააწვა დიდი ოჯახის საზრუნავის მთელი სიმძიმე, არ წუწუნებს, არ კიცხავს დედას. უბრალოდ წერს: დედა ხომ მთლად ახალგაზრდა ქალია, სურს, თავისი ცხოვრებით იცხოვროს, აბა, სულმთლად ჩვენ ხომ არ გადაგვყვებაო. განსაცვიფრებელია, არა? ძალზე წრფელი და ალალი გოგონაა. ასეთად შევიდა იგი სტალინის ცხოვრებაშიც. შემორჩენილია მათი ქორწინების პირველი წლის ფოტოსურათები. ნადეჟდა 18 წლისაა. შეხედავ და მაშინვე იტყვი, რომ შენს წინაშეა ბედნიერი ყმაწვილი ქალი. ძალიან უყვარდა ქმარი, სხვათა შორის, – ქმარსაც.

**– განა ბელადს შეეძლო ასეთი სიყვარული?**

– ყველა, ვინც სტალინზე წერს, ცდილობს, იგი დემონად წარმოსახოს. მე კი მახსენდება ჩემი მშობლების ცხოვრება და ვფიქრობ: სტალინი ხომ ცოცხალი ადამიანი იყო. მამასადამე, მისი ხასიათი ვლინდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ვკითხულობ იოსებისა და ნადეჟდას წერილებს, და ვრწმუნდები: მათ მგზნებარედ უყვარდათ ერთმანეთი. სტალინი საერთოდ მგზნებარე კაცი იყო – ყველა თვალსაზრისით: მგზნებარე არამზადა, მგზნებარე მიჯნური. იგი ძალიან მოსწონდათ ქალებს. ხოლო თუ თვითონაც მოეწონებოდა ქალი – სულ სხვანაირი ხდებოდა – დამყოლი, ყურადღებიანი, თავაზიანი და, სხვათა შორის, მაცდური.




ასე გამოიყურება სტალინის ცოლისადმი მიძღვნილი წიგნის ყდა.

**– მაგრამ თქვენს წიგნში ექიმი-გინეკოლოგი ნადეჟდას ეუბნება: „თქვენ პირუტყვთან ცხოვრობთო..."**

– შემორჩენილია ნადეჟდა ალილუევას სამედიცინო ბარათი. იგი დაავადდა ქმრის ხელში. ორ თვეს მკურნალობდა საზღვარგარეთ, კარლოვივარში, ლაზნიაში. მათი სექსუალური ურთიერთობა, დარწმუნებული ვარ, შეიძლებოდა, ღრმა ფროიდისტული გამოკვლევის საგანი გამხდარიყო. რაღაც ინტიმურ მომენტებში სტალინი შეიძლება ითქვას, დნებოდა ცოლის წინაშე. შემორჩენილია ბარათები, სადაც იგი ენას უჩლიქავს და ბავშვივით ეტიტინება ცოლს...

### „ნადია იმ ქუჩის ბიჭმა მოინელა"

**– რამდენადაც მესმის, თქვენს, გამოკვლევას სულაც არ ეთქმის ფროიდისტული...**

– უწინარეს ყოვლისა, მე მაინტერესებდა, რა ხდებოდა მათ ცხოვრებაში, როგორ შეეწყო ასეთ ადამიანს: მხიარული, ბედნიერი გოგონა ტრაგიკულ ფიგურად იქცა. მან გატეხა და სულიერად დაასახიჩრა ქალი, უბედური აქცია არა მარტო ცოლქმრობაში.

უნდა ითქვას, რომ მათი ცოლქმრობა თავიდანვე იყო ტრაგიკული შეუთავსებლობა. ნადეჟდა რუსი ინტელიგენტების ოჯახში აღიზარდა. იცოდა გერმანული, ფრანგული ენები, საუცხოოდ უკრავდა ფორტეპიანოს, გარდა ამისა, უაღრესად გონიერი და ჭკვიანი ქალი იყო; არქივებში მე ვნახე იმის დამადასტურებელი საბუთები, თუ როგორ უსწორებდა იგი სტატიებს სტალინს. იოსები კი სულ სხვა ყაიდის კაცი იყო.

**– თქვენს ნაწერებში იოსებ ბესარიონის ძე წარამარა დედას იგინება...**

– ეს იყო ნამდვილი ქუჩის ბიჭი. და თბილისელი ქურდი ბიჭის ბუნება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

**– თქვენ რომ ბრძანებთ, „ქურდიო", ექსპროპრიაციას გულისხმობთ?**

– ექსპროპრიაცია მერე იყო. იქამდე კი – უბრალოდ ცუდი წრე. სტალინი ამბობს, რომ არაფრად უღირდა ფული და სწორედ ამიტომ არც არასდროს ჰქონდა. ეს გულით თქვა. მაგრამ ყველაფერი, რასაც ამბობდა, სანახევროდ სიმართლე იყო და სანახევროდ – სიცრუე. დიახ, ფულს არარად აგდებდა იმიტომ, რომ არ ესმოდა, როგორ სჭირდებოდა იგი სხვას. მაგრამ ფული ჰქონდა. ერთი მაგალითი: როდესაც პირველ ცოლთან, ეკატერინე სვანიძესთან ერთად ფარღალალა ქოხში ცხოვრობდა, ალილუევ-მამას დაუფიქრებლად მისცა გვარიანი თანხა მოსკოვში წასასვლელად.

**– თქვენი წიგნის მიხედვით, მათ იდეური შეუთავსებლობაც ჰქონდათ.**

– დიახ, ნადეჟდას თანდათან აეხილა თვალი, დაინახა, რა შემზარავი სიცრუე სუფევდა irგვლივ. ხედავდა მაამებელ ხროვას ქმრის გარშემო, სძულდა ბერია. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ იგი სწავლობდა სამრეწველო აკადემიაში, სადაც ერთობ ძლიერი იყო სტალინისადმი ოპოზიციური განწყობილება. ნადიას სიკვდილის შემდეგ მის საძინებელ ოთახში იპოვეს რიუტინის პლატფორმის ტექსტი, რომელიც სტალინის მიერ ძალაუფლების უზურპაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. შემთხვევით კი არ თქვა სტალინმა: წავიდა, როგორც მტერიო". და ისე კრა ხელი მის კუბოს, რომ კინაღამ გადმოაგდო ტახტიდან. ეს იყო ერთდროულად სასოწარკვეთილებისა და გაბოროტების ჟესტი. ცოლის დაკრძალვაზეც კი არ წავიდა, თუმცა, არც საკუთარი დედის დასაფლავებაზე ჩასულა.

**– არის ვერსია, რომ სტალინმა მოკლა თავისი ცოლი.**

– მოკლა, – მეტაფიზიკურად! ალბათ, ტყვია თვითონ ქალმა დაიხალა. ალილუევებმა მითხრეს, ნადიამ სიკვდილის წინ ბარათი დატოვაო. იგი ეძებდა სხვა გამოსავალს. ხშირად მიდიოდა სახლიდან, მიჰყავდა ბავშვები, გარბოდა მამასთან ლენინგრადში და დიდხანს რჩებოდა იქ. სიცოცხლის ბოლოს ნატრობდა, საცხოვრებლად გადასულიყო თავის დასთან, ანასთან ხარკოვში, იქ ყოფილიყო შვილებთან ერთად და ემუშავა. მაგრამ ესმოდა: ქმარი არასდროს დაანებებდა ამას.

**– თქვენს წიგნში ძმა პაველი ნადეჟდას ეუბნება: „შენს გარდა იოსებს სხვა ვერავინ ეტყვის სიმართლეს. შენ ერთადერთი ხარ". სტალინს კი უთქვამს: „უშენოდ სულ სხვა კაცი გავხდებიო". გამოდის, რომ მას ეკისრება რაღაც ისტორიული ბრალი.**

– ნადეჟდა ყოველთვის ეუბნებოდა სიმართლეს, მაგრამ პასუხად მხოლოდ ლანძღვა-გინება ესმოდა. ნადეჟდა უაღრესად მოკრძალებული, მორცხვი ადამიანი იყო და, ალბათ, არც ესმოდა თავისი ისტორიული მასშტაბი. აბა, პოლინა მოლოტოვასთანა ყოფილიყო, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეობაზე სდებდა თავს. აკი სწორედ ამისათვის უკრა სტალინმა თავი ციმბირში. მაგრამ ნადეჟდა სულ სხვაა... ალილუევების მოდგმაში ბევრი სხვადასხვა სისხლია შერეული. ნადიაში ყველაზე მეტად იმძლავრა ბოშურმა და პოლონურმა სისხლმა – სიამაყემ, თავისუფლებისკენ სწრაფვამ.



მათი მიმოწერა მოწმობს: იოსებსა და ნადეჟდას უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი.

### ცოლი სულიკო უნდა იყოს...

**– თქვენს წიგნში სტალინი, როდესაც ჯერ კიდევ რევოლუციამდე ცხოვრობდა ალილუევების სახლში, ბავშვებს საღამოობით ჩეხოვს უკითხავდა ხოლმე...**

– მას ძალიან უყვარდა ჩეხოვი. გასაოცარია, მაგრამ ეს ასეა.

**– ... და ჩეხოვის „სულიკოზე" ამბობდა: „იდეალური დედაკაცის ხასიათია. ძაღლივით ერთგული". თქვენ როგორ გგონიათ – უნდა იყოს ცნობილი კაცის ცოლი „სულიკო"?**

– დიახ, უნდა იყოს. მაგრამ არავინ არ არის ვალდებული, ურჩხულთან იცხოვროს და სულ იმას ფიქრობდეს, როგორ აამოს ურჩხულს.

**– თქვენ მწერალ იური ტრიფონოვის ცოლი იყავით. სტალინის მსხვერპლი გახდა მამათქვენი, თქვენი მეუღლის მამა, დედა. პატარა იურა დასთან ერთად გამოასახლეს სახლიდან და შემდეგ და-ძმანი ბებიასთან ცხოვრობდნენ...**

– ამ ბებიას სწერდა თავის დროზე უნაზეს წერილებს სტალინი, როდესაც იგი გადასახლებაში ამანათებს უგზავნიდა: „პირდაპირ არ ვიცი, რით გადაგიხადოთ მადლობაო". პოდა, გადაუხადა... მაგრამ ტრიფონოვის ბებია სიკვდილამდე თავგადაკლულ ბოლშევიკად რჩებოდა და არასდროს არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება სტალინისადმი, ყველაფრის მიუხედავად.

### მისი საქმე ცოცხლობს...

**– ტრიფონოვის ბებიას დღესაც უამრავი თანამოაზრე ჰყავს...**

– დიახ. სტალინი მოკვდა, მისი საქმე კი ცოცხლობს. და არა მარტო იმიტომ, რომ ბელადის პორტრეტები დღესაც ბევრს უკიდია. გაბურჟუება, რომელიც ახლა ასეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სწორედ მაშინ დაიწყო, და ამას სტალინს უნდა ვუმადლოდეთ.

**– მართალი გითხრათ, არ მესმის...**

– წიგნში აღწერილია ნადეჟდას და იოსების კამათი. ქმარი ამბობს, რომ გააუქმა პარტმაქსიმუმი, იბრძვის გათანაბრების წინააღმდეგ, ქალი კი ამტკიცებს, შენ, უბრალოდ, ბიუროკრატიას ყიდულობო, და ამით აღვივებ შურს ადამიანებში – დედაქალაქში ღოვლათისა და თანამდებობის, სოფელში – ზედმეტი ჭიქის თუ ლუკმა-პურის გამო. ხოლო შური ყველაზე ხშირად გამხდარა მიზეზი დაბეზღებისა, რომლის გამოც მილიონობით ადამიანს საკონცენტრაციო ბანაკებში დაულევია სული. ერთთა მოქრთამვა და მეორეთა განადგურება – აი, სტალინის პროგრამა.

**– კი მაგრამ, რა შუაშია აქ ჩვენი დრო?**

– დღეს ყველანი ბურჟუვდებიან – ყოფილი კომუნისტებიც, ყოფილი დისიდენტებიც, მწერლებიცა და ბანდიტებიც. სწორად გამიგეთ: ერთია კარგად, შეძლებულად ცხოვრება და სულ სხვაა ბურჟუაზიულად ცხოვრება. ახლა იმასაც გაიგონებ, კომფორტი დოსტოევსკიზე მაღლა დგასო!

ბურჟუაზიულობა – ეს ხომ მარტო ფუფუნების სიყვარული კი არაა, უგულობაც და სისასტიკეც არის იმათ მიმართ, ვინც თავისი სისუსტის გამო დოვლათსა და სიკეთეს ვერ ღირსებია. ერთი მაგალითი: სოროსი აღარ აფინანსებს სქელ ჟურნალებს. გმინავენ ჟურნალები, გმინავენ ბიბლიოთეკები, გმინავს მკითხველი. მაგრამ ამ წლების მანძილზე ხომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ იმდენი ფული დააგროვა, რომ სქელი ჟურნალების შენახვა არაფრად უღირთ! მერედა, სად არიან ეს ადამიანები? გრანდიოზულ ყოველდღიურ პრეზენტაციებზე...

ეს არის რუსი კაცის სულიერი არსის დამახინჯება, ძალზე საშიში რამ.

### „დავდივარ ნადიას საფლავზე, როგორც სტუმრად მეგობართან"

**– ხომ არ გეჩვენებათ, რომ დღეს გაუკუღმართებულია ჩვენი ქალის სულიერი არსი? იგი ხომ არასდროს ყოფილა ასეთი შიშველი – გნებავთ, პირდაპირი და, გნებავთ, გადატანითი მნიშვნელობით, – როგორიც დღეს არის.**

– თუკი თქვენ გაშიშვლებულ ნატურას გულისხმობთ, როგორც ერთმა გონიერმა სოციოლოგმა მითხრა, შიშველი ნატურა ერის ენერგეტიკას აძლიერებსო. პირადად ჩემთვის ეს გაუგებარია.

**– მე დღევანდელ ზნე-ჩვეულებებზე მოგახსენებთ.**

– ზნე-ჩვეულებანი არც იმ დროს იყო პურიტანული, რომელზეც მე ვწერ. მხედველობაში მაქვს პარტიული გარემო. რომ აღარაფერი ვთქვათ მუსუს ბერიაზე. დიახ, ქალი სახეა ერისა – ქვეყანაში ხომ წმინდა წყლის კულტურული დარბევა მოხდა. ყველანი მღვრიე ტალღამ მოგვიყოლა ქვეშ. და ქალების „მოწინავე" რაზმმა, ვთქვათ ასე, გადაწყვიტა, ეჭყუმპალავა ამ მღვრიე წყალში. თუკი ყველაფერი ნებადართულია – რატომაც არა? მაგრამ მე მგონია, კულტურული რბევა-დაწიოკება უკვე მთავრდება და, თანაც, მიმაჩნია, თუ რაღაც გარემოს ზნე-ჩვეულებანი არ მოგწონს – სხვა გარემო უნდა ეძებო.

მე კომფორტულად ვგრძნობ თავს იმ სამყაროში, რომელიც ავირჩიე და ჩემი ხელით შევქმენი – ჩემს მუზეუმში. იქ, ჩემს გვერდით, კაპიკების ფასად მუშაობენ ისეთი ქალები, რომლებზეც უნდა ილოცო!

მუზეუმში ჩვენ არა მარტო აღვუდგინეთ სახელი ტერორის მსხვერპლთ, არამედ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით მათ ნივთებსაც...

**– ახლა წერთ?**

– მე ვიგრძენი, რომ ისევ მინდა ქალებზე წერა. მაგრამ... სულ ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გვერდზე გადავდე კალამი. და იმავე წამს სევდა შემომაწვა. მე გამოვეთხოვე ადამიანს, რომელიც ძალზე ახლობელი იყო ჩემთვის. შესაძლოა, ეს არც იყოს სათქმელი, რადგან ძალზე პირადულია, მაგრამ როდესაც რამდენიმე თვის წინათ ნადეჟდა ალილუევას 100 წელი შეუსრულდა, მე წავედი მის საფლავზე. ასე წავიდოდი სტუმრად მეგობართან. ეს იყო უსათნოესი ადამიანი და უღრმესად ტრაგიკული ფიგურა...

**ინა რუდენკო.**

„კომსომოლსკაია პრავდა",
2002 წლის 5 მარტი.

**პირადი საქმე**

**ოლღა ტრიფონოვა ავტორია ექვსი წიგნისა. არის მწერალ იური ტრიფონოვის ქვრივი, დირექტორი მუზეუმისა „სახლი სანაპიროზე", რომელიც მდებარეობს კრემლის მოპირდაპირე მხარეს აღმართულ განთქმულ რუხ სახლში...**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!



# დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №49 | 8 მარტი, 2002 წელი.


## მოსავალი

# პური ხორცია მაცხოვრისა, ანუ სიღარიბის დასამლევი გასაღები სოფელში დევს



უდანაკარგოდ ავიღოთ.

არასოდეს არ დამავიწყდება ალოობა მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაშინ მკლავმოუღლელი ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ და მოსავალი ქალებისა და მოსწავლეების ანაბარა დარჩა.

ჩემი თაობის ბიჭები და გოგონებიც კი დილიდანვე სამკალში მივდიოდით. მაშინ ის იყო ჩვენი სკოლა. იქ, შოროქნის ტრიალ მინდვრებში (ალაზნის ველზე) ჩვენი მომავალი ცხოვრების გაკვეთილები გვიტარდებოდა...

სიცხე-პაპანაქებაში ძალიან გვიჭირდა კომბაინის ნაკვალევზე სიარული და დაფანტული თავთავების აკრეფა. განსაკუთრებით გვიჭირდა ზურგზე მოკიდებული თავთავებით სავსე ტომრების ტარება. ზოგჯერ შიმშილისგან გული გველეოდა, მუხლებში ძალა გვეცლებოდა და ხანდახან თავთავებით გატენილი ტომრის ქვეშ აღმოვჩნდებოდით ხოლმე...

ჩვენი მფარველი ანგელოზი, სულმნათი მასწავლებელი ნინო მღვდლიაშვილი ხან ერთს ეხმარებოდა წამოდგომაში, ხან მეორეს და თან გვამხნევებდა. თვითონ კი ცრემლებს მალავდა...

ქრისტიანმა, ვისაც ოდესმე პური საძებნელი ჰქონია, კარგად იცის მისი ყადრი. იგი პურს არასოდეს არ გადააგდებს და თუ შემთხვევით ხელიდან გაუვარდება, მოწიწებით აიღებს, აკოცებს და ამით ღმერთს ერთგვარად პატიებას სთხოვს, რადგან პური ხორცია მაცხოვარისა. ხოლო თუ სადმე გადაგდებულს ნახავს, უთუოდ, ხეზე ან ღობეზე შემოდებს, რომ ფრინველმა აკენკოს...

მას შემდეგ, რაც უფალმა პური გვიბოძა, უიმისოდ სიცოცხლე წარმოუდგენელი შეიქმნა და ამიტომ, სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენი პირველი საზრუნავი და საძებნელი პურია და როცა მას მოვიპოვებთ, მომავალს იმედით გავყურებთ...

მადლობა უფალს, ნაკურთხი და დალოცვილია ჩვენი მინდვრები და ხოდაბუნები, სადაც ყოველი დათესილი მარცვალი ერთი ათად იქცევა ხოლმე. ამ მიწების წყალობა იყო, რომ მარცვლეული ერთ დროს თურმე საექსპორტოდ გაგვქონდა და მასზე მუდამ დიდი მოთხოვნილება ყოფილა.

შინ კი, გამომწვარ თიხის თონეში გამომცხვარ „დედას პურებს“ გემოთი და არომატით დღესაც ბადალი არ ჰყავს.

უდავოდ, ქართველ მხვნელ-მთესველს მიწისა და თავთავის სიყვარული სისხლში აქვს გამჯდარი, ეს ჯიშითა და ჯილაგით მოგვდგამს, ამიტომაც თვალისჩინივით ვუვლით ჯეჯილს, სანამ იგი დაპურდება და ყანა გახდება. შემდეგ კი სულ იმის ცდაში ვართ, რომ მარცვლეული



იმ ავადსახსენებელი წლების მთელი გაჭირვება და უსიხარულო დღეები ამ გაზაფხულზე იმ ჯეჯილით აქოჩრილმა მინდვრებმა გამახსენა, რომლებსაც დროდადრო ავტომანქანიდან ვხედავ ხოლმე.

მაგრამ გულს მიკლავს ზოგიერთი ნაჯეჯილარი ნაკვეთი, რომელიც საცოდავად, სევდისმომგვრელად გამოიყურება, რადგან ამას წინათ მოვარდნილ გრიგალს ალაგ-ალაგ საქალამნე ტყავივით გადაუფხეკია.

ახლა მათ გაზაფხულის მზე უხვად აფრქვევს თავის ალერსიან სხივებს. დედამიწას ნაზამთრალი გული ნელნელა უთბება და დინჯად ეგებება გაზაფხულს, რომელსაც ახალი სიცოცხლე მოაქვს.

ტოტებზე უკვე კვირტები დაბერილა და აფეთქებულა...

სამწუხაროდ, ამ ახალი სიცოცხლის გარიჟრაჟზე, თვალში მხვდება დანაწევრებული, დაქუცმაცებული მინდვრები. ზოგიერთ მათგანს შამბი და ეკალ-ბარდი მოსდებია, ეტყობა, მათ კარგა ხანია ადამიანის ხელი სულაც არ მიჰკარებია.

არადა, ეს პატარ-პატარა ნაკვეთები ადრე ერთი უკიდეგანო მინდორი იყო. მუდამ ძირისძირობამდე დამუშავებული და ნაფერები, სასიამოვნოდ საცქერი — მიწას ისე უხდებოდა ხნული და თავთავი, როგორც ფალავანს საჭიდაო ჩოხა.

საწყენია, რომ დღეს-დღეობით მიწა ბევრგან დასამუშავებელი დარჩენილა და რაოდენ უსუსურია მათი პატრონების თავის მართლება იმით, თითქოს ეს ერბოსავით მიწა უნაყოფოა. სინამდვილეში კი მიზეზი ისევ ჩვენი გულგრილობაა...

მშრომელი კაცი დამეთანხმება, რომ უნაყოფო ნიადაგი არ არსებობს. დაუზარელი მეურნის ხელში ყოველგვარი მიწა ცხოვრების წყაროდ გადაიქცევა. ვფიქრობ, დადგა დრო ეს კაპიტალი იმას ჰქონდეს, ვინც დამუშავებას შეძლებს, ვინც „უნაყოფო“ მიწას ცხოვრების წყაროდ გადააქცევს.

თორემ უპატრონოდ მიგდებული ქართული მიწა ოკეანეში ჩაძირული ხავსმოკიდებული განძივით არის, რომელიც მხოლოდ თავისთვის არსებობს და არავის არაფერში არ არგია, სანამ ადამიანის ხელი არ მისწვდება...

ჩვენს მხვნელ-მთესველებს და არა მარტო მათ, კარგა ხანს ემახსოვრებათ შარშანდელი წელი, რომელიც ქართული სოფლის მეურნეობის ისტორიაში დარჩება, როგორც უხვი და ბარაქიანი.

დედოფლისწყაროს რაიონში მოწმე და მონაწილე გავხდი იმ დიდი სიხარულისა, რომელიც თავთავიანების უხვმა მოსავალმა გამოიწვია. რაიონის ბეღლები სიცოცხლის ფერი ხორბლით პირთამდე გაივსო...

იხ. მე-12 გვ.

ჩვენ ეხლა ისე გაგვიხდა საქმე, რომ იმას კი აღარ ვჩივით რაც გვაკლია, ის შევიძინოთ, არამედ იმას, რომ რა ნაგავმა და მტვერმა აღგვავსო, ის გავგავხოთ და შემოვიბერტყოთ. კიდევ ერთის ფეხის წინ წადგმა იქნებოდა, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, რომ ამის დარდსა და ზრუნვას შევდგომოდით, ცოცხი აგვეღო ხელში ამ ვაი-ვაგლახის გასაგველად. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ეს შევძელით; მაშ რით ვინუგეშოთ თავი დღეს, ან სახვალიოდ რა იმედი წავიმძღვაროთ.



ილია ჭავჭავაძე.

## საფიქრალი

# ვენახი თუ გვინდა, მსხმოიარობამდე მეზვრე არ უნდა დავბეგროთ



არქივიდან.

საქართველოს მევენახეობას მეტად მძიმე დღეები უდგას. მნიშვნელოვნად შემცირდა მათი ფართობები, ღვინო და ღვინომასალების წარმოება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მევენახეობა-მეღვინეობის დარგს ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავა და იგი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. 80-იანი წლების ბოლოსათვის კი ამ დარგიდან მიღებული შემოსავალი სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელ მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 18-20 პროცენტს, ხოლო მოგების 25-30 პროცენტს შეადგენდა. საქართველოში ყოველწლიურად იწარმოებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში დამზადებული ღვინომასალების საერთო რაოდენობის 12 პროცენტი, მათ შორის ხარისხოვანი სამარკო ღვინოების 55 და კონიაკების 20-22 პროცენტი.

დღევანდელი მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო დეპარტამენტის „სამტრესტის“ თავმჯდომარის მოადგილეს ომარ ჩხატარაშვილს.

***– ბატონო ომარ, იქნებ მოკლედ გვიამბოთ სოფლის მეურნეობის ისეთ წამყვან დარგზე, როგორიც ქვეყნის მევენახეობაა?***

– სამწუხაროდ, უკვე მკვეთრად შეიმჩნევა ფართობების შემცირების ტენდენცია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ – რეგიონებში არასწორად და კანონის დარღვევით, ნაჩქარევად განხორციელდა მიწის „ველური“ პრივატიზაცია, წლობით აუნაზღაურებელი რჩებოდა მოსახლეობის მიერ გადამმუშავებელ ქარხნებში ჩაბარებული ყურძნის ღირებულება, შეფერხდა ღვინო და ღვინომასალების რეალიზაცია, აღნიშნული და სხვა მდგომარეობის გამო, მევენახემ ერთწლიანი კულტურები არჩია და ვაზი უმოწყალოდ ამოძირკვა – გაჩეხა. ამას დაემატა სანერგე მეურნეობების გაუქმება და ბუნებრივია, ნამყენი ვაზის ნერგის წარმოებაც შეწყდა. თუ 1990 წელს ქვეყანაში ვენახების ფართობები მეურნეობის ყველა კატეგორიაში შეადგენდა 112,8 ათას ჰექტარს, 1997 წელს მას 40 ათასი ჰექტარი მოაკლდა და 72 ათას ჰექტარამდე შემცირდა, ხოლო დღეისათვის ეს მაჩვენებელი 60 ათას ჰექტარს არ აღემატება. შედეგად, რა თქმა უნდა, ყურძნის წარმოების მოცულობაც შემცირდებოდა: თუ 1990 წელს გადამუშავდა 443 ათას ტონა ყურძენი, ამ მაჩვენებელმა 2001 წელს 19 ათას ტონას თუ მიაღწია. ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, როგორ დაკნინდა სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი.

***– დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ პირობებში, როცა ხელისუფლებას არ შეუძლია ფულადი დახმარება გაუწიოს სოფლის მოსახლეობას, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რომ დარგი აღორძინდეს?***

– მევენახეობაში არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიკარნახებს, რომ ქვეყანაში საკუთრების ყველა სფეროში ვენახების ფართობები სტაბილურად უნდა იყოს შენარჩუნებული 60-65 ათასი ჰექტარის რა-

იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 56-57, პარასკევი, 8 მარტი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფიქრალი

# ვენახი თუ გვინდა, მსხმოიარობამდე მეზვრე არ უნდა დავბეგროთ

(მეცხრე გვერდიდან)

ოდენობით. მინიმუმამდე შემცირდეს მეჩხერიანობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შამპანური და უნიკალური ჯიშების ნამყენი ვაზის ნერგის წარმოების მოცულობის ზრდას, რისთვისაც აუცილებლად მიმაჩნია სამინისტროსთან ან დეპარტამენტ სამტრესტთან შეიქმნას სანერგე მეურნეობის მართვის სამართლებრივი ორგანო და არა ისე, როგორც დღეს ხდება, როდესაც ამ საქმის გაძღოლა ევალება სელექციური მიღწევებისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ორგანოს შექმნა და ქვეყანაში 3-4 სანერგეს ჩამოყალიბება, რომელიც ყოველწლიურად 4 მილიონამდე მაღალხარისხოვან ნერგს აწარმოებს, დიდად შეუწყობს ხელს ახალი ვენახების გაშენებას და მოცდენილი ადგილების შევსებას.

მოგეხსენებათ, საგანგაშო მდგომარეობაა ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეთა მოყვანაში. იგი 2000 ჰექტარიდან 6 ჰექტარამდე შემცირდა და ისიც ბედის ანაბარადაა მიტოვებული. აღნიშნული იმის შედეგია, რომ ადგილებზე არ სრულდება ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის 1994 წლის 18 თებერვლისა და 1996 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებები, რომლებიც ითვალისწინებს სანერგეებში ძირითადი საწარმოო პროგრამების განხორციელებას, აღრინდელი მოსარგებლეებისათვის მათს დაბრუნებას, მრავალწლიანი ნარგავების (ვაზის) უნებართვო ამოძირკვას და ა.შ.

შექმნილ ვითარებას ისიც უწყობს ხელს, რომ ქვეყნის მარეგულირებელ სტრუქტურებში არ არის მაღალკვალიფიციურ აგრონომ-სპეციალისტთა ბირთვი, რომელიც დარგს უპატრონებდა და ადგილებზე ფერმერებს აღმოუჩენდა პრაქტიკულ დახმარებას. ამასთან, მინდა ისიც ვთქვა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ახალ ვენახებს ყოვლად უხარისხო და შეუმოწმებელი ნერგით აშენებენ, რაც მათ ანაგვიანებს და ქმნის საკარანტინო მავნებელი დაავადებების გავრცელების პირობებს. ამასთან, დღემდე ვერ მივაღწიეთ, რომ მეზვრე, რომელიც ახალ ვენახს აშენებს, სამი წლით ე.ი. პირველ მსხმოიარობამდე მაინც არ დაიბეგროს, ამ პრობლემის გადაწყვეტა სტიმულს მისცემდა ახალი ვენახების გამშენებელს. ამას ყოველდღიურ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს ხელისუფლებამ ამ დარგისადმი.

***— ვაზის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად ფართოდ იყენებენ შხამ-ქიმიკატებს. ზოგჯერ მათი გამოყენება არაეფექტიანია და ამით მევენახე ზარალდება. რას იტყვით ამის შესახებ.***

— მართალი ბრძანდებით, არასახარბიელო მდგომარეობაა შხამქიმიკატების შემოტანის, მისი რეალიზაციისა და გამოყენების სფეროში. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ამ საკითხებში ვერ ერკვევიან, შემოაქვთ და ყიდიან უხარისხო, ვადაგადასულ და შეუმოწმებელ პრეპარატებს, რომლებიც შედარებით იაფია და ამიტომ ბევრი ეტანება. სამწუხაროდ, მათი გამოყენების ეფექტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს... ადრე რაიონებში გახსნილი იყო შხამ-ქიმიკატების გასაყიდი სპეციალური მაღაზიები, სადაც შემოწმებული პრეპარატების შეძენა შეიძლებოდა. ახლა ასეთი აღარ არსებობს, არადა, ძალიან საჭიროა, ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება ფრიად ხაშური საქმეა.

***— იჯარით გაცემულ და პრივატიზებულ ვენახებს რა ეშველება, რომლებიც ლამის გატყიანდეს და არც ხალხს არგია და არც სახელმწიფოს?***

— საჭიროდ მიმაჩნია, შეიქმნას გაერთიანებები, საზოგადოებები და სახელმწიფოს დახმარებით დაიწყონ ვენახების გაშენება. ამასთან, აუცილებელია განხორციელდეს მიტოვებული ფართობების ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირება. ამ და სხვა ღონისძიებებით შესაძლებელია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის პრიორიტეტული განვითარება და მისდამი პროტექციონისტული მიდგომის პოლიტიკა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი ხელს უწყობს ექსპორტს, ვინაიდან საექსპორტო პროდუქცია არ იბეგრება (საქართველოში წარმოებული ღვინომასალებისა და ღვინის ძირითადი ნაწილის მესაკუთრე უცხოელი ინვესტორები არიან), რითაც სახელმწიფოს ბიუჯეტი შეუვსებელი რჩება, რაც დღის წესრიგში ღრმა ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საკითხს აყენებს.

***— ბარემ აქვე, ქვეყანაში, მევენახეობა-მეღვინეობის მართვის საკითხებზეც ვთქვათ, რა მიგაჩნიათ საჭიროდ დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზიდად, ან, რა დახმარებას უწევს მის განვითარებას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა?***

— ბოლო წლებამდე სამინისტროს დეპარტამენტში „სამტრესტში" მუშაობდა მევენახეობის სამმართველო მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ადგილებზე პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ფერმერებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს. აღნიშნული სამმართველო გაუქმებულია და დღეს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, არც ერთი მევენახე აგრონომი არ მოღვაწეობს, ნაცვლად ამისა, საკმაოზე მეტი არიან ტექნოლოგები. საკითხავია, თუ მევენახემ მოსავალი არ მოიყვანა, ტექნოლოგმა რა უნდა გადაამუშაოს?

ერთი სიტყვით, სათქმელი ძალიან ბევრია, მაგრამ ერთ საგაზეთო ინტერვიუში, რა თქმა უნდა, ვერ ჩავეტევით.

***— ბატონო ომარ, როგორ მიმდინარეობს ახალი ვენახების გაშენება, ყურძნის უფრო რომელი ჯიშები ჭარბობს?***

— ბოლო წლებში 1550 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, — ძირითადად საფერავის ჯიშის, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ზოგიერთი მევენახე უპირატესობას წითელი ყურძნის ჰიბრიდულ ჯიშს ანიჭებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. თანამედროვე მევენახეობის წინაშე მდგომი მოთხოვნებიდან, რეკომენდაცია უნდა მიეცეს საფერავის, მწვანეს, ხიხვის, ალადასტურის, ალექსანდროულის, ოჯალეშის, პინოს, ალიგოტეს ჯიშებს. ამასთან, განსაკუთრებით უნდა შევინარჩუნოთ რქაწითელი, რომელსაც დღევანდელ მევენახეობაში 70 პროცენტი უჭირავს.

ამჟამად ვენახებში მიმდინარეობს რემონტი, სხვლა და რიგთაშორისებში მიწის სამუშაოები.



ესაუბრა
**ირაკლი დვალი.**

## თანადგომა

# იმედია, ქართული შაქარი აღარ გამწარდება

**ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება, თუ საკუთარი წარმოება არ გააჩნია, ამდენად ხელისუფლებამ უპირველესად ადგილობრივი გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის ასაღორძინებლად უნდა იზრუნოს. მით უმეტეს, ეს პოლიტიკის რანგში ატანილი საკითხთაგანია, რადგან თავისთავად უამრავი სამუშაო ადგილის გაჩენას ნიშნავს, რასაც შედეგად მოსახლეობის დასაქმება და, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლება მოჰყვება. რატომ არ ექცევა ჩვენთან უპირველესი ყურადღება ადგილობრივ წარმოებას? გასაგებია, რომ საგადასახადო პოლიტიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებითაა შედგენილი, მუსიკას ვინც უკვეთავს, ის იხდის კიდეც, მაგრამ ნუთუ აუცილებელია ყველა მათი მოსაზრება უსიტყვოდ გადმოვიტანოთ? განა დასაშვებია, რომ მწარმოებელი ქვეყნიდან გასაღების ბაზრად ვიქცეთ?**

**მაგალითისათვის აგარის შაქრის კომბინატს შემოგთავაზებთ. ეს უნიკალური საწარმო წელიწადზე მეტია გაჩერებულია და 600-მდე ადამიანი უხელფასოდაა დარჩენილი.**

ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თანადგომით აგარის შაქრის ქარხანამ 1999 წელს მხოლოდ 23 ათასი ტონა პროდუქცია აწარმოა. ბიუჯეტში ერთ მილიონამდე ლარი შეიტანა, არადა, თავის საწარმოო სიმძლავრეებიდან გამომდინარე, საწარმოს 150 ათას ტონამდე პროდუქციის გამოშვება შეეძლო.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმო ყოველწლიურად მხოლოდ 100 ათას ტონა შაქარს გამოუშვებს და შესაბამისად მის რეალიზაციასაც მოახდენს, სახელმწიფო ბიუჯეტი 12,1 მილიონ ლარს მიიღებს, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით 9,6 მილიონ ლარს, გარდა ამისა, სხვადასხვა ფონდებში 3,9 მილიონი ჩაირიცხება და 600-მდე ადამიანი დასაქმდება. სოლიდურ თანხებს მიიღებენ აგრეთვე სხვადასხვა დარგებიც, კერძოდ რკინიგზას 2,4 მლნ ლარი ჩაერიცხება, გაზის მომწოდებელს კი 3,5 მლნ ლარი და სხვა.

ქართული შაქრის პერსპექტივაზე მესაუბრებიან სააქციო საზოგადოება „ქართული შაქრის" გენერალური დირექტორი **ალექსანდრე გიტაშვილი** და მისი პირველი მოადგილე კომერციულ დარგში **კობა ძლიერიშვილი.**

ჩემს ხელთაა წერილების ასლები, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტს 2000 წლის მაისის თვეში გაეგზავნა. ერთ წერილზე პრეზიდენტის ასეთი რეზოლუციაა: „ბატონებს ზ. ნოღაიდელს, ი. ჩხარტიშვილს, ი. მენაღარიშვილს, მ. მაჭავარიანს. გთხოვთ განიხილოთ და წარმოადგინოთ წინადადებები, რით შეიძლება დავეხმაროთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისადმი აღებული ვალდებულებების და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. თუ ასეთი ცალკეულ ობიექტზე და დარგებზე არ ვიზრუნეთ, ჩვენი საშველი არ იქნება" (უკანასკნელი წინადადება ხელითაა მიწერილი).

სხვა რა უნდა გაეკეთებინა ქვეყნის პრეზიდენტს, მას ხომ ისედაც უამრავი საქმე აქვს? შემსრულებლებმა წაიკითხეს და, როგორც ახლა ირკვევა, ქარხნის მომავალი მაგიდის უჯრაში ჩაკეტეს. მაინც, ისეთს რას ითხოვდნენ ქარხნიდან?

...„შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკითხი იმპორტირებულ თეთრ შაქარზე საიმპორტო გადასახადების როგორც მინიმუმ 50 პროცენტამდე გაზრდა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. გადასახადების ასეთი მომატება არც საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება: მონაცემები საიმპორტო მოსაკრებლების შესახებ გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს შაქრის მრეწველობა პრაქტიკულად დაუცველი დარჩა, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ განვითარებულ ქვეყნებში 1 ტონა შაქრის იმპორტზე გადასახადი 300 აშშ დოლარს და მეტს შეადგენს.

ჩვენი თხოვნაა დაწესდეს საიმპორტო გადასახადი თეთრ შაქარზე ყველაზე მინიმალური ტარიფებით, როგორც ეს შაქრის მწარმოებელ ქვეყნებშია".

მეორე წერილზეც იგივე მისამართებით ასეთი რეზოლუციაა „გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება „ქართულ შაქარს", მომახსენეთ პირადად". ორივე რეზოლუცია აყვანილია კონტროლზე. მიუხედავად ამისა, თხოვნა თხოვნად რჩებოდა, საკითხი, გადაუწყვეტელი. შედეგად აგარის კომბინატმა უცხოეთიდან შემოტანილი შაქრისა და მისი ნედლეულის გამო კონკურენციას ვერ გაუძლო და იძულებული გახდა, უარი ეთქვა დაგეგმილ ათასობით ტონა ნედლეულის მიღებასა და გადამუშავებაზე, ქარხანა გაჩერდა, რის შედეგადაც იმპორტიორებმა და კონტრაბანდისტებმა ხელი კარგად მოითბეს, ერთი ტომარა შაქრის ფასი 38 ლარიდან 45-50 ლარამდე ავარდა.

**ბატონი კობა ძლიერიშვილი** განაგრძობს:

— ჩვენი ქვეყნის შიდა ბაზრის წლიური მოთხოვნილება ერთ სულ მოსახლეზე შაქრის მოხმარების ნორმების გათვალისწინებით 140-150 ათას ტონას შეადგენს. ჩვენმა საწარმომ 2000 წელს მხოლოდ 35,5 ათას ტონამდე პროდუქცია გამოუშვა, რაც საერთო მოხმარების 30 პროცენტია. დანარჩენი მოთხოვნილება კი იმპორტირებული შაქრით დაკმაყოფილდა. სათანადო ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, ჩვენ შეგვეძლო 140 ათას ტონამდე გაგვეზარდა წარმოება.

2000 წლის პირველი ნახევრიდან საქართველოს ბაზარზე ძირითადად თურქეთის, უკრაინის, რუსეთის მიერ წარმოებული შაქარი იყიდებოდა, ხოლო მეორე ნახევრიდან უმნიშვნელო რაოდენობის ადგილობრივი და მეტი თურქული წარმოების პროდუქცია.

უკრაინისა და რუსეთის მიერ წარმოებული შაქრის ჩვენი ბაზრიდან გასვლა ამ ქვეყნებში შაქრის მრეწველობაზე სახელმწიფო დოტაციების მოხსნამ და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების მატებამ გამოიწვია, რის გამოც იმპორტიორებისთვის არახელსაყრელი გახდა საქართველოს ბაზარზე ამ პროდუქტის შემოტანა, ამჟამად უკრაინასა და რუსეთში ერთი ტონა შაქრის საბითუმო ფასი 400-420 აშშ დოლარია, ხოლო ჩვენი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი 380 აშშ დოლარი.

თურქეთში სახელმწიფო შაქრის იმპორტიორებს წახალისების მიზნით ერთ ტონაზე 100 დოლარს უნაზღაურებენ. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ თურქეთიდან შემოტანილის ხარისხი ჩვენს პროდუქციასთან შედარებით დაბალია?

**— გასული წლების საქმიანობაზე რას იტყოდით? მაშინ მაინც უკეთესი პირობები გქონდათ?**

— როგორ გითხრათ. სააქციო საზოგადოებამ სულ 1996-1999 წლებში ნედლეულის გადამუშავებით 100,3 ათასი ტონა თეთრი შაქარი მიიღო. ამ პერიოდში ქარხანა ინვესტირებული წარმოების შეღავათებით სარგებლობდა, მაგრამ სამწუხაროდ, მთელი სიმძლავრით მაინც ვერ ამოქმედდა. ამის მიზეზი კი ინვესტორის — ინგლისური კომპანია „გლინკორი"-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, დაუსრულებელი სასამართლო დავები და კონტრაბანდის გზით იაფფასიანი შაქრის დიდი რაოდენობით მოძალება იყო, ჩვენი კომბინატი კი, ძირითადად, 1999 წლის მეორე ნახევრიდან ამუშავდა და ისევ მალევე გაჩერდა.

არადა, გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, რომ კომბინატის გაჩერებამ მარტო ქარელის რაიონის მოსახლეობა როდი დააზარალა, რეგიონის საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა — სწორედ, ჩვენი სააქციო საზოგადოების საქმიანობის შედეგად ხდებოდა (როგორიცაა პენსიები, ხელფასები და სხვა).

და აი, შრომითი კოლექტივისა და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელთა მცდელობას, როგორმე მიეღწიათ კომბინატის ამუშავებისათვის, შედეგი მოჰყვა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ პრეზიდენტი კვლავ გვერდით დაუდგა მეწარმეებს, საჭირო მზადყოფნა გამოხატა მთავრობამაც. სააქციო საზოგადოება „ქართული შაქრისთვის" 11 მლნ ლარი გამოიყო, რითაც დაიფარება ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი თურქმენეთის რესპუბლიკის წინაშე. ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდება წარმოებული პროდუქტით — შაქრით, რაც დიდად შეუწყობს ხელს იმას, რომ არ მოხდება ქვეყნიდან ვალუტის გადინება.

სააქციო საზოგადოებამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება ნედლეულის მომწოდებლებთან, აგრეთვე თურქმენეთის რესპუბლიკასთან თეთრი შაქრის მიწოდებაზე. ხელმძღვანელობის თქმით, პროდუქციის გამოშვებას ქარხანა უკვე ამ დღეებში დაიწყებს.

**ნაზი იმნაიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ანტიმონოპოლიური სამსახური

# ყოველ მეათე კაცს უნდა ჰქონდეს თავისი პატარა ბიზნესი...

**მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეწარმეებმა კვების მრეწველობის რიგ დარგებში შეძლეს მიეღწიათ წარმატებებისათვის, ხუთიექვსი წელიწადია ძლიერი მეწარმე აღარ გამოჩენილა საქართველოში. ისეთ განვითარებად ქვეყანას კი, როგორიც ჩვენია, მხოლოდ ღონიერი ბიზნესი თუ გადაარჩენს. ახლა ხშირად საუბრობენ ჯანსაღი კონკურენციის თაობაზე, მაგრამ ეს სიტყვები დღემდე რატომღაც ცარიელ მოწოდებად რჩება, ვინაიდან წლები გადის, ხოლო ახალი ბიზნესმენი კი არ ჩანს. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ხელი სათანადოდ არ ეწყობა მცირე მეწარმეობის განვითარებას...**

**დიდი ხანია, რაც ბიზნესმენები „ხელ-ფეხის შემბორკავს" უწოდებენ სამეწარმეო კანონს. პარლამენტმა არაერთხელ შეიტანა მასში ცვლილებები და შესწორებანი, მაგრამ, როგორც რეალობამ დაადასტურა, კანონში ოდენ ფრაგმენტული ცვლილებანი ვერ უზრუნველყოფს მის სისრულესა და სინათლეს, მით უმეტეს, როგორც აღმოჩნდა, ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი კანონთა მთელი სისტემა... ამ მხრივ მართლაც ბევრი აქვთ სამუშაო ჩვენს კანონმდებლებს.**

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ის სტრუქტურაა, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობით ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს.

ევროპის ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მიმართულია ბაზრების გამჭვირვალეობისაკენ და იქ კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისაკენ.

რვა წელიწადია, რაც ჩვენთან ეს სამსახური არსებობს და მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც მისი თავკაცია ბატონი **არმაზ თავაძე** – 27 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მთელი მონდომებით ცდილობს იყოს ობიექტური და სწორად წარმართოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. დღეს იგი გვესაუბრება თავისი სამსახურის რაობაზე.

***– ბატონო არმაზ, ვინ არის დღეს საქართველოში მონოპოლისტი?***

– მოდით, აქედან დავიწყებ: შარშან, ჩვენმა სამსახურმა საკმაოდ რთული სამუშაოს შესრულების შემდეგ საქვეყნოდ გამოაცხადა ის ცხრა კომპანია, რომელთაც სხვადასხვა ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ. სამწუხაროდ, ეს ბევრმა მწვავედ აღიქვა, რაც არასწორია, რადგან მონოპოლისტობა არ არის დანაშაული. პირიქით, ნებისმიერი კომპანიისათვის ეს წოდება აღიარება და სახელია. საერთოდ, მონოპოლისტად ითვლება ის, ვისაც სასაქონლო ბაზრებზე 35 პროცენტზე მეტი წილი უკავია...

***– და მაინც, ხომ არ შევახსენოთ მკითხველს ის ცხრა კომპანია?***

– რატომაც არა. 2000 და 2001 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ესენია:

**„რუსთავცემენტი", შპს „აჩი" – ასანთის, „სოტობი ენტერპრაიზ ლიმიტედი" და შპს „აგროტექნიკი" – ორივე ბანანის, სს შუშისა და მინერალური წყლების კომპანია, სს „ყაზბეგი" – ლუდის, საწვავით მომსახურების კომპანია – ნავთის, შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი" – მაზუთისა და შპს „ლომისი" – შაქრის შესაბამისი ბაზრები.**

ჩვენი სამსახური სწორედ იმისათვის არსებობს, რომ სახელმწიფომ უნდა იცოდეს, ვის რა ადგილი, რა წილი უდევს სასაქონლო ბაზრებზე, ვინ როგორ აწარმოებს ბიზნესს... საინტერესოა, თვითონ ბაზრების გამოკვლევა, თუმცა, ზოგჯერ მუშაობისას ბარიერებსაც ვაწყდებით. ესენია როგორც თვითონ ბაზარი, ისე სახელმწიფოს, ხელისუფლების მიერ „დაწესებული" და მოქმედ მეწარმეთა მიერ შექმნილი ბარიერები...

უნდა ითქვას, რომ ჩვენში ბაზრები დახურულია. ამიტომ ჭირს იქ შეღწევა. თანაც, იმპორტული პროდუქცია არაკეთილსინდისიერ კონკურენციას უწევს ადგილობრივს. ამ პრობლემებს თვითონ ბაზარი აწესრიგებს, მაგრამ სახელმწიფომაც უფრო მეტი უნდა იზრუნოს ადგილობრივი წარმოების ასაღორძინებლად. თუნდაც, საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციით...

***– გახმაურებული ფაქტია, რომ შამპანურით წლეულს საახალწლოდ თბილისში მთელი ოჯახი მოიწამლა. ჩვენს ბაზრებზე ხშირია ფალსიფიკაციისა და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში კვების პროდუქტების რეალიზაციის შემთხვევები... რას გვეტყოდით, ვინ აგებს ამაზე პასუხს?***

– ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ შექმნილ ვითარებაში ვერევით... უამრავი კანონი, სახელმწიფო პროგრამაა მიმართული ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთი არ მოქმედებს. ხშირად ისინი რეალობას არიან მოკლებულნი. ეს კი ხელს უწყობთ ყალბისმქმნელებს. დასახვეწია საკანონმდებლო ბაზაც. ძირეული ცვლილებები არ კეთდება ამ მხრივ და საერთო ჯამში, შედეგიც არა გვაქვს. კანონები ერთმანეთს კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ სრულ შესაბამისობაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან.

***– თქვენი აზრით, საიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა ყალბისმქმნელთა წინააღმდეგ?***

– ფალსიფიკაციას უკანონო მეწარმეობის გამოვლენით და აღკვეთით უნდა ვებრძოლოთ და არა ისე, როგორც ახლა ვებრძვით – შედეგით. ეს ნორმალურ ქვეყნებში ასე ხდება და ეფექტურიც არის. წარმოიდგინეთ, რამხელა სიძნელეები იქმნება, როცა ვებრძვით უკვე გამოშვებულ, სასაქონლო ბაზრებზე სარეალიზაციოდ გამოტანილ პროდუქციას. საქონლის ამოღება, აკრძალვა, განადგურება – ეს უამრავ თანხებს მოითხოვს და დროშიც იწელება, თანაც: პროდუქციის ნაწილი უკვე რეალიზებულია – მომხმარებელთა სოციალური ფონი მძიმეა და ამიტომ, მოსახლეობა იაფფასიან პროდუქტს უფრო ეტანება, არ უყურებს მის ვარგისიანობას, შემადგენლობას!..

***– რა შემთხვევაში ერევა ანტიმონოპოლური სამსახური ბაზრებზე შექმნილ მდგომარეობაში?***

– პროდუქციის ხარისხს „საქსტანდარტი" განსაზღვრავს, ხოლო მონოპოლიური მდგომარეობის მქონე კომპანიებმა თუ ფირმებმა თავიანთი უპირატესობა არ უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ბაზარი სხვებისთვის შეუღწევადი გახდეს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად ჩავერევით და არ დავუშვებთ კანონის დარღვევას. მეწარმეებმა კი, თავის მხრივ, ხელი უნდა შეგვიწყონ, რომ ბაზრები იყოს ღია.

***– კერძოდ, რა ითვლება მონოპოლისტისთვის უკანონო ქმედებად?***

– „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონის" 1 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება მონოპოლიური საქმიანობა" (და არა მდგომარეობა), ანუ ისეთი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება ბაზარზე კონკურენცია შეზღუდოს. ამავე კანონის მე-9 მუხლში კი პირდაპირ წერია, რომ „იკრძალება არაკეთილსინდისიერი კონკურენცია". უზნეობაა, როცა მეწარმე უპირატესობის მიღწევას ცდილობს დემპინგური ფასების გამოყენებით და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანით, კონკურენტის ღირსების შელახვით, საწარმოზე ან პროდუქციაზე არასწორი ინფორმაციების გავრცელებით, სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებით და ასე შემდეგ...



არმაზ თავაძე.

***– რას უსურვებდით ქართველ მეწარმეებს?***

– საფიქრალი და გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ჩემი ოცნებაა, ყოველ მეათე ქართველს ჰქონდეს თავისი პატარა ბიზნესი და მათთვის ხელსაყრელი ყოფილიყოს კანონი, ისევე ხელსაყრელი, როგორიც განვითარებულ ქვეყნებშია. იღვაწონ მეწარმეებმა, რომ კანონის ფარგლებში, მეტი წილი მოიპოვონ სასაქონლო ბაზრებზე. ვისურვებდი, რომ ცნობილ მეწარმეთა გვარების გვერდით ახლებიც გამოჩნდნენ, რაც უამრავ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ხალხს და ქვეყანას: პირველ რიგში, გამოჩნდება უამრავი სამუშაო ადგილი და გასაცოდავებულ მოქალაქეებს აღარ დასჭირდებათ უზარმაზარი, სიმწრით მოპოვებული თანხის გადახდა იმისთვის, რომ საზღვარგარეთ რაიმე ფიზიკური სამუშაო იშოვონ...

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური და მისი 110-კაციანი კოლექტივი კი, რომლებიც ახლა ქვეყნის 20-მდე სასაქონლო ბაზარს ვიკვლევთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ქართული სასაქონლო ბაზარი და გამოვავლინოთ ყველა ის ბარიერი, რომელიც ჯანსაღ კონკურენციას აბრკოლებს.

ესაუბრა
**ლია ჭილაძე.**

## გვწერენ

# სეკვესტრირებული კანონი

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ 1996 წლის კანონმა თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი გააკეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიმოქცევის სფეროს მოსაწესრიგებლად, ამ სფეროში წარმოშობილ მრავალფეროვან ურთიერთობათა სათანადოდ რეგულირებისათვის. ასეთ პირობებში საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის ივნისის ბოლოს ამ კანონიდან (ოცი მუხლიდან) ამოიღო ცხრა მუხლი და რამდენიმე არსებითად შეცვალა. აღნიშნულის მიმართ გვაქვს ჩვენეული ხედვა, მიდგომა, კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მკაფიოდ არის მითითებული, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს..."**

აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამის შემდეგ ამავე მუხლის მე-2 პუნქტში წერია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს ფიზიკურ პირს", თუ კანონმდებელი ფიზიკური პირის სახით მოიაზრებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, მაშინ სადავო არაფერია, ვინაიდან ამაზე საკმაოდ გასაგებად არის მითითებული მე-4 მუხლის ზემოთ აღნიშნულ პირველ პუნქტში.

ამის შემდეგ ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ფიზიკურ პირზე, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების მქონეზე მითითება ნამდვილად არ არის მართებული, ვინაიდან ფიზიკური პირი არა მარტო საქართველოს მოქალაქე, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც – თურქი, გერმანელი, ინგლისელი და. ა. შ. ამის გათვალისწინებით გამოდის, რომ საქართველოში აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საქართველოს მოქალაქის გარდა, შეიძლება ჰქონდეთ სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც. თუ ეს ასე არ არის, მაშინ აუცილებელია მე-4 მუხლის მეორე პუნქტში ჩაიწეროს **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს", მერე როგორც ამ პუნქტში წერია „კომლს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს".**

კომლის შესახებ, გარდა მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „კომლზე" მითითებისა, ამ მუხლში და მთლიანად, კანონში არაფერია ნათქვამი. არც სამოქალაქო კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებშია მოცემული მისი დეფინიცია და უფლებრივი მდგომარეობის რეგლამენტაცია. ცვლილება-დამატებების შეტანამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტებით განსაზღვრული იყო საკომლო მეურნეობის ცნება, მისი საერთო საკუთრებისა და თანამესაკუთრეთა სტატუსი, საკომლო მეურნეობის საადგილმამულო წიგნში რეგისტრაციის მნიშვნელობა, რომლის შემდეგაც იგი ითვლება შექმნილად, დაარსებულად და აღიჭურვება შესაბამისი უფლებებითა და ვალდებულებებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს... საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, აქედან გამოდის, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ არა მარტო საქართველოს სახელმწიფოს, ასევე სხვა ქვეყნების საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. თუ ეს ასე არ არის და იგულისხმება მხოლოდ „საქართველოს იურიდიული პირები", მაშინ იქ, სადაც წერია „საქართველოში რეგისტრირებულ" ჩაემატოს სიტყვა „საქართველოს იურიდიულ პირს".

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მერვე მუხლის დასაწყისში სიტყვა „თანასაკუთრებაში" უნდა შეიცვალოს სიტყვებით „საერთო საკუთრებაში", ვინაიდან თანასაკუთრებაში არსებული ქონება მხოლოდ მეუღლეთა საკუთრებაა. სწორედ საერთო საკუთრებაზეა მითითებული მერვე მუხლის სათაურში, „გასხვისებათა ზოგადი შეზღუდვა და საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება". აქედან გამომდინარე, საჭიროა მერვე მუხლის ტექსტის მის სათაურთან შესაბამისობაში მოყვანა.

საყურადღებოა, აგრეთვე, მე-10 მუხლში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოიჯარეს მიწის ნაკვეთის გასხვისებისას აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება. როგორც ხედავთ, მოიჯარის მიერ იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებისას მოიჯარეს ყოველგვარი პირობების გარეშე აქვს ამ მიწების სხვა მყიდველებთან შედარებით უპირატესი შესყიდვის უფლება.

ადრინდელი, ანუ ცვლილებამდელი მე-10 მუხლის მიხედვით იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებისას მისი უპირატესი შესყიდვის უფლება ჰქონდა მოიჯარეს, თუ იგი იყო სხვა საადგილმამულო მეურნეობის მესაკუთრე, ან უძღვებოდა ასეთ მეურნეობას ხელშეკრულებით, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი კი მდებარეობდა მისი მეურნეობის მომიჯნავე ტერიტორიაზე.

ეტყობა ასეთი პირობა არ აწყობდათ ზოგიერთ, განსაკუთრებით, თბილისელ მოიჯარეებს, რომელთაც ათეულობით, ასეულობით ჰექტარი მიწები აქვთ აღებული იჯარით სიღნაღის, გორის, დედოფლისწყაროს და საქართველოს სხვა რაიონების სოფლებში, სადაც მათ არ გააჩნიათ მათ მიერ იჯარით აღებული მიწების მომიჯნავედ მდებარე საადგილმამულო მეურნეობა საკუთრებაში, ან გაძღოლის უფლებით. ვფიქრობ, ამის გათვალისწინებით მოხდა მე-10 მუხლიდან აღნიშნული პირობის ამოღება, რათა სასოფლო-სამეურნეო მიწების ზოგიერთ, განსაკუთრებით თბილისელ მოიჯარეებს ჰქონდათ მათ მიერ იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უპირობოდ, ე. ი. ყოველგვარი პირობის გარეშე უპირატესად შესყიდვის შესაძლებლობა.

**აკაკი ლაბარტყავა,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**ზურაბ ძლიერიშვილი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 56-57, პარასკევი, 8 მარტი, 2002 წელი.

## მოსავალი

# პური ხორცია მაცხოვრისა, ანუ სიღარიბის დასამლევი გასაღები სოფელში დევს

(მეცხრე გვერდიდან)

აქვე, ალბათ, შემეკითხებით, როგორი მოსავალი იქნებაო წლეულს?

არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ, რადგან შარშან, ამ დროს, ჯეჯილებს ისეთი ამონაყარი ჰქონდა, რომ მწყერს გოგმანი გაუჭირდებოდა. ამასთან, ჯეჯილი მიწას მაგრად იყო ჩაჭიდებული და ქარი ვერაფერს აკლებდა. წლეულს კი, ზამთარი ისე გავიდა, მინდვრებს ყაპყი არ ღირსებია. ასეთი უამინდობის გამო მიწა ერთიანად გამოშრა და ამონაყარი ვერ განვითარდა, ჯეჯილი მიწას სათანადოდ ვერ ჩაებღაუჭა. ამიტომ ქარი ადვილად მოერია და ნათესი ბევრგან ერთიანად მოხვეტა და მოიტაცა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ხელოვნურად გაშენებული მინდორსაცავი ტყის ზოლები ან გაიჩეხა, ანდა დაბერდნენ და ზეზეურად გადახმნენ. და აი, სავალალო შედეგი სახეზეა.

საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ახმეტის რაიონებში ხორბალი და ქერი 66 ათას ჰექტარზე იყო დათესილი. ძლიერმა ქარმა 55820 ჰექტარი უმოწყალოდ დააზიანა და აქედან 5981 ჰექტარი 90-100 პროცენტით გაანადგურა.

თუ საკუთარი პური და ღვინო გვინდა, დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინოთ „მწვანე კედლები“, რომ გაბერწებული მინდვრების რაოდენობა შემცირდეს, თორემ, პური ჩვენი არსობისა საძებნელი გაგვიხდება.

ერთი სიტყვით, სოფელს მივხედოთ, სოფელს. მერწმუნეთ, სიღარიბის დაძლევის გასაღები იქ ინახება...



ამასთან, ჩვენი ღმერთი ქართულ მინდვრებსა და ხოდაბუნებს არ გაწირავს, არ მოუშლის მას ცის ნამს, ხარის ქედსა და მუშის მარჯვენას...

და ამ მოასფალტებულ გზასაც, რომელსაც ახლა ჩემი მამულისკენ მივყავარ, შინამდე მშვიდობით ჩამამთავრებინებს.

**როლანდ ბასილაშვილი.**

## დოლი



**ცხვრის ფარების სიმრავლით განთქმული იყვნენ ყაზბეგის, ახმეტის, დუშეთის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის და სხვა რაიონები. ახლა, სამწუხაროდ, შეთხელდა ცხვარ-მეცხვარე.**

**არადა, რა ძვირად ფასობს ცხვრის ყველი, მატყლი, ხორცი... სხვათაშორის, ყველამ შეიძლება არც იცოდეს, რომ ცხვრის ტყავისგან ჩვენი წინაპრები საწერ ეტრატს ამზადებდნენ. თურმე, ერთი სახარების გადაწერას ათასსულიანი ცხვრის ფარა სჭირდებოდა.**

**მეცხვარეებს სადაგი, სადოლე ამინდი უდგათ ზამთრის საძოვრებზე. ისინი, სულ მალე, ამ პატარა ბატკნებს ფარაში გაურევენ და საზაფხულო იალაღებისკენ მიმავალ ბილიკებს გაუყვებიან — ნოყიერ საძოვარზე დაპურებული ბატკნები წლის ბოლოს შინ ცხვრებად დაბრუნდებიან.**

**იმრავლოს ცხვარ-მეცხვარემ მთაშიც და იალაღებზეც!**

## რეფორმა

# ღმერთმა ქნას, მსხლის ტოტზე ჩამოკიდებული პანტაც დიდი გაზრდილიყოს

საქართველოში საკრედიტო კავშირების განვითარება მსოფლიო ბანკის და **IFAD**-ის პროექტით დაიწყო. მის დაფინანსებაში ევროგაერთიანებაც ჩაერთო. პროექტი სოფლის მეურნეობის დარგების ჩამოყალიბება-განვითარებას ითვალისწინებდა.

დასაწყისში კომპეტენტურმა პირებმა ეს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოაქციეს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, სადაც კოოპერატივების მუშაობის ერთ-ერთ ფორმად საკრედიტო კავშირები განისაზღვრა.

ჯერ კიდევ მაშინ, აგრარიკოსმა მეცნიერებმა გაიანგარიშეს და საჭიროდ მიიჩნიეს, კრედიტისთვის უფრო მეტი თანხის გამოყოფა და სესხის დაბრუნების ვადის გაზრდა, რადგან ერთწლიანი კრედიტი გლეხს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა.

ასეც მოხდა...

ჩვენი რედაქცია რამდენჯერმე დაინტერესდა საკრედიტო კავშირების ბედით. ადგილზე გავეცანით მათ უმრავლესობას, სათანადო წერილები და ინტერვიუები გამოვაქვეყნეთ, რომლებშიც ძირითადად კავშირების ის პრობლემები წარმოვაჩინეთ, მათ ყოფნა-არყოფნას რომ ეხებოდა.

ახლახან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრობლემის გამოსასწორებლად საკრედიტო კავშირები იმუშავებენ არასაბანკო-სადეპოზიტო დაწესებულების შესახებ შექმნილი კანონის მიხედვით...

ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ სოფლად საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს ბატონ **თემურ კუპრავას.**

– პრაქტიკამ გვიჩვენა, საკრედიტო კავშირების საქმიანობა აუცილებლად საკანონმდებლო ჩარჩოებში რომ მოქცეულიყო. ასევე აუცილებელი იყო მაკონტროლებელი, საზედამხედველო სტრუქტურის შემოღება – **ამბობს ბატონი თემური,** – ამიტომ მოხდა ცვლილებები ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში, რის შემდეგაც საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიქმნა 17-კაციანი სპეციალური განყოფილება, რომელსაც ამ საქმიანობაზე ზედამხედველობა დაევალა. საკრედიტო კავშირი ასეთი სისტემით შეიქმნა აზერბაიჯანში, ლიტვაში და ლატვიაში. არასაბანკო ეწოდება იმიტომ, რომ ეს არ არის ტიპიური კომერციული ბანკის პრინციპებზე აგებული სტრუქტურა, ხოლო სადეპოზიტოა, რადგან დეპოზიტი წევრებისაგან იდება.

***– რა მოვალეობები ეკისრება ამ მიმართულებით ეროვნულ ბანკს?***

– აქამდე კავშირები კოოპერატივის კანონით რეგისტრირდებოდა და ლიცენზიას სასამართლო გასცემდა, ახლა კი ეს ფუნქცია ეროვნულ ბანკს დაეკისრა. ვისაც რეგისტრაციის სურვილი ექნება, ეროვნულ ბანკში შექმნილ განყოფილებას უნდა მიმართოს შესაბამისი დოკუმენტაციით.

***– საკრედიტო კავშირებს ლიცენზია ავტომატურად გაუგრძელდებათ?***

– ძველი ლიცენზიით არცერთ კავშირს აღარ ექნება არსებობის უფლება, მათ სამ თვემდე უნდა მოასწრონ ხელახალი რეგისტრაცია. რაც შეეხება ახალი საკრედიტო კავშირების შექმნას, ფინანსების უქონლობის გამო ეს პროცესი, უკვე ერთი წელია, შევაჩერეთ.

***– ამასთან, უკვე ორი წელია დამატებითი სესხები აღარ გაცემულა და ზოგიერთი საკრედიტო კავშირის გაუქმებას ამ მიზეზითაც ხსნიან.***

– გეთანხმებით, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, რადგან 2000 წლის ზაფხულიდან დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსება შეწყდა, სესხის განახლებამდე გადავწყვიტეთ ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა იმის თაობაზე, რომელი კავშირები შეძლებდნენ არსებობას, თანაც, პარალელურად, საკანონმდებლო ბაზასაც მივხედავდით, რადგან იგი სრულყოფილი არ იყო...

***– არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რა „ზარ-ზეიმით“ იქმნებოდა სოფლად საკრედიტო კავშირები, თუ მათი არსებობისთვის მყარი საფუძველი და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა, რატომ დასაწყისშივე არ გავითვალისწინეთ?***

– კანონმდებლობა პროექტის მიღების დღიდან იქმნებოდა, მაგრამ, ხომ უნდა ყოფილიყო საფუძველი იმისათვის, რომ იგი დახვეწილიყო. მაშინ, კოოპერატიული კანონით ვხელმძღვანელობდით, ახლა კი სახელმწიფო ორგანო გამოჩნდა, რომელიც მათ ზედამხედველობას და რეგულირებას გაუწევს, ამიტომ კანონიც შესაბამისი უნდა იყოს, რომ გარკვეული ნორმატივები და ჩარჩოები შეიქმნას.

***– საკრედიტო კავშირების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მაინც რა იყო?***

– ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ ისიც არის, რომ კრედიტი ოთხჯერ ნაკლები გავეცით, ვიდრე გათვალისწინებული იყო. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა სტიქიამ კახეთსა და ქართლში. დამეთანხმებით, რომ საკრედიტო კავშირების არსებობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან გლეხს ვალის დაბრუნება მხოლოდ საკუთარი მეურნეობის ხარჯზე უხდება.

***– მაშინ გაკოტრებული საკრედიტო კავშირებიდან ვალის ამოღება რა ფორმით მოხდება?***

– დღეს საქართველოში 254 საკრედიტო კავშირია, აქედან 119 ჩვენი პროექტით დაფინანსდა. ინტენსიურად ვმუშაობთ დარჩენილ 75 კავშირთან, მათგან 15 წარმატებულია და არანაირი დავალიანება არა აქვთ. 24-ის მიმართ კი, ალბათ, საქმე აღიძვრება. ახლა კონკურსი გამოვაცხადეთ, სადაც ოთხმა იურიდიულმა სამსახურმა მიიღო მონაწილეობა, ამ საქმეს ისინი საკუთარ თავზე აიღებენ და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ყველა მევალე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს.

***– საკრედიტო კავშირებმა უფრო რომელ რეგიონებში გაამართლეს?***

– მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა რეგიონში, ძირითადად კი აჭარაში, გურიაში, ქართლში, კახეთში და სამეგრელოში. ერთადერთი სვანეთია, სადაც საკრედიტო კავშირი არ შექმნილა, ჩემი აზრით, ეს, ალბათ, სვანური მენტალიტეტის ბრალია, იქ ოჯახურ-კასტური ფსიქოლოგია ეზოს დონეს ვერ გასცდა.

ასე რომ, ყველაზე კარგი მდგომარეობა აჭარაშია. კახაბრის საკრედიტო კავშირში, რომლის თავმჯდომარეც ქალბატონი ელენე დუმბაძეა, 300 წევრია გაერთიანებული და საკუთარი თანხა უკვე იმდენი აქვთ, რომ კრედიტის აღება აღარ სჭირდებათ. ანალოგიური მდგომარეობაა ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საკრედიტო კავშირში. უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებას, ალბათ, გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო ხელი, რადგან ამ რეგიონის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის გარდა, სასტუმროს ბიზნესითაც არიან დაკავებული, რაც საკმაოდ მომგებიანია.

***– ამბობენ, ზოგიერთი საკრედიტო კავშირის წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ მათი მენეჯერები საკუთარი წევრების ნაცვლად, სესხს სხვა მოქალაქეებზე გასცემდნენ, რაღა თქმა უნდა, მაღალი პროცენტით.***

– სამწუხაროდ, გურიის სამ და კახეთის ერთ საკრედიტო კავშირში ასეთი ფაქტები იყო, რაზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი.

***– და ბოლოს, რას იტყოდით, დამკვიდრდება სოფლად საკრედიტო კავშირი? მომავალში როგორ გესახებათ იგი?***

– ამის იმედს თუნდაც ის წარმატებული 15 საკრედიტო კავშირი გვაძლევს, წეღან რომ ვახსენე. ყველაფერს ვაკეთებთ მათ შესანარჩუნებლად, გაზაფხულიდან, ალბათ, კრედიტის გაცემას განვაახლებთ. ჩვენი პროექტი 2004 წლამდეა გათვალისწინებული და ალბათ, კიდევ ხუთი წელიწადი გაგრძელდება. ათი წლის შემდეგ კი, დარწმუნებული ვარ, ისინი ისე გაძლიერდებიან, რომ დონორი ორგანიზაციების დახმარება აღარ დასჭირდებათ და საკუთარი ფინანსებით იარსებებენ, რაც, ბუნებრივია, ჩვენი საბოლოო მიზანია.

ბატონი თემურის იმედიანი განწყობილების მიუხედავად, ვფიქრობ, შედეგი მაინც დამაფიქრებელია. ღმერთმა ქნას, შექმნილ პრობლემებს საკანონმდებლო ბაზის შეცვლამ, ახალმა სახელწოდებამ, ფორმამ ან ახალმა „ზედამხედველმა“ მაინც უშველოს... მაგრამ ისე არ მოგვივიდეს, კაცმა პანტა მსხლის ტოტზე რომ ჩამოკიდა – აქ უფრო დიდი გაიზრდებაო...

**ლელა მანავლიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძობულია, ლია ჭილლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პერიოდიკა

# ...აჭირვებაში გაქცევა ...ოველთვის არ ხერხდება

...ი ძველი ანდაზა კი ამ... გაჭირვება მიჩვენე და გა... გიჩვენებო, მაგრამ ცხო... ...მო, სამწუხაროდ, ყოვე... ...ს ანდაზის მიხედვით არა ...მის თვალსაჩინო მაგა... ...ა დღეს უკვე 78-ე წელი... ...გადამღვარი ჟურნალი ...ობი" (მთავარი რედაქტორი ...ქოლაძე), რომელსაც, რო... ...ტყვიან, წელებზე ფეხის ...ით უხდება არსებობა, და ...ლიანებულ ახალ ქართვე... ...ან დღემდე არავინ გამო... ...ხელის წამშველებული. ზე... ...სენები ანდაზა „მნათო... ...დაკავშირებით ჟურნალ ...ბა ნაროდოვის" რედაქ... ...ს, ჩვენებური ალექსანდრე ...ძის იმ ინტერვიუმ მომა... ...რომელიც „ლიტერატურ... ...ზეთას" წლევანდელ მე... ...ომერშია დაბეჭდილი (28 ...ვალი – 5 მარტი).

...ონო ალექსანდრე, იცნობთ ...რა ქართული ლიტერატუ... ...ლევანდელ მდგომარეობა... ...რესპონდენტის ამ კითხვას ...ულენოვანებული მწერა... ...პასუხებს, ღვთის წყალო... ...ნჭიერ ხალხს საქართვე-

...რა გამოლევს, კვლავაც ...ფრიად საყურადღებო ...ოკოსები და პოეტები, მა... ...ლიტერატურული პროცე... ...რთად მატერიალური გა... ...ბის გამო, მძიმედ მიმდი... ...ისო. წამყვანი ლიტერა... ...ლ ჟურნალი „მნათობი" ამ... ...მხოლოდ სამასი ცალი იბე... ...ო, უჰონორაროაო, რაც, ...ა, ჟურნალის შინაარსზეც ...დებაო, მაინცდამაინც სა... ...ესო ვერ არისო (იცოცხლე, ...წაადგებოდა თანამედრო... ...ლიგრაფიულ დონეზე ბე... ...რაც დიდ ფულთან არის ...მირებული).

...უსულენოვანებული მწე... ...იქნებ ყველაფერში მარ... ..., მაგრამ რაც შეეხება ჟუ... ...ს შინაარსს, ამ შემთხ... ...„მნათობი" ზუსტად ასა... ...მ დროით გამოწვეულ ...ლიტერატურულ პრო... ...მქამად საქართველოში ...მიმდინარეობს. ამის თვა... ...ო მაგალითად გამოდგება ...ც მარშანდელი გაერთი... ...ი ბოლო ნომერი (11-12). ...ლ გასაგები მიზეზების ...კვლავ დაგვიანებით გა... ...ა.

...გორც ყოველ ნომერში, ამ ...შიც უხვად არის წარმო... ...ლი პოეზიაც და პროზაც. ...ნალი დაბადების 70-ე წლი... ...ულოცავს გამოჩენილ ქა... ...პოეტსა და საზოგადო ...ეს ჯანსულ ჩარკვიანს და ...ს პოეტის ახალ ლექსებს, ...თაგან ბევრი მართლაც ...ულზეა" დაწერილი:

**„ვდგავარ ჩაფიქრებული**
**და რუსთაველს გავყურებ,**
**ოხ, ამათი სიფათი,**
**ოხ, ამათი საყურე...**
**მე შენ გეტყვი, ერთ წამში**
**ვერ გაგხდიან იჭვიანს,**
**მე რომ გოგო მეგონა,**
**ნუ იტყვით და, ბიჭია.**
**ის დრო არ დაბრუნდება,**
**არც გაივლო ფიქრადა,**
**როცა გოგო გოგოს და**
**როცა ბიჭი ბიჭს ჰგავდა.**
**ღმერთო, დიდ დღეს ნუ მისცემ,**
**ვინც ეს სენი შეგვყარა,**
**რა დააწყობს ნეტავი**
**ამ არეულ ქვეყანას".**

თავიანთ ახალ ლექსებსა და მოთხრობებს სთავაზობენ მკითხველს **ფრიდონ ქარდავა** („ძაფზე მოფარფატე ხელი", მოთხრობა), **გივი ბერაია, გოჩა მანველიძე** („უბის წიგნაკი", მოთხრობა), **ვაჟა ეგრისელი, ნოდარ ხუნდაძე.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ამბავი, რომ თავად საუკეთესო დრამატურგის თამაზ ჭილაძის რედაქტორობისას ჟურნალმა დიდი ადგილი დაუთმო ახალგაზრდა ქართველ დრამატურგებს. რუბრიკით – „პირველი ნაბიჯები" ამ ნომერში ქვეყნდება **ია წერეთლის** „ციფერბლატი" და მაკა მეტრეველის – „გემზე", „სარკე", „ისინი". იმედია, ჩვენი ძველი და ახალი თეატრები ჟურნალის კვალობაზე თვითონაც მეტი ყურადღებით მოეპყრობიან თანამედროვე ქართულ დრამატურგიას.

ჟურნალი კვლავ განაგრძობს ტრადიციული რუბრიკებით („კრიტიკა", „პუბლიცისტიკა", „მეცნიერება", „ხელოვნება", „რეცენზია") მასალების ბეჭდვას.

უთუოდ საყურადღებო პუბლიკაციაა **დომენტი თომაშვილის – „წინაპართა სახეები"** (**აკაკი ხინთიბიძის** წინასიტყვაობა), ცალკე უნდა შევჩერდე **ამირან გომართელის** ინტერვიუზე – **„ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს"**. მრავალ საყურადღებო საკითხთან ერთად კორესპონდენტი და ლიტერატურათმცოდნე ამირან გომართელი ენის პრობლემასაც ეხებიან. აქვე გაგაცნობთ საუბრის ამ ნაწილსაც:

**– 70-იან წლებში „ცისკრის" ფურცლებზე ძალზე მწვავე კამათი გაიმართა ენის პრობლემებზე, კამათობდნენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მთარგმნელები. ერთნი იცავდნენ ქართული ენის არქაული ფორმების გამოყენებას, მეორენი გმობდნენ. ფაქტია, რომ ეს კამათი ძალზე ფართო და ღრმა მნიშვნელობისა იყო. ყოველი მოკამათე არა მხოლოდ თავის ენობრივ პოზიციას, არამედ ლიტერატურულ მრწამსსაც გამოხატავდა. ამ კამათის მონაწილენი სწორედ სამოციანელები იყვნენ. მათი ნააზრევი მათსავე ნაწარმოებებში აღიბეჭდა, აქ, რა თქმა უნდა, თარგმანებსაც ვგულისხმობ.**

– ჯერ დავაზუსტოთ, თუ არ ვცდები, პოლემიკა 1969 წელს დაიწყო არლი თაყაიშვილის წერილით – „ენა ძველი, ენა ახალი" და 70-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა. როგორც მახსოვს, მაშინ (ეს კი ჩემი სტუდენტობის ჟამი იყო) ვნებები ძლიერ გაცხარდა, მაგრამ ახლა დროის გადასახედიდან რომ ვუყურებ, ეს კამათი ჩვენი ლიტერატურისთვის დადებითი მნიშვნელობისა გამოდგა. მიუხედავად ვნებების გაცხარებისა, ეს არ იყო კამათი, რომელსაც ცილამტკავლური ინტრიგა ამოძრავებდა, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება დღეს. ორივე მხარეს საკუთარი სიმართლე ჰქონდა. ამ კამათის წამომწყები, მწერალი და ენათმეცნიერი არლი თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ მისი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის სისადავისთვის ბრძოლას ისახავდა მიზნად და ამით იგი XIX საუკუნის 60-იანელთა პოზიციას იზიარებდა. სხვები კი (რევაზ თვარაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, ზვიად გამსახურდია...) მიიჩნევდნენ, რომ სისადავე გაუბრალოებას და, რაც მთავარია, გაღარიბებას არ გულისხმობს. შემთხვევით არ მიხსენებია გაღარიბება. არლი თაყაიშვილის მოწინააღმდეგენი, როგორც თქვენ ბრძანეთ, არქაული ფორმების გამოყენების მომხრენი იყვნენ. მათი აზრით, XX საუკუნის სალიტერატურო ქართულს უნდა აღედგინა სისხლხორცეული კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან – მერჩულესა და ჟამთააღმწერელთან, ბიბლიისა და „ვისრამიანის" მთარგმნელებთან (უფრო ადრე ამ პოზიციას ყველაზე მკაფიოდ კონსტანტინე გამსახურდია იცავდა). საინტერესოა, რომ საკუთარი პოზიციის გამოხატვისას არლი თაყაიშვილი სწორედ მთარგმნელებს უპირისპირდებოდა. საანალიზოდ გამოყენებული იყო ბაჩანა ბრეგვაძის, ზურაბ კიკნაძის, თამაზ ჩხენკელის, ზვიად გამსახურდიას თარგმანები.

ჩვენმა მკითხველმა უფრო ნათლად რომ წარმოიდგინოს, თუ რაზე იყო დავა, ერთ მაგალითს მოვიყვან. არლი თაყაიშვილი იწუნებდა „სეფეწულს" და ამბობდა, „უფლისწული" ხომ არქაიზმია, მაგრამ „სეფეწული" არქიარქაიზმიაო. როგორც ჩანს, აქ უფრო ენათმეცნიერი მეტყველებდა, ვიდრე მწერალი. სინონიმები ამდიდრებენ ენას. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა ვერც „უფლისწული" ჩაითვლება არქაიზმად და ვერც „სეფეწული". ენის უძველესი პლასტი ის წყალქვეშა მდინარებაა, რომელიც დიალექტებთან ერთად კვებავს დღევანდელს. აქვე, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს ფრაზის სილამაზესა და პოეტურობას. რამდენადაც მახსოვს, აკი შენიშნეს კიდეც ოპონენტებმა, თუ რაოდენ მომხიბლავია ზურაბ კიკნაძის ფრაზა მის მიერ თარგმნილ „გილგამეშიდან" – **„დიაცმა განახვნა ბაგენი".**

ერთი აუცილებლად უნდა ითქვას, არლი თაყაიშვილის. წესიერი და პატიოსანი კაცის მიერ წამოწყებული პოლემიკით ყურადღება გამახვილდა როგორც მთარგმნელთა ფრიად საინტერესო ჯგუფზე, რომელმაც ხელახლა გაუხსნა გზა უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ისე სალიტერატურო ენისა და, მეტიც თარგმანის საკითხებზე.

ასე რომ, კამათმა „სეფეწულის" და „უფლისწულის" გამო გარკვეულწილად წინ წასწია ჩვენი ლიტერატურული აზროვნება და დახვეწა გვმოენებაც. თუმცა ისიც მგონია, რომ დღევანდელი შეჭირვებული დროის შემყურე ახალგაზრდა, გონიერი მკითხველი უთუოდ იფიქრებს, თუ რა ფუფუნებაა ამგვარი კამათი, თუკი, რა თქმა უნდა, კითხულობს ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკას. ანდა, მე და თქვენ, ამ საოცრად არალიტერატურულ გარემოში, გადაშენების პირას მისული დინოზავრების ჩამორჩენილ ნაშიერად არ მიგვიჩნევს ვინმე.

... და მაინც, უფრო საინტერესო ის კაცია, ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს."

აქვე გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობის" 2001 წლის ნომრების შინაარსი, რომლის გაცნობითაც პირუთვნელი მკითხველი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ არც ისეა საქმე, როგორც ზემოხსენებულ ერთ გარუსულენოვანებულ, მაგრამ ამკარად კეთილმოსურნე მწერალს ჰგონია.

**გურამ წიკლაური.**




## პოზიცია

# ულტიმატუმის ვადა – პირველი მაისი

იტალიის საფეხბურთო კლუბ „მილანის" 24 წლის ქართველი ლეგიონერი **კახა კალაძე** უკრაინის მოქალაქეობას მიიღებს და ფიფას უკრაინის ნაკრებში თამაშის უფლების მიღების თხოვნით მიმართავს, თუ 1 მაისამდე არ გაათავისუფლებენ მის ძმას ლევან კალაძეს, რომელიც გასული წლის 23 მაისს გაიტაცეს დაუდგენელმა პირებმა გამოსასყიდის მიღების მიზნით.

ამის შესახებ ნათქვამია კახა კალაძის ოფიციალურ საიტზე.

ფეხბურთელი აცხადებს, რომ მისთვის „ძალიან მტკივნეულია" ყოველდღე მოისმინოს საქართველოს მთავრობის და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისგან დაპირებები ძმის თაობაზე, როცა გამოძიება „იოტის ოდენადაც" არ წასულა წინ.

იგი საქართველოს შსს-ს ბრალს სდებს „უძლურებაში, ამორფულობასა და გულგრილობაში" და აცხადებს, რომ შემზარავია, როდესაც თითქმის ყველა ქართველი მაღალჩინოსანი საჭიროდ თვლის ამტკიცოს გამოძიებაში მისი მონაწილეობის შესახებ.



კახა კალაძის განცხადებით, ამ სიტუაციაში მას „პირველად შერცხვა იმის გამო, რომ ეკუთვნის იმავე ერს, რომელსაც ასეულობით თავზეხელაღებული ბანდიტი და პოლიტიკური მეძავი".

კახა კალაძემ უკვე 6 თვეა, არ იცის, ცოცხალია თუ არა მისი ძმა და ღმერთს მის გათავისუფლებას ევედრება.

კახა კალაძე ამბობს, რომ მიიღო „საბედისწერო, ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება" – თუ 1 მაისამდე მის ძმას არ გაათავისუფლებენ, ან გამოძიება ოჯახს არ დაარწმუნებს ეფექტურ წინსვლაში ამ საკითხზე, იგი იძულებული იქნება, მიიღოს უკრაინის მოქალაქეობა და ამ ქვეყნის ნაკრების სახელით ითამაშოს.

ვინაიდან ფიფას რეგლამენტით ეს აკრძალულია, რადგან იგი სისტემატურად თამაშობს საქართველოს ნაკრებში, კახა კალაძე მიმართავს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციას „პრეცედენტის, გამონაკლისის დაშვების" თხოვნით.

იგი აღნიშნავს, რომ „წარმოუდგენელ და გაუსაძლის" სიტუაციაში აღმოჩნდა.

ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ ფიფა მას დაეხმარება და აღნიშნავს, რომ უკრაინა მისთვის მეორე სამშობლო გახდა, სადაც იგი კიევის „დინამოში" ჩამოყალიბდა, როგორც ფეხბურთელი.

აღნიშნული საკითხის კომენტირებისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „იგი გაგებით ეკიდება კახა კალაძის მდგომარეობას და ქვეყანაში მართლწესრიგის უზრუნველყოფის აუცილებლობას".

რაც შეეხება კალაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მან შესაძლოა საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშოს, ჩოლარია თვლის, რომ მის სიტყვებში ემოცია ჭარბობს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და მწვრთნელები კახა კალაძესთან აღნიშნულ საკითხზე დამატებით კონსულტაციებს გამართავენ და შეეცდებიან, უარი ათქმევინონ ამგვარი ნაბიჯის გადადგმაზე, – განაცხადა ჩოლარიამ.

ლევან და კახა კალაძეების მამამ კარლო კალაძემ პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ, თუ სამართალდამცავები პირველ მაისამდე ვერ შეძლებენ მისი შვილის გათავისუფლებას, კალაძეების ოჯახი უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე და საზღვარგარეთ გაემგზავრება საცხოვრებლად.

რამდენიმე დღის წინათ შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა „პრაიმ-ნიუსს" განუცხადა, რომ ისინი ლევან კალაძის გასათავისუფლებლად ყველა ღონეს ხმარობენ, თუმცა შედეგი ჯერ არ ჩანს.

კახა კალაძე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 31 მატჩში მონაწილეობდა.

**„პრაიმ-ნიუსი".**

# მურთაზ ხურცილავა: „კალაძის ეს ნაბიჯი დიდი შეცდომა იქნება"

წარსულში თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ლეგენდარულმა კაპიტანმა მურთაზ ხურცილავამ, რომელიც ახლა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა, განაცხადა: „უბრალოდ არ მჯერა, რომ კახა კალაძე აპირებს უარი თქვას საქართველოს ნაკრებში თამაშზე და უკრაინის მოქალაქეობა მიიღოს, თანაც სთხოვოს ფიფას, ნება დართოს გამოვიდეს უკრაინის ნაკრებში".

ჟურნალისტებთან საუბარში ხურცილავამ თქვა: „თუ კალაძე მართლაც აპირებს გადადგას ასეთი ნაბიჯი, ეს მისი დიდი შეცდომა იქნება". ამასობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ყოველ მოთამაშეს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს – მიიღოს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელსაც მოისურვებს, მაგრამ საქართველოში ძალიან აფასებენ კალაძეს, როგორც ნაკრების მოთამაშეს და ამიტომ გადაწყვეტილია, კონსულტაციები გამართონ კახასთან, რათა დაარწმუნონ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილი არ არის".

**საქინფორმი.**

## სარვარმარტოდ

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს სპორტში სამსახური, გასაგები მიზეზების გამო, არცთუ პრესტიჟულად ითვლება, მაინც შეგვიძლია დავადასტუროთ: ქართულ სპორტს ჰყავს ნამდვილი ქომაგები, საქმეზე უზომოდ შეყვარებული სპეციალისტები, მწვრთნელები, რომელთა შორის ბევრია ქალბატონი.**

**ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ ირინა მინქულინა – საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომელსაც რედაქციაში შევხვდით და ვესაუბრეთ.**

# ცურვა მისი ხელობაა

*– მოდით, ქალბატონო ირინა, ორიოდ ათეული წლით უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ აქტიურ სპორტში თქვენი გამოსვლები. რომელი მიგაჩნიათ ყველაზე აღსანიშნავ წარმატებად?*

– 70-იანი წლების მიწურულს, მარტში გამოვედი საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა პირველობაზე. უძლიერესებთან ჭიდილში 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მესამე ადგილი დავიკავე. ჩვენმა „განთიადის" გუნდმა კომბინირებულ ამანათცურვაში ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემი ყველა გამოსვლა ცისფერ ბილიკებზე საკმაოდ წარმატებული იყო, შედეგები – სპორტის ოსტატის ნორმატივებზე მაღალი.

*– თქვენი საკმაოდ გამართული ქართული ადასტურებს, რომ საქართველოში დიდი ხანია ცხოვრობთ.*

– დედის მხრიდან პაპის პაპა ჩამოსულა რუსეთიდან, ჩემი მშობლები და მეც საქართველოში დავიბადეთ, ასე რომ, მე თითქმის ქართველი ვარ...

*– როგორია ირინა შინ? გაგვაცანით თქვენი ოჯახი.*

– ოჯახი, შეიძლება ითქვას, დღეს სამი სულისგან შედგება. ჩემი ვაჟი საქართველოს სპორტის აკადემიის სტუდენტია. ოჯახის წევრად ითვლება, აგრეთვე, „ბოქსიორის" ჯიშის ძაღლის ლეკვი – „ჯენი"...

*– თუ მიგაჩნიათ, რომ იპოვეთ „თქვენი საქმე?"*

– 8 წლისამ დავიწყე ცურვაში ვარჯიში მწვრთნელ ნინა პალანჯიევასთან. გეტყვით, რომ მაშინვე მქონდა გადაწყვეტილი ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლა და მწვრთნელობა. სხვა საქმე ვერც წარმომედგინა. 1983 წელს მეორე კურსზე ვიყავი, „ლაგუნა-ვერეს" აუზზე მწვრთნელობა რომ დავიწყე. თანდათან ჩავები საქმეში. გაჩნდნენ ნიჭიერი და პერსპექტიული აღსაზრდელები. მაგალითად, ზურაბ ხომასურიძე 6 წლიდან ვარჯიშობს ჩემთან. იგი ახლა სპორტის ოსტატია, მალე გაემგზავრება მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატზე საასპარეზოდ. ზურაბ ბერიძე უკვე გამოვიდა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. ალბათ, გახსოვთ, სწორედ მას მოჰქონდა თამაშების გახსნის ცერემონიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშა...

*– მაინც სპორტულ თემაზე გადახვედით. ისე, გვითხარით, როგორი ხართ შინ, თუ გიყვართ კერძების მომზადება, სახლში ფუსფუსი?*

– საუკეთესო და მრავალფეროვან კერძებს და ნამცხვრებს ვამზადებ. შინ ტრიალი და, როგორც ამბობთ, ფუსფუსი ძალიან მიყვარს, თუმცა, სახლისთვის დიდი დრო არა მაქვს – კვირა დღეს და იმ საათებში, რომელიც მრჩება დილისა და შუადღის წვრთნებს შორის, ვახერხებ სახლში ასვლას. იგი ძალიან მიყვარს. ალბათ, იმიტომაც, რომ ეს სახლი პაპისეულია, სადაც წინათ ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ. მაქვს ყვავილები ეზოსა და ოთახებში...



*– სპორტის იმ სახეობას, რომელსაც აგერ უკვე თითქმის 20 წელიწადია ემსახურებით, მრავალი შუქ-ჩრდილი ახლავს. ჩრდილოვანი მხარეები უფრო მკაფიოდ უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა – უხელფასობა, არაერთი აუზის გაუქმება. კიდევ რა მიგაჩნიათ მნიშვნელოვან ნაკლად?*

– ჩვენმა საზოგადოებამ, რატომღაც, დაკარგა ინტერესი ცურვისადმი, განსაკუთრებით გოგონათა მშობლების მხრიდან. ახლა ასეთია მდგომარეობა: აუზზე მოსულ 30 ბიჭზე მხოლოდ 1 გოგონა მოდის. უწინ ჩვენთან მთელი კლასები მოდიოდნენ. სამწუხაროდ, სკოლებმაც დაივიწყეს ეს კარგი ტრადიცია. ამასთან, ნაკლებია მწვრთნელთა დაინტერესება მატერიალურად. მე, მაგალითად, როგორც მთავარ მწვრთნელს, ხელფასი არ მიმიღია... 4 წლის განმავლობაში.

*– მამ, რითი ცხოვრობთ?*

– რამდენიმე ადგილზე მუშაობას ვახერხებ – სპორტსკოლებში, თან ფასიანი ჯგუფებიდან მაქვს რაღაც შემოსავალი, ძირითადად კი ჩემი ძმა მეხმარება. იგი მეზღვაურია, ელადივოსტოკში მუშაობს, ხშირად დადის იაპონია-ჩინეთის მარშრუტებით...

*– ცურვაში მწვრთნელთა შორის, ვფიქრობ, ქალები მეტნი არიან, ვიდრე მამაკაცები. სწორედ იმ ქალბატონების დიდი დამსახურებაა, რომ ცურვა კიდევ ცოცხლობს ჩვენში. ხომ არ შევახსენოთ მკითხველებს მათი სახელები?*

– დიდი სიამოვნებით. აი, რამდენიმე გამორჩეული მწვრთნელი: რუსუდან გოჩიტაშვილი, მარინა მაედია, მარინა ლომიძე, ნატო ნადირაძე, ნანი ჭუმბაძე, ნინა პალანჯიევა, ვიქტორია ბეგიჯანოვა, მანანა ზამბახიძე...

*– სპორტი, განსაკუთრებით ცურვა, სახალისო და ჯანმრთელობისთვის დიდად მარგია. თუ შეგიძლიათ, მოკლედ აუხსნათ მშობლებს, კერძოდ კი – დედებს მათ პირმშოთათვის ცურვის მნიშვნელობა?*

– დღეს კომპიუტერების, ვიდეოკასეტების ფართოდ გავრცელების პირობებში ცურვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ბავშვები განიცდიან მძიმე ინტელექტუალურ ზეწოლას. უძრაობით უამრავი ბავშვია დაავადებული სქოლიოზით, მოზარდები ნაკლებად არიან კოორდინირებულნი. სწორედ ნორჩთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მაიძულებს, ვთხოვო მშობლებს, მოიყვანონ თავიანთი შვილები აუზზე, ასწავლონ ცურვა. ერთსაც დავძენ: ასთმიანი ბავშვებისთვის ცურვა პირდაპირ წამალია, ტრავმების შემდეგ პირველი აღდგენითი საშუალებაც ცურვაა.

*– გვაქვს კი იმდენი აუზი, ყველა მსურველი რომ დააკმაყოფილოს?*

– თუ ... ვამია, ... ბათუმში ... ანგრიეს ... ლება „... კილო ... ვრთნელ... და გიო... ზაფხულ...ვამიც ასწავლიან ბავშვებს ცურვას. რუსთავსა და ქუთაისში სეზონურად (ზაფხულობით) მუშაობს აუზი. სამწუხაროდ, ხობში, რომელსაც ადრე დიდებული კომპლექსი გააჩნდა, დღეს აუზი აღარ არის. ასევე უაუზოდ არიან ტყიბულელები. თბილისში კი, კარგად მოგეხსენებათ, რამდენიმე აუზი მუშაობს ზამთარ-ზაფხულს, მათ შორის – დიღმის ოლიმპიური რეზერვების, „ბურევესტნიკის", ვარკეთილის და არმიის სასპორტო კლუბის აუზები, აგრეთვე – „ლაგუნა-ვერე", სადაც გვაქვს ტრენაჟორთა დარბაზი, შეიპინგი, საუნები, მუშაობს სილამაზის სალონი, კოსმეტოლოგი და სხვა. ერთი სიტყვით, თუ მოვინდომებთ, აუზსა და წყალს მივაგნებთ, ჯანმრთელობას და სილამაზესაც შევინარჩუნებთ, რადგან ცურვა ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სპორტის სახეობაა.

*– 8 მარტი, ქალთა დღესასწაული, თავის უფლებებს იბრუნებს. ალბათ, თქვენც გაგახარათ ამ ამბავმა. რას უსურვებდით ჩვენს დედებს და, საერთოდ, ქალებს ამ დღესთან დაკავშირებით?*

– ვუსურვებ წარმატებებს, ყვავილებს, იმას, რომ ხშირად იარონ ჩვენთან. წყალი და ცურვა ალამაზებს ადამიანებს, განსაკუთრებით – ქალს.

ესაუბრა
**ანზორ ბასილაია.**

**სურათზე:** ირინა მინქულინა თავის აღსაზრდელ ზურაბ ბერიძესთან ერთად.

## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. XXIX ტური. „მანჩესტერი" – „ტოტენჰემი" 4:0, „არსენალი" – „დერბი" 1:0 (**გიორგი ქინქლაძე 54-ე წუთზე შეცვალეს**), „ლივერპული" – „ნიუკასლი" 3:0, „ლიდსი" – „იფსვიჩი" 2:0, „ჩელსი" – „ფულჰემი" 3:2.



„მანჩესტერი" – 61, „არსენალი" – 60, „ლივერპული" – 59, „ნიუკასლი" – 55, „ლიდსი" – 48, „ჩელსი" – 47 ქულა.

საფრანგეთი. XXVIII ტური. „ლანსი" – „რენი" – 2:0, „ლიონი" – „მონაკო" 1:0, „მარსელი" – „ოსერი" (უამინდობის გამო შეწყდა, როცა მასპინძლები იგებდნენ 1:0), „ბასტია" – „პარი სენ-ჟერმენი" 0:1, „მეცი" – „ლილი" 0:2.

„ლანსი" – 59, „ლიონი" – 53, „პარი სენ-ჟერმენი", „ოსერი", „ლილი" – 48-48 ქულა.

ესპანეთი. „სამეფო თასის" ფინალი. „დეპორტივო" – „რეალი" 2:1.

გერმანია. თასის ნახევარფინალი. „ლევერკუზენი" – „კიოლნი" 3:1 (დ.დ. 1:1), „შალკე" – „ბაიერნი" 2:0 (დ.დ. 0:0).

## ყოველი მხრიდან

### სხვისი მედალი რად მინდა!

ალბათ, გახსოვთ, რომ ცნობილ რუს ტანმოვარჯიშეებს ალინა კაბაევას და ირინა ჩაშინას ბრალად დასდეს დოპინგის – აკრძალული მედიკამენტების გამოყენება, რის შედეგადაც მათ უნდა ჩამორთმეოდათ შესაბამისი მედლები და მომდევნო ადგილებზე გამოსულთ გადასცემოდათ. 2001 წლის „ბრინჯაოს" პრიზიორმა მხატვრულ ტანვარჯიშში, ბულგარელმა სიმონა პეიჩევამ უარი თქვა ასეთი მედლის ტარებაზე, რადგან ალინა კაბაევაც და ირინა ჩაშინაც მიაჩნია უძლიერეს ტანმოვარჯიშეებად. რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირინა ვინერმა მოიწონა ბულგარელი სპორტსმენის კეთილი საქციელი და ისიც დასძინა, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის ამ სადოპინგო ისტორიის შედეგები. რუსეთის მხარემ ძლიერი იურისტები მოიხმო საარბიტრაჟო სასამართლოზე ამ ქალიშვილების ინტერესების დასაცავად.

### ხურდა ფული აიკრძალა

27 იანვარს, როდესაც მიმდინარეობდა ინგლისის თასის გათამაშებაზე „არსენალ" – „ლივერპულის" მატჩი (0:1), სტუმრების მცველს ჯეიმს კარაგერს შუბლში მოხვდა რომელიღაც გულშემატკივრის მიერ ნასროლი მონეტა. ფეხბურთელმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა და მონეტა უკან ისროლა, იქნებ დამნაშავეს მოვახვედროო. რისთვისაც მსაჯმა დაუყოვნებლად წითელი ბარათი აჩვენა.

მატჩის ბოლოს ფეხბურთელმა საქვეყნოდ მოიხადა ბოდიში – თავი შევირცხვინე, გუნდს, გულშემატკივრებს ვუღალატეო.

სხვათა შორის, „არსენალის" მესვეურებმა განაცხადეს, რომ იპოვნიან და დასჯიან მონეტის მტყორცნელს. ძებნა მთელ თვეს გაგრძელდა და აი, „არსენალის" „ფულჰემთან" შეხვედრის დროს პოლიციამ „გამოიჭირა" 19 წლის დამნაშავე.

ჭაბუკს სამუდამოდ აეკრძალება „არსენალის" მატჩებზე დასწრება, ხოლო პრესაში უკვე გაისმა ხმები მატჩებზე ლითონის მონეტებით შესვლის აკრძალვის შესახებ.

### ვიდრე რონალდო ისვენებს...

მილენა დომინგესი, ბრაზილიური „ფლუმინენსეს" მოთამაშე, პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლებოდა, მაგრამ თვრამეტი წლისამ თამაშს თავი დაანება, რადგან ასე მოითხოვა მისმა ქმარმა – საქვეყნოდ სახელგანთქმულმა რონალდომ.



მას შემდეგ, რაც მათ ვაჟი შეეძინათ, მილენამ ფეხბურთისთვის ვეღარ მოიცალა. მაგრამ ახლა უკვე გადაწყვიტა დიდ ფეხბურთში დაბრუნება. მისი ახალი კლუბია „ფიამა მონცა".

მილენა ახლა ოცდაორი წლისაა. ბურთთან ურთიერთობა არ დავიწყებია, არც დამძიმებულა. თუკი უნდა, ქმარმა დაისვენოს.

**სურათზე:** რონალდოს მეუღლე – ფეხბურთელი მილენა დომინგესი.

## ცინცხალი ამბები



სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხორვატმა სამთომოთხილამურემ იანიცა კოსტელიჩმა მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ეტაპზე დაცემისას დაიზიანა ხელი და საავადმყოფოში მოათავსეს. იგი ამ შეჯიბრში ლიდერობდა, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. ამასთან საეჭვოა მისი გამოსვლა სლალომსა და გიგანტურ სლალომში.



სოლტ-ლეიქ-სითის ზამთრის ოლიმპიადის ერთ-ერთ მსაჯს ფრანგ მარი-რენე ლე გუნს მიეცა დისკვალიფიკაცია. მან ახლახან განაცხადა, რომ ოლიმპიადის ტექნიკური კომიტეტის წარმომადგენელი სალი სტეპლფორდი მასზე ზეწოლას ახდენდა. იგი თავს თვლის ერთ-ერთ კომპეტენტურ მსაჯად და ითხოვს რეაბილიტაციას.

**სპორტის რედაქცია**


...აიწყო შპს ...ინტას» ...ლიკვიდა- ...ო სამუშა- ...ინტერესე- ...ულ იური- ...ულ და ფი- ...ურ პი- ...შეუ- ...ათ მიაკი- ...ონ მისამა- ...: დავით ...მინდელის 96, ტელ: ...4-18-76. ...ლიკვიდატორი.

# ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 2002 წლის პირველ ნახევარზე. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და ორგანიზაციებისთვის შეადგენს: ერთი თვით 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, ექვსი თვით – 78 ლარი.

მსურველებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა" გამოწერა შეუძლიათ პრესის გამავრცელებელ შემდეგ ორგანიზაციებში: სს „საქპრესა" (ტელ: 93-30-54); სს „მაცნე" (ტელ: 37-47-49); შპს „უწყებანი" (ტელ: 93-64-72); შპს „ინტერპრესი" (ტელ: 96-23-11); შპს „ელვა-ფორტე" (ტელ: 93-38-73); შპს „რუბიკონი" (ტელ: 93-46-00); შპს „პილოტი" (ტელ: 34-77-43); შპს „ინფოსერვისი" (ტელ: 95-48-82).

...მოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 56-57, პარასკევი, 8 მარტი, 2002

## ალბომში

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში მცხოვრები მიხელიძეების ოთხი რძალი.
მარცხნიდან – თამარა, ნორა, ელენე, ძუძუნა.
1953 წელი.

ფოტო მოგვაწოდა მანანა მიხელიძემ.

## მილოცვა

### ცეზარ მოსიძეს

ჩემო ცეზარ,

დღეს შენი დიდი იუბილეა, ექვსი ათეული წელი უკან მოიტოვე და ერთი ამდენივე გასავლელი გაქვს ცხოვრებაში. მიხარია, რომ ბედმა შენთან მეგობრობა მარგუნა და ნათელმირონობაც, რომელსაც ჩვენი ოჯახები თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ეს ყველაფერი ჩვენი ძვირფასი მშობლების დამსახურებაცაა, რადგან ჩვენ, თბილისელ ბიჭებს, პირველ ყოვლისა, სინდისისა და ნამუსის მოთხოვნით გვზრდიდნენ. ასე მოვდივართ დღემდე, ასე რომ გვიხარია სიცოცხლე და ერთმანეთის მხარში ამოდგომა ჭირსა თუ ლხინში. შენ ყველას უყვარხარ, ცეზარ, ქალებსაც კი, რასაც ხშირად ხუმრობითაც მოგმართავთ რა ხანია, შენ ხომ 8 მარტს დაიბადე – ქალთა საერთაშორისო დღეს.

სულ ასე ბედნიერად გევლოს ამ დიდი ცხოვრების გზაზე შენს ძვირფას ნუნუკასთან ერთად შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულში.

შენი თბილისი და შენი მეგობრები შენთან ვართ მუდამ.

ალეკო კაკულია.

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო ღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ულოცავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალს — ვეტერანს (პენსიონერს) და მათი ოჯახის წევრებს ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის დღესასწაულს, უსურვებს მათ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ქვეყნის აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას.

ბორის ყურაშვილი,
საქართველოს ომის,
შრომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

## სარვამარტო ღიმილის დოზა



თავში არის ცხოველი, რომლის განვლილი გზა სავსეა გულწასული ქალებით.

* * *

კათოლიკე მღვდელი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაამწესეს ახალ ეკლესიაში, მრევლის წევრ ახალგაზრდა ქალს ეკითხება, მოსწონთ თუ არა მისი ქადაგებანი.

— შესანიშნავია, — უპასუხებს ქალი, — შეიძლება ითქვას, რომ სანამ თქვენ მოხვიდოდით, ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა ცოდვებზე.

* * *

სასტუმროს ადმინისტრატორი ეუბნება კლიენტს:

— თუ ვერ დამიმტკიცებთ, რომ ეს ქალი თქვენი ცოლია, ერთად ვერ ჩაგასახლებთ.

— თუ დამიმტკიცებთ, რომ ეს ქალი ჩემი ცოლი არ არის, სიკვდილამდე თქვენი მადლიერი ვიქნები.

* * *

დონ ჟუანის დღიურიდან:

— ბედნიერებაა, როცა ლამაზი ცოლი გყავს, უბედურებაა ასეთი ბედნიერება.

— რაც უფრო მეტად აქვს ქალს კაბა გაჭრილი, მით უფრო ეადვილება გაექცეს კაცს, მაგრამ მით უფრო დიდი სურვილი აქვს კაცს დაეწიოს.

— რაც უფრო ღრმადა აქვს ქალს კაბა მკერდზე ამოჭრილი, მით უფრო თავისუფლად სუნთქავს იგი, მაგრამ მით უფრო სული ეკვრება მამაკაცს.

— სიყვარული სადილივითაა: ქალი ჯერ ცივ კერძს მოგართმევს, შემდეგ ცხელს. მაგრამ კაცი ბავშვივით არის: თავიდანვე ტკბილით უნდა დაიწყოს და თუ ქალმა ნებაზე მიუშვა, მადა სწრაფად ეკარგება.

* * *

ცოლ-ქმარმა უცხოეთში, ზღვის ნაპირზე დასვენება გადაწყვიტა. იყიდეს საგზურები. ჩავიდნენ კურორტზე. დაისვენეს და შინ წამოსვლას რომ აპირებდნენ, სასტუმროს პატრონმა 10 ათასი დოლარის ანგარიში წარუდგინა.

ქმარს ენა ჩაუვარდა და ძლივს ამოილუღლუღა:

— რისთვის?

პატრონი უხსნის:

— გასეირნება ავტომობილით ღვინის დეგუსტაციით — 2 ათასი დოლარი.

— რას ამბობთ?! ავტომობილში არ ჩავმჯდარვარ!

— თქვენი ბრალია. ჩვენ ყოველ დღე ვაცხადებდით ავტოგასეირნების შესახებ. შემდეგ: გასეირნება იახტით, თევზაობა — 3 ათასი.

— რისი თევზაობა, რა იახტა! თვალითაც არ მინახავს.

— არ ვიცი, არ ვიცი — იახტა ყოველდღე მზად იყო, უნდა გესარგებლათ. შემდეგ: გასეირნება ვერტმფრენით — მთების დათვალიერება — 5 ათასი დოლარი.

— რა ვერტმფრენი? გადაირიეთ?

— ჩვენ კი არ გადავირიეთ, თქვენი ბრალია. ვერტმფრენი ყოველდღე მოფრინავდა.

კაცი: — ასეა? მაშ მე თქვენგან 15 ათას დოლარს ვითხოვ მორალური ზარალის ასანაზღაურებლად!

— რა მორალური ზარალი აგიტყდათ?!

— ის, რომ ჩემს ცოლს ხმარობდით.

— მე? თქვენი ცოლი? ახლოც არ გავკარებივარ!

— ეგ თქვენი ბრალია. ჩემი ცოლი აქ, პლაჟზე ყოველდღე იწვა.

## ყველა ქართველი პოეტია

# ქართველი ქალი

ვუძღვნი საშურა შენგელიას

ქართველი ქალი,
ოჯახის თვალი,
ღმერთის მორწმუნე,
ერთგული ქმარის!.

სტუმართმოყვარე და ნათესავის,
სამეზობლოში —
იმედი კარის! —

მუდამ ერთგული,
ქმრისა და შვილის,
დაუღალავად
დღე და ღამ გივლის!

ქართველი ქალი,
ლამაზი, სათნო
თუ გიჭირს რამე
გულს მუდამ ათბობს!

დღეს ის ოჯახი ბედნიერია,
თუ ოჯახში გყავთ
ასეთი ქალი,
სიტყვაძვირი და კეთილი
გულის,
ღირსია იყოს ის სიყვარულის!

მაშ, მივულოცოთ ზეიმი
ქალებს,
ვინც სიხარულით გაგვიღებს
კარებს!
იყოს ჯანმრთელი
და ბედნიერი,
ასეთი ქალით ხაროდეს ყრი!

რიდი (როზა) ჯოლოგუა-ენგურელი.
გაგრიდან დევნილი.

## დიდების ზღაპარი

ავტობუსში სხედან „დიდების ზღაპრის“ გმირები, ექსკურსიაზე გასამგზავრებლად ემზადებიან, თან მძღოლთან ხაუბრობენ:

– რატომ არ მივდივართ?

– ვიღაცას ველოდებით, ჩემო ყვავილო, და კიდევ იმასა, აი, უხერხული სახელი რომ ჰქვია.

– რა ჰქვია ამისთანა?

– გიდეო თუ გრეკეო, რა ვი, კაცო, მე კი მეუხერხულება და...

– გიდს გულისხმობს, ალბათ, მაგრამ რა არის გიდში უხერხული?

– თუ მოგწონს, შენი იყოს.

– შენ რა, არ მოგწონს?

– რა მომწონს, – ხანდახან თვალს არ ვუჯერებ ისეთ რაღაცეებს ვკითხულობ და ყურები მიფართოვდება, ისეთები მესმის. აი, მაგალითად, კანფეტი უნდა მეყიდა – ნუტელაო, გზაზე დავიღალე, სასტუმროში მეგალ-მეთქი და – მოტელიო. კაცო, თუ რაღაცის თქმა გინდა, გეყოს გამბედაობა და თქვი რა, შე მამაცხონებულო.

– მართალს ამბობს, ყველაფერში უცხოეთს ვბაძავთ და არც კი ვფიქრობთ, ისე გადმოგვაქვს.

– აგერ, ჩვენი პრეზიდენტიც მობრძანდება.

ის უხერხულა ჩვეულებრივი გიდი კი არა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი პეროლადე ყოფილა. აი, ავტობუსიც დაიძრა და მგზავრებმა სიმღერაც წამოიწყეს:

– აი, ასე არ სჯობია – ქართული, მამაპაპური სიმღერები და მამაპაპური გარემო? აბა, რა არის ეს გაუთავებელი წივილ-კივილი ტელევიზიით და რადიოთი. სად წავიდა ჩვენი საყვარელი რევაზ ლაღიძის ან გოგი ცაბაძის სიმღერები, რომელი ერთი ჩამოვთვალო: კერესელიძე, ჩემო ბატონო, ნასიძე, ცინცაძე, შორს რომ არ წავიდეთ, აგერ ბიძინა კვერნაძე, ჯანსუღი, ჩვენი, კახიძე, გია, ბატონო, ყანჩელი, იაშა არ დაგავიწყდეთ, ბობოხიძე.

# ეროვნული ექსკურსია

– ველარ გამიგია, საქართველოში ვარ თუ არიზონაში? ქართულ რადიოში ქართული სიმღერები გამოილია?

– კაცო, ჩვენ ხომ დავთქვით, რომ საქართველოს რადიო-ტელევიზიებში ოცი პროცენტი მაინც უნდა იყოს ეროვნული პროგრამებზიო?

– ეტყობა, ზოგიერთებს არ აწყობს.

– ზაზა შენგელიამ დიდი ხანია, მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას, სხვები რას ამბობენ?

– ჩემი ტელევიზია არათუ ოცით, ასი პროცენტით ქართულია.

– ეგ როგორ? საინტერესოა, თქვენი მომღერლებიც ხშირად მღერიან უცხო ენებზე.

– სამაგიეროდ, მომღერლები არიან ქართველები.

– მასე, კაცო, უცხოური პროგრამების გაშვებაზეც ქართველი არ აჭერს „კნოპკას“ თითს?

– ჩემი ტელევიზია მაინც ყველაზე ქართულია საქართველოში.

– ვინ მოგცა შენ შენი ტელევიზია?

– მე ეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მგონია და ტელევიზიის თავმჯდომარე არ ყოფილა?

საუბრიდან ირკვევა, რომ სხვა სფეროებშიც ყოფილა მსგავსი პრობლემები, მაგრამ ძირითადად, მაინც ტელევიზია გამოირჩევა:

– აბა, კაცო, ამერიკელებს არა აქვთ ნანახი ის ფილმები, ჩვენ დღეში სამჯერ რომ ვნახულობთ.

– სამაგიეროდ, ქართულს არაფერს ვუყურებთ.

– რასაც ვუყურებთ, და... რისხისაა.

– მთავარია, მაინც ეროვ... გრამებზე გაკეთდეს პ...

– გაიხსენეთ, რა საგ... სპექტაკლებს ვაკეთებდი...

– „პოეზიის ხუთი წუ... ხსოვთ?

– ახლაც არის, ბატონ... ზიის რამდენიმე წუთი.

– მერედა, რა ლექსები მ...

... ამასობაში თბილის... ახლოვდა ავტობუსი, მაგრ... უბარში გართულებმა ... ვერც კი შენიშნეს, თუმცა ... ერთ ექსკურსანტს მაინც გა... ექსკურსია ქეიფის გარემ... უგია? თუ გაინტერესებთ, ... დასრულდება „ეროვნული ... რსია“, უყურეთ „დიდების ზ... ახალ სერიას საქართველ... ხელმწიფო ტელევიზიის პ... არხის საღამოს ეთერში ... 9 მარტს და გახსოვდეთ, რ... საც ეროვნული პროგრამ... ქმნა ეზარება, მას ეროვ... ერთოდ არ გააჩნია“.

„დიდების ზღაპრის“ ახ... რია გია კაჭარავას სცენა... ხედვით რეჟისორმა ლელა ... შვილმა გადაიღო. გადაღებ... ლმძღვანელია ქეთი დუმბა... დების ზღაპრის“ საინფორმა... რდაჭერას ახორციელებს ... „საქართველოს რესპუბლ...

ექსკურ...
პატრიოტ...



## კონფერენცია

# ინფორმატიზაცია – სასამართლო რეფორმის ხელშემწყობი

სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ სასამართლო რეფორმამ მართლმსაჯულების სისტემას თავისი ხელი საგრძნობლად დააჩნია, მაგრამ დროსთან ერთად მოთხოვნებიც გაიზარდა და ბუნებრივია, სასამართლოები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. XXI საუკუნე ხომ ინფორმაციის საუკუნეა და უკომპიუტეროდ მათი მუშაობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი (თავმჯდომარე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ახობაძე) შექმნის დღიდანვე თანმიმდევრულად ახორციელებს სასამართლოების აღჭურვას თანამედროვე ტექნიკითა და პროგრამული სისტემებით.

დღეისთვის კომპიუტერებით არის აღჭურვილი თბილისის, ქუთაისის საოლქო სასამართლოები, თბილისის ყველა რაიონული, რუსთავის, ბორჯომის, თერჯოლის, აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოები.

ახალი კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვაში, რაც ხელს უწყობს სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, აქტიურ მონაწილეობას იღებს მსოფლიო ბანკი, მისი დაფინანსებით და ხელშეწყობით დაგეგმილია თბილისის სასამართლოების ერთმანეთთან ოპტიკური ბოჭკოვანი ქსელის საშუალებით დაკავშირება, თითოეულ სასამართლოში კი ლოკალური კომპიუტერული ქსელის დამონტაჟება.

ახლახან გაიმართა კონფერენცია, რომელიც სასამართლო სისტემის ინფორმაციული პროექტის მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების განხილვას დაეთმო. მასში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ასევე აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი, თბილისის, ქუთაისის საოლქო, რაიონის სასამართლოების, იუსტიციის საბჭოს, სამოსამართლო სწავლების ცენტრის, საპარლამენტო კანცელარიის, სამართლებრივი განათლების ასოციაციის და უმაღლესი სასწავლებლების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

ლეილა ვეფხვაძე.

## ხსოვნა



### გიორგი მიხანაშვილი

ქართველმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღვაწლმოსილი ადამიანი და ღირსეული პიროვნება, ბატონი **გიორგი ივანეს ძე მიხანაშვილი.**

ბატონმა გიორგიმ პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ოცდახუთი წლის ასაკიდან დაიწყო და მთელი თავისი აქტიური ცხოვრება საზოგადოებისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს შეალია. აქტიური ცხოვრების ბოლო პერიოდამდე ის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა და ახალგაზრდობასთან და კოლეგებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის მაგალითს იძლეოდა.

მისი ხელმძღვანელობით მრავალი თაობის მოსწავლე-ახალგაზრდობა აღიზარდა და დაკვალიანდა. ქვეყანამაც ჯეროვნად დააფასა ბატონი გიორგის ღვაწლი და „საქართველოს დამსახურებული პედაგოგის“ საპატიო წოდება მიანიჭა, როგორც გამორჩეულ და სამაგალითო პროფესიონალს.

საქართველოს განათლების სამინისტროს კოლექტივი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ბატონი გიორგი, როგორც დიდი ოჯახის მამა და ახალგაზრდა თაობის დამრიგებელი, ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა.

საქართველოს განათლების სამინისტრო.

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## გახსენება

### ვასიკო გამყრელიძე



მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი სიკვდილი, რომელმაც აუწერელი ტანჯვა-წამება მოგვიტანა.

7 მარტს ტკივილით სავსე და მძიმე წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით უშენობამ დაისადგურა. შენ აღარ ხარ, ჩვენო ძვირფასო, მოსიყვარულე გულის ადამიანო, უსაზღვროა ის მწუხარება, რომელიც შენი მოულოდნელი სიკვდილით დაგვატყდა ჩვენ, ყველას. წახვედი და დაგვიტოვე შენი უსაზღვრო მო... რება, შენს ცოლ-შვილს, დას და სიძეს, ბიძაშვილებს, მამ... ვილებს ოჯახებით, ახლო ნათესავებს, მეგობრებს, მეზობ... ყველას, ვინც კი გიცნობდა.

ჩვენ, ჩემო საყვარელო ძმაო, ვასო, ისღა დაგვრჩენია, ვილ... შენი სულისთვის და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფ... ნი კეთილი სული.

შენი ძმა ცხვე...

მეუღლე შოთა ლომიძე, შვილი მანანა ლომიძე იუწყებ... რომ გარდაიცვალა
მზემზირა ალექსანდრეს ასული
სიდამონიძე-ლომიძისა
პანაშვიდი 8, 9 III 4 სთ. გამოსვენება 10 III, 2 სთ. საბურ... ლოს 26 ა, ბინა 10.

გივი კუპრეიშვილის ოჯახი იუწყება უახლოესი მეგობ... საქართველოს დამსახურებული პედაგოგის
მზემზირა ალექსანდრეს ასულ
სიდამონიშვილი-ლომიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ცისანა (ეკატერინე) ფუტურიძე, შვილები სერგო, ... მრიკო, რძალი ირინა ხოჭოლავა, და ნათელა ფუტურიძე, ... იდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებ... რომ გარდაიცვალა
ელიმერ ალექსანდრეს ძე ფუტურიძე
პანაშვიდი 8, 9 III, 5 სთ. გამოსვენება 10 III, 3 სთ. გამსა... რდიას გამზ. 17 ა.

სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია იუწყება, ... გარდაიცვალა ამავე კომპანიის თანამშრომელი
ელიმერ ფუტურიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ გაგუა, მაკა ძოწენიძე, შალვა კვინტრაძე, ვ... ოდიშვილი, გივი კაკაბაძე, შოთა ვადაჭკორია, იზა ... კოლხიდაშვილები, გიორგი მოისწრაფიშვილი, ნოდარ მ... ლოვი, ლევან ვარდოსანიძე თანაუგრძნობენ გულივერ გ... ას მამის
მოთა გაგუას
გარდაცვალების გამო.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლ... ური კომიტეტი და ათლეტიზმის ფედერაცია თანაუგრძნ... საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტს რობ... ურჯუმელაშვილს დედის
მარიამ (მანანა)
სავანელი-ურჯუმელაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრმა მწუ... რებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხელოვნების დამსახუ... ბული მოღვაწე, კინორეჟისორი
ზენო ხოჯავა
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

მეუღლე მედეა, შვილები თემური, ნუგზარი, რძლები ლია ... როტაძე, ლელა წიკლაური, შვილიშვილები იოანე, ანა, ქე... ვანი, ნინო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ივანე სერაპიონის ძე ღვალი
პანაშვიდი 8, 9 III, 4 სთ. ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №47, სადარბაზო, დაკრძალვა 12 III, ამბროლაურის რ-ნი, სოფ... ბუგეული, 3 სთ.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 10 მარ...

## ტელევიზია

### პარასკევი, 8 მარტი

07.30 საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა "ალიონი" 09.45 მულტსერიალი "მთიელი" 10.10 ტელესერიალი "**ქილის წინ**" 10.25, 19.00 ვიდეოპატრული 10.35 თბილისის დროით 10.55 სპა 11.15, 21.00 ტელესერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე 12.15, 18.20 სერიალი "**მორიგი მსხვერპლი**" 13.00 საინფორმაციო მუსიკალური პროგრამა "ნაშუადღევს" 14.05 მიამბეთ თქვენზე 15.15 XX საუკუნის დიდებული ქალბატონები 15.40 საქართველო არის ესე 16.10 ფორტუნა 16.45 დრო მშვიდობისა 17.15 50-50 18.00 ვესტნიკი 19.10 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.45 რას ფიქრობს ხალხი 23.35 ტელესერიალი "**ქილის წინ**" 00.00 მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი "**უხოში ავი ძაღლია**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.40 აფხაზეთის ტელევიზია 20.20 დასაბამიდან 20.30 თეთრი ფარდა 21.00 კონცერტი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ.ფ. "**პაროლი "ხმალთევზა"**"

07.00 მუსიკა. 07.30 რობინ ჰუდი 08.00 კურიერი. 08.55 სერიალი "**გვადალუპე**" 09.50 სერიალი "**პოლტერგეისტი**" 10.40 ლეიტენანტ მარშის კოსმოსური მაშველები 11.10 სერიალი "**ბაბილონის გოდოლი**" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ.ფილმი 17.05 დოკ.ფილმი 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 ლეიტენანტ მარშის კოსმოსური მაშველები 18.55 ჟურნალისტური გამოძიება 19.50 სერიალი "**ბაბილონის გოდოლი**" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფ. "**იდეალური ქმარი**". მთ. როლში რუპერტ ევერეტი. 02.00 მხ.ფ. "**მაგნოლია**". მთ. როლში ტომ კრუზი, მაიკლ ბოუენი. 04.00 კლასიკა

იბერია

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.25, 12.00, 20.20, 21.55, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "**ოთხი ქორწილი და დაკრძალვა**" 10.35 მხ.ფ. "**ჰენრი და ჯუნი**" 20.25 მხ.ფ. "**თავდაყირა**" 22.05 მხ.ფ. "**ჰანიბალი**"

12.00 მხ.ფ. "**ბოუმა**" 13.30 მხ.ფ. "**ლიზა**" 15.10 მხ.ფ. "**საუკეთესო მეგობრის ქორწილი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "**პოლიციის აკადემია-5**" 19.20 სპექტრი 21.00 "რატომ? WHY?" 22.10 მხ.ფ. "**ორი ეს უკვე მეტისმეტია**"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვექტი" 10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45 მსოფლიო სპორტი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი 19.30 გადაცემა "მომავალი" 20.00 ახალი ქსელები 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 23.40 ძველი კინოკლასიკა მხ.ფილმი "**სარკე**"

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.00 მხ.ფილმი 13.00 კლიპ-მიქსი 17.00 "Co.მედია" მხ.ფ. "**ციური სასჯელი**". მთ. როლში ელენ ბარკინი. 19.00 "ლოტო მაესტრო კროსვორდი" 19.30 მუსიკა 20.00 ვიდეო-რადიო 22.00 რუსული ათეული 23.00 "პაპარაცები" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "**პარიანის სია**". მთ. როლში ბრიუს უილისი. 02.00 "ღამურა" მხ.ფ. "**კერკეტი კაკალი-3**". მთ. როლში ბრიუს უილისი. 04.30 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20, 18.15 მულტფილმი "მეფის ასული შაპრაზადი" 09.50, 18.40 მხ.სერიალი "**ზურგის ქარი**" 10.40 დოკ. ფილმი "ფერწერის ისტორია" 11.10, 13.25, 14.20, 16.00, 17.50, 20.20, 22.00, 23.50 მუსიკა 11.20 მხ.ფ. "**მოგიბური**" 13.45 დოკ. ფილმი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 14.30 დისქავერი 15.15 გადაცემა "მთავარი თემა" 16.20 მხ.ფ. "**დიდი პარტვა**". მთ. როლში კრეკ ფერგიუსონი. 19.30 დისქავერი 20.00 ლიმონი და ლიმონათი 21.10 სერიალი "**ზენზინი სისხლში**" 22.20 მხ. ფილმი "**უკანასკნელი ძახილი**" მთ. როლში ენჯი ევერჰარტი. 00.20 მხ. ფილმი "**ვირთხების რბოლა**". მთ. როლში როუენ ეტკინსონი. 01.20 მუსიკალური ბიორითმი - მიხეილ შუფუტინსკი 01.40 მხ.ფ.-ჟანრებში - მხ.ფ. "**კავშირი**" 03.10 პრესის მიმოხილვა 03.30 მუსიკალური ნონ-სტოპი

### შაბათი, 9 მარტი

08.00 "მოამბე" 08.15 მულტსერიალი "მთიელი" 08.40 მხიარული კარუსელი 09.05 ფრანგული პროგრამა "ცირკი" 10.00 დილის პაემანი 11.00 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 11.25 ქართული ენის გაკვეთილი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 კვალი 12.45 პირველი ნაბიჯები 13.00 მეტრო 13.25 ტელე-სინე-ვიდეო 14.00 ფრანგული პროგრამა "ორსეს მუზეუმი" 15.00 მოამბე 15.15 ფრანგული პროგრამა "ციდან დანახული საფრანგეთი" 15.30 სულიკო ჟღენტი. საიუბილეო საღამო 17.00 თქვენი უფლებები 17.20 ვიცი 17.45 მრავალჟამიერ 18.15 საქართველო და გარე სამყარო 18.40 ტელეზღაპარი 19.00 ვესტნიკი 19.35 მთელი ეს ტელევიზია 20.00 ტაიმაუტი 21.00 მაესტრო "ამბობენ" 21.40 ენა დედაა ერისა 22.05 დიდების ზღაპარი 22.35 ქიმერიონი 23.20 მეალომანია 00.00 მოამბე 00.15 მხ.ფ. "**პან თადეუში**"

19.00, 22.00 მოამბე 19.10 ორატორი 19.30 შვიდეული 20.30 წარსულის ტერიტორია 21.00 საუკუნის დიდებული ქალბატონები 21.30 ახლო ხედი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ.ფ. "**მაიმუნების პლანეტა**"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 12.30 მუსიკა 12.40 სერიალი "**ნიკიტა**" 13:35 მხ.ფილმი 15.35 სიმფსონები 15.55 მხ.ფილმი 18.00, 00.00 კურიერი 18.20 მხ.ფილმი 20.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 21.00 **კურიერი P.S. 22.00 ფსიქო**. მხ.ფ. "**აგირე - ღვთის რისხვა**". რეჟ. ვერნერ ჰერცოგი 00.15 მხ.ფ. "**სასიკვდილო იარაღი-2**". მთ. როლებში: მელ გიბსონი, დენი გლოვერი 02.00 ღამის ჯაზი

იბერია

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 09.55, 11.55, 20.20, 22.10, 00.10 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "**თავდაყირა**" 10.05 მხ.ფ. "**ჰანიბალი**" 20.25 მხ.ფ. "**ხუთი გრძნობა**" 22.20 მხ.ფ. "**დარაჯი**"

12.00 მხ.ფ. "**ორი, ეს უკვე მეტისმეტია**" 13.40 მხ.ფ. "**შემოდგომის ლეგენდები**" 15.45 მხ.ფ. "**პოლიციის აკადემია-7**" 17.15, 19.10 მხ.ფ. "**გოძილა**" 19.00, 20.30 "დღეს" 21.00 მულტფილმი "**შრეკი**" 22.30 მხ.ფ. "**შვილის ოთახი**" 00.20 მხ.ფ. "**დასჯეული**"

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "**მაიმუნის ქვალი**" 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 დონალდ-შოუ 15.00, 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი 15.30, 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი 16.00 ლაბირინთი 16.30 სერიალი "**მსუნელა**" 17.30 თქვენი ადვოკატი 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 თინეიჯერი 21.00 ვესტი 21.25 "ზერკალო" 22.00 და ღმერთმა შექმნა ქალი 22.40 თეატრალური შეხვედრები 23.40 მსოფლიო სპორტი

07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 მხ.ფილმი 14.00 კლიპ-მიქსი 19.00 ლოტო-მაესტრო 19.30 მუსიკა 20.00 "Co.მედია" მხ.ფ. "**პიკის საათი-2**". მთ. როლში ჯეკი ჩანი 22.00 "პაპარაცები" 23.00 პრეს-პრესი 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "**მტრის ზურგში**", "**ფრანგული კოცნა**", "**წმინდა ვალენტინის დღე**" 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "**მუმიის საიდუმლო**". მთ. როლში ტობიას მორეტი. 03.30 ნონ-სტოპი

09.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 10.20, 18.15 მულტფილმი "მეფის ასული შაპრაზადი" 10.45 მხ.სერიალი "**ზურგის ქარი**" 11.30 გადაცემა "ლიმონი და ლიმონათი" 11.50 მხ.სერიალი "**ზენზინი სისხლში**" 12.40, 14.50, 18.40, 19.50 მუსიკა 13.00 მხ.ფ. "**ვირთხების რბოლა**" 14.25, 18.40, 21.10 მუსიკა 16.20 მხ.ფ. "**გალაქტიკის ძიებაში**". მთ. როლში ტიმ ალენი. 19.00 გადაცემა "ჭკუის კოლოფი" 19.30 ბელისიმო 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.10 დოკ. ფილმი "ლუი ამსტრონგი" 22.15 მხ. ფილმი "**ანატომია**". მთ. როლში ფრანკა პოტენტე. 00.20 მხ.ფ. "**ბეჟდების მბრძანებელი**" მთ. როლში ელაიჯ ვუდი.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხ...**

САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-...
ელექტრონული ფოსტა - PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხომარაულის 29.